წლიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—81.

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი 1931 წ. № 250 (3205)

ხე-ტყის დამზადებას—ბოლშევიკური ტემპები

კაპიტალური მშენებლობისათვის საშენი მასალის მიწოდება დამოკიდებულია ხე-ტყის დამზადებისა და მისი გადმოზიდვის გეგმის წარმატებით შესრულებაზე. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენი ექსპორტის გეგმის შესრულებისათვის, რომელშიაც ხე-ტყეს ერთ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მიუხედავათ ამისა, ხე-ტყის დამზადება საქართველოს ყველა რაიონებში დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. სამეურნეო წელი მიწურულია. ჩვენმა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა კი ჯერ კიდევ ვერ მიაპყრეს სათანადო ყურადღება ხე-ტყის დამზადებას და გადაზიდვას.

მთავარი მიზეზი, რომელიც აფერხებს ხე-ტყის დამზადებას, ეს არის მუშა-ხელის ნაკლებობა. ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ პოულობენ სათანადო დახმარებას რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების მხრივ მუშა-ხელის შეგროვების საქმეში. ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ხე-ტყის დამზადება - გადმოზიდვის ჩატარებისათვის. მდგომარეობის სე გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. გადამწყვეტი წლის მეოთხე კვარტალში უნდა მოხდეს ძირიანი გარდატეხა ხე-ტყის დამზადების მსვლელობაში. ტყის დამამზადებელი და მათი მოსაზღვრე რაიონების ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი ზემო - სვანეთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხარაგოულის, სენაკის, ამბროლაურის, ქუთაისის, ონის და ცაგერის რაიონულ ორგანიზაციებმა თავისი ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ეს საქმე და უზრუნველყონ ბოლშევიკური ტემპები ხე-ტყის დამზადებაში.

პირველი გადაუდებელი ამოცანაა—მუშა-ხელის შეგროვება. რაიონებმა და შრომის ცენტრალურმა ორგანოებმა ზუსტად უნდა შეასრულონ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის მუშა-ხელის მიწოდების გეგმა, რომელიც ა.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. მუშა-ხელის შეგროვებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საკოლმეურნეო სისტემამ. კოლმეურნეობათა ცენტრი და რაისაკოლმეურნეო კავშირები უნდა შეუდგენ მასიური კამპანიის ჩატარებას კოლმეურნეობებსა და ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებების დასადებად მუშახელის მიწოდების შესახებ. ამ კამპანიის დროს კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს ფართოდ უნდა გავაცნოთ ის შეღავათები, რომლებიც ხელისუფლების დადგენილებით, ეძლევათ ხე-ტყის დამზადებაზე გასულთ. მათ უნდა განემარტოთ, რომ ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე კოლმეურნეების განუსაზოგადოებელი ქონება და არა საშემოსავლო შემოსავალი თავისუფლდება სას. - სამეურნეო გადასახადისაგან, რომ დაბეგვრისაგან თავისუფლდება აგრეთვე იმ ინდივიდუალურ გლეხთა ხელფასი, რომლებიც შეასრულებენ და გადააჭარბებენ ხე-ტყის დამზადება - დაცურებისა და გადაზიდვის გეგმებს.

შემდეგი ამოცანაა, ხე-ტყის დამზადებაზე მყოფ მუშათა მომარაგებისა და ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება. ამ მხრივ უდიდესი მოვალეობა აწევს სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელმაც ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დააყენა ხე-ტყის მუშათა მომსახურება. დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ა.-კავკასიის სახალხო კომისართა დირექტივა იმის შესახებ, რომ „არა უგვიანეს 15 ნოემბრისა დამთავრდეს სატყეო კოოპერაციის ძირეული ორგანიზაციების მუშაკებით შევსება". განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზ. კვების ორგანიზაციას დამზადების აგარაკებზე. „1931 წლის 15 ნოემბრამდე მოეწყოს მუშათა კოოპერატივები ყველა სატყეო-სამრეწველო მეურნეობებთან"—ავალებს ამიერ კავკასიის სახკომსაბჭო სამომხმარებლო კოოპერატივისა და საზკვების ორგანიზაციებს. ეს დავალება განუხრელად უნდა შესრულდეს.

ხე-ტყის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა გადასდგან გადამწყვეტი ნაბიჯები მუშათა საბინაო პირობებისა და კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად. ამავე დროს უნდა შემოღებულ იქნეს პროგრესიული სანარდო მუშაობის სისტემა, რაც დიდათ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშონ პროფკავშირებმა, რომელთა უშუალო მონაწილეობით —„1932 წლის პირველ იანვრამდე უნდა იქნას გადაყვანილი ბრიგადული მუშაობის სისტემაზე ტყის მჭრელთა 75 პროცენტი მაინც". (ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილება).

დამამზადებელმა ორგანიზაციებმა და რაიონებმა უნდა დაძრან მთელი ძალღონე ხე-ტყის გადმოზიდვის უზრუნველსაყოფად. მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა სატრანსპორტო საშუალებები. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ საქმეში ენიჭება რკინის გზის ტრანსპორტს, რომელმაც, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, —„პირველ რიგში უნდა დააკმაყოფილოს ტყის მრეწველობის მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე". ამიერ კავკასიის რკინის გზელებმა ბოლშევიკურად უნდა შეასრულონ ეს საბრძოლო დავალება. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ არც ერთი კუბიური მეტრი დამზადებული ხე-ტყე არ დარჩეს დანიშნულ ადგილზე მიუზიდავი.

ხე-ტყის დამზადება - დაცურებისა და გადმოზიდვის კამპანიის წარმატებით ჩატარება უნდა იდგეს ყველა იმ პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, რომლებიც ამ საქმესთან არიან დაკავშირებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიურ, პარტიულ და პროფესიონალურ მუშაობის დაყენებას ხეტყის დამზადების რაიონებში. რაიონულმა კომიტეტებმა მტკიცედ უნდა მოკიდონ ხელი პარტიული და კომკავშირული მუშაობის ორგანიზაციას ხე-ტყის დამზადებებზე. უნდა მოეწყოს პარტორგანიზატორთა ინსტიტუტი, სადაც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს უჯრედები და სხვა.

პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს შრომის სოციალისტური ფორმების გავრცელება ხე-ტყეზე მომუშავეთა შორის. სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ხე-ტყის დამზადებაზე, დაცურებაზე და გადაზიდვაზე უნდა გადაიქცეს გარღვევების ლიკვიდაციისა და გეგმების შესრულების მძლავრ საშუალებათ.

ხე-ტყის დამზადება, დაცურება და გადაზიდვა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო კამპანიაა. ძირშივე უნდა აღვკვეთოთ ყოველგვარი ოპორტუნისტული მიდგომა ამ საქმისადმი და დაუღალავად ვიბრძოლოთ, როგორც მეოთხე კვარტალის გეგმის შესასრულებლად, ისე გასული თვეების დანაკლისის შევსებისათვის ხე-ტყის დამზადების დარგში.

თემთა პალატის არჩევნები ინგლისში

არჩევნების წინასწარი შედეგები

მოსკოვი, 28 ოქტომბერი (საკ. კორ.). წინასწარი ცნობებით ინგლისის თემთა პალატაში არჩეულია 222 კონსერვატორი 4 ნაციონალ - დემოკრატი, 2 უპარტიო, დამარცხდენ ჰენდერსონი, კლაინსი და მოსლი.

მოსკოვი, 28 ოქტომბერი (საკ. კორ.). უკანასკნელ, არასრულ ცნობების თანახმად, კონსერვატორებმა მიიღეს 340 მანდატი, მაკდონალდის მომხრეებმა—11, ლიბერალებმა—49, აქედან—საიმონის ჯგუფმა—20, ლეიბორისტებმა—29 მანდატი.

ამხ. ლიტვინოვი თურქეთში

თურქეთის პრესა ამხ. ლიტვინოვის ჩასვლის გამო

გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში ამხ. ლიტვინოვმა ხაზი გაუსვა თურქეთის და საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

„უთანხმოება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ხელსაყრელია მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისათვის"

სტამბოლი, 27 ოქტომბერი. მთელი პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ამხ. ლიტვინოვის ჩამოსვლას. გაზეთი „აკშამ"-ი მოწინავე წერილში სწერს:

— რუსეთ-თურქეთის მეგობრობის საძირკველი შეურყეველია, რადგან საბჭოთა რუსეთი პირველი იყო, რომელმაც გულწრფელად დაუჭირა მხარი თურქეთს. საბჭ. კავშ. ატარებს ისეთ საგ. პოლიტიკას, რომელიც არაფრით არ განირჩევა თურქეთის საგარეო ინტერესებისაგან. საბჭოთა რუსეთი, ისე როგორც თურქეთი, მედგრად იბრძვის ევროპის იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ. ორთავე ერმა შეიგნო, რომ მათი ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და რომ ყოველგვარი უთანხმოება მათ შორის ხელსაყრელია მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისათვის.

„ჯუმხურიეტ"-ი სწერს: კარახანი და ლიტვინოვის ჩამოსვლა მაჩვენებელია მეგობრული ურთიერთობისა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის".

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ლიტვინოვის ჩამოსვლა ყველაზე უფრო ბრწყინვალე ფურცელია საბჭოთა კავშირისა და თურქეთის თანამშრომლობის ისტორიაში (ადს).

ამხ. ლიტვინოვის საუბარი

თურქეთის პრესის წარმომადგენლებთან

სტამბოლი, 27 ოქტომბერი. თურქეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ამხ. ლიტვინოვმა სთქვა:



— მე მეტად მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა შემესრულებია დიდი ხნის სურვილი—ვყოფილიყავ თურქეთში—იმ ქვეყანაში, რომელთანაც საბჭოთა ქვეყანა დაკავშირებულია მრავალი წლის უაღრესად მტკიცე მეგობრობით და თანამშრომლობით. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ერთხელ კიდევ გავუზიარო აზრი ჩემს მეგობარს და თქვენს პატივცემულ საგარეო საქმეთა მინისტრს თევფიკ რუშდის, აგრეთვე დავამყარო საუკეთესო კონტაქტი თურქეთის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან. ვსარგებლობ შემთხვევით იმისათვის, რომ თურქეთის პრესის საშუალებით გადავცე საბჭოთა კავშირის ხალხთა მთავრობის სალამი მეგობრული თურქეთის რესპუბლიკის ხალხს. თურქეთ-საბჭოთა მეგობრობა იწყება საბჭოთა კავშირისა და ახალი თურქეთის არსებობის პირველ დღეებიდანვე, ეს მეგობრობა 10 წელზე მეტია არსებობს. ყველა ქვეყნის საერთაშორისო ცხოვრება ამ ხანგრძლივ პერიოდში სავსე იყო განსაკუთრებული ამბებით და განირჩეოდა განსაკუთრებული ცვალებადობით. მსოფლიო ომმა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მან არა თუ არ მოსპო საერთაშორისო წინააღმდეგობანი, არამედ საგრძნობლად გაამწვავა ისინი. საერთაშორისო ურთიერთობის რაიმე სტაბილიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ პერიოდში სახელმწიფოთა ურთიერთობა მყარდებოდა და იცვლებოდა სწრაფად მიმდინარე ამბებთან და შეცვლილ კონიუნქტურებთან შეფარდებით. იქ, სადაც ეს ურთიერთობა გარკვეულ ფორმებს ატარებს, იგი უფრო დროებით კომბინაციას წარმოადგენს. სახელმწიფოები თითქოს ეძებენ თავიანთი ურთიერთობის გზებს, მაგრამ მათ ჯერ ჯეროვნათ ვერ მოუნახავთ ეს გზები. საერთაშორისო მდგომარეობის ამ ცვალებადობის და გაურკვევლობის ფონზე განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობის სიმტკიცე და უცვლელობა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მე შემიძლია დავარწმუნო თურქეთის პრესა და მისი მეშვეობით თურქეთის ხალხი, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას—თურქეთთან მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას ღრმა ფესვები აქვს და იგი გამომდინარეობს მისი საგარეო პოლიტიკის არსიდან. აქედან წარმოსდგება თურქეთისადმი მისი უცვლელი და გულწრფელი დამოკიდებულება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე წარმოშობისა და ხასიათისაა თურქეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. ხელშეკრულების დადება ორივე სახელმწიფოს მიერ წარმოადგენს ამ ურთიერთ პოლიტიკის გამოხატულებას, ის კი არ განსაზღვრავს დამყარებულ ურთიერთობას, არამედ, პირიქით, მისი ფორმალური განმტკიცებაა. ამით აიხსნება, რომ ორივე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ურთიერთ ვალდებულებანი არასოდეს არ იწვევენ ისეთ გრძნობას, რომ ისინი ზღუდავენ თითეულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და საკუთარ საგარეო პოლიტიკას მაშინაც კი, როცა ყოველ ქვეყნის თავისებურობათა გამო არ არსებობს ერთნაირი დამოკიდებულება საერთაშორისო ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენებისადმი. მრავალი წლის მეგობრობამ წარმოშვა ისეთი ურთიერთი ნდობა, რომელიც სპობს ყოველგვარ შიშს დამოუკიდებელი ნაბიჯებისათვის, რომლებსაც თითეული სახელმწიფო მისთვის სასარგებლოდ სთვლის, რადგან ორივე სახელმწიფო საჭებით არის დარწმუნებული, რომ არც ერთი მათგანი არასოდეს არ მიიღებს მონაწილეობას მეორე სახელმწიფოს საზიანო მოქმედებაში.

ურთიერთობა, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის, მიუხედავად ამ ორი ქვეყნის სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური სისტემისა, შეიძლება სანიმუშო იყოს და უნდა იყოს კიდეც სხვა სახელმწ.-ბის ურთიერთობისათვის. როგორც უკვე სანიმუშო გახდა მათ მიერ დადებული ხელშეკრულებანი. ეს ურთიერთობა თავისთავად წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობიანობის ელემენტს და ამავე დროს საშუალებას აძლევს ორივე სახელმწიფოს მედგრად ითანამშრომლონ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში. საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებიც მოწადინებული არიან დაამყარონ სოციალიზმი თავიანთ ქვეყანაში, ბუმბერაზული მიზნები დაისახეს ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. ამ მიზნების განხორციელება მოითხოვს მთელი ენერგიის მოკრეფას. მათ მიერ ამჟამად მიღწეული წარმატებანი ხელს უწყობენ შემდგომ მისწრაფებას ამ მიზნების მიღწევისაკენ. თურქეთის [illegible] და თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეების მრავალი განცხადებიდან ვიცით, რომ თურქეთსაც დასახული აქვს დიდი ამოცანები სახალხო მეურნეობის, კერძოდ თურქეთის მრეწველობის და ბუნებრივი რესურსების განვითარების დარგში. ამიტომ არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ თურქეთის ხალხი გულწრფელად მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ. ეს ჰქმნის ბაზას ორივე სახელმწიფოს თანამშრომლობისა და საერთო მოქმედებისათვის საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების დარგში. საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება, უმაღლესი მიღწევები საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის და ტექნიკური ბაზის რადიკალური რეკონსტრუქციის დარგში დიდ შესაძლებლობას ჰქმნიან აგრეთვე თურქეთ-საბჭოთა ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებისა და ამ ქვეყნების უფრო სწრაფი განვითარების უზრუნველყოფისათვის. უახლოეს წლებში საგრძნობლად გაფართოვდება თურქეთ-საბჭოთა თანამშრომლობა ეკონომიკისა და ტექნიკის დარგში (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ანკარაში

ანკარა, 27 ოქტომბერი. ლიტვინოვის შეხვედრა სტამბოლში, აგრეთვე გაცილება ჰაიდარ-ფაშას სადგურზე ანკარაში მისი გამგზავრების დროს განსაკუთრებით საზეიმო ხასიათს ატარებდა. შეხვედრასა და გაცილებაში მონაწილეობა მიიღეს სტამბოლის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მთელმა საბჭოთა კოლონიამ. სანაპიროზე დაყენებულ იქნა საპატიო ყარაული. ლიტვინოვის ანკარაში გამგზავრებისას ჰაიდარ-ფაშას სადგურის მთელი პლატფორმა გაჭედილი იყო აურაცხელი ხალხით, რომელიც მოვიდა მის გასაცილებლად. გამცილებელთა შორის მრავალი მუშა იყო. გაისმოდა მისალმების სიტყვები საბჭოთა კავშირის მისამართით. სტამბოლის თურქული გაზეთები სავსე იყო წერილებით ლიტვინოვის მოსვლისა და თურქეთ-საბჭოთა მეგობრობის აღსანიშნავად. (ადს).

ანკარა, 27 ოქტომბერი. როგორც ანატოლიის სააგენტო იტყობინება, ლიტვინოვი და მასთან ერთად მიმავალი თურქეთის მოსკოველი ელჩი ჰუსეინ-რაგიბ-ბეი 27 ოქტომბერს მივიდნენ ანკარაში. სადგურზე ლიტვინოვს მიესალმნენ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ-რუშდი-ბეი და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი მოხელენი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლები. სადგურზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სადგურის შენობა მორთული იყო ორივე სახელმწიფოს დროშებით. გზა სადგურიდან სასტუმრო „ანკარა-პალას"-კენ, სადაც ლიტვინოვს დათმობილი აქვს ბინა, როგორც თურქეთის მთავრობის სტუმარს, მოწყობილი იყო ტრიუმფალური თაღები მისასალმებელი წარწერებით რუსულ ენაზე (ადს).

ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტი

იაპონია დასცინის ჩინეთს

ტოკიო, 27 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ირონიულად უდგება ჩინეთის წინადადებას თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. მინისტრის აზრით, „ასეთი პაქტის დადება შეიძლება მხოლოდ [illegible] საერთაშორისო ვალდებულებებს. პაქტები ისტორიის თვალსაზრისით, ჩინეთს არა აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უნარი. იაპონია დადებს პაქტს ჩინეთთან მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩინეთი შეასრულებს ყველა იმ ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია იაპონიასთან დადებულ ხელშეკრულებებით (ადს).

იყენებენ შემთხვევას ჯარის გასაგზავნად

ტოკიო, 27 ოქტომბერი. იაპონიის გაზეთი „ხოჩი" იტყობინება, რომ „ვიუმ"-ის მთავარი კანტორის (მუკდენში არსებობს) ცნობებით, სადგურ მოლინს (სიპინგაი-ტაონანის რკ. გზა) „21 ოქტომბერს თავს დაესხა ჩინელი ჯარისკაცების რაზმი, რომელმაც გადასჭრა ელსადენები": იგივე რაზმი „დაესხა საულინის სადგურს". გაზეთი ამტკიცებს, რომ ჩინეთის სხვადასხვა რაზმებმა დაიკავეს გზის რამდენიმე უბანი სიპინგაისა და ჩანძოტუნს შორის, რის შედეგადაც შესწყდა რკინის გზის მოძრაობა. ჩან-ჩუნში ბანდიტების გამოჩენის საბაბით გაიგზავნა იაპონიის ჯარი (ადს).

მუკდენი, 27 ოქტომბერი. იაპონიის სამხედრო ხელისუფლება კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს „ბანდიტიზმს" სერიოზულ საფრთხეს ჩან-ძიატუნ-ტაონანის რაიონებში. ჩინძიატუნში (ტაონან-სიპინგაის რკ. გზის პუნქტი) გაიგზავნა 2 ქვეითი ასეული ადგილობრივი ჯარის გასაძლიერებლად (ადს).

„რკინის გზის აღდგენის საბაბით"

ტოკიო, 27 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, „სამხედრო სამინისტრო თავის ოფიციალურ კომიუნიკეში იაპონიის ჯარის გაგზავნას ტაონანის რაიონში იმით ამართლებს, რომ ამ რაიონში არა თუ „აყრილია რკინის გზა, არამედ ჩინეთის სამხედრო რაზმებმა დაიტაცეს გზის აღდგენისათვის საჭირო ყველა მასალაც კი. ყველა რკინისგზელები გაიფანტნენ (ადს).

ხეილუძიანის მთავრობა იმუქრება

ტოკიო, 27 ოქტომბერი. იაპონიის სააგენტოს დენცუ ცუსინის მიერ მუკდენიდან მიღებული ცნობით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ დღეებში ხეილუძიანის მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იაპონელთა ხარჯით მდ. ნონზე (ტაონან-ციციკარის რკ. გზის რაიონი) აგებული ხიდის აფეთქებასთან დაკავშირებით. ხეილუძიანის მთავრობა მშვიდად შეხვდა ნოტას და უპასუხა, რომ შეუდგება ხიდის აღდგენას იმ შემთხვევაში, თუ წავა ჩან ხაიპენის ჯარი, ამასთან აღნიშნა, რომ ხიდი ისევ აფეთქებული იქნება, თუ განმეორდება იაპონიის ჯარის შეჭრის ცდა (ადს).

ტაონანს იაპონელთა მიერ დაკავების საფრთხე მოელის

ტოკიო, 27 ოქტომბერი. ჩანჩუნში დაბანაკებული ჯარის ნაწილი სიპინგაიდან გავიდა ჩენძაგუნისაკენ ტაონანის დასაკავებლად (ადს).

ყუმბარების ხელახლად დაშენა

ჟენევა, 27 ოქტომბერი. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესიის დახურვის წინ ჩინეთის დელეგაციამ საბჭოს გადასცა კიდევ ერთი ცნობა, რომელიც მან მიიღო ნანკინიდან, ყუმბარების ახლად დაშენის შესახებ იაპონიის აეროპლანების მიერ გირინის პროვინციაში (ადს).

აჯანყება კიპროსზე ფართოვდება

აჯანყებულებმა დაანგრიეს რკინის გზის ხიდი

ლონდონი, 27 ოქტომბერი. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ხელისუფლებამ თავი მოუყარა კუნძულ კიპროსზე საგრძნობ სამხედრო საზღვაო და საჰაერო ძალებს, აჯანყება კუნძულზე ძლიერდება. ფამაგუსტაში აჯანყებულებმა თავს დაესხნენ პოლიციას. მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც მოკლულ იქნა ერთი აჯანყებული. ორივე მხრით არის მრავალი დაჭრილი. ლიმასოლში, ინდოეთის ნაციონალისტების მსგავსად, რომლებიც იბრძოდენ მარილის სახელმწიფო მონოპოლიის წინააღმდეგ, ადგილობრივ მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები შეუდგნენ ტბიდან მარილის ამოღებას. სოფლის რაიონებში აჯანყებულები მიმართავენ პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს. აჯანყებულებმა დაანგრიეს რკინის გზის ხიდი და გადასჭრეს მრავალ ადგილას ტელეგრაფის მავთულები: ნიკოზიის(კიპროსის ერთი უდიდესი ქალაქთაგანია) ქუჩებში ჯავშნოსნები დადიან (ადს).

გამოცხადდა სამხედრო წესები

ლონდონი, 27 ოქტომბერი. კიპროსზე მომხდარ აჯანყების 5 ხელმძღვანელი, რომლებიც დაპატიმრებული და ინგლისის გამანადგურებელზე იყვნენ მოთავსებული, წაიყვანეს უცნობი მიმართულებით. გაიცა ბრძანება აჯანყების სხვა ორმოცი მონაწილის დაპატიმრების შესახებ. გაიცა აგრეთვე ბრძანება ახალი ესკადრილიის და სამხედრო აეროპლანების გაგზავნის შესახებ კიპროსის კუნძულზე.

კუნძულისაკენ მიემართება ავიოგემი „გლორიუს"-ი. კუნძულზე გამოცხადებულია სამხედრო წესები. აჯანყება მოაწყვეს საბერძნეთის ნაციონალისტებმა, მაგრამ მას მხარს უჭერდა მშრომელთა ფართო მასები, რომელთა მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით (ადს).

საბერძნეთი „იმიჯნება"

ათინა, 27 ოქტომბერი. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლები, ყოველნაირად იმიჯნებიან კიპროსზე მომხდარ ამბებისაგან და აცხადებენ, რომ საბერძნეთი არ ერევა კიპროსის მოსახლეობის ინგლისთან ურთიერთ დამოკიდებულებაში,—საბერძნეთის მთელი პრესა, მთავრობის ორგანოების ჩათვლით, მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს „თავისი ტომის ხალხის გმირულ ბრძოლას" და ჰკიცხავს ინგლისის მიერ კუნძულზე შექმნილ რეჟიმს (ადს).

რეპრესიები კომპარტიის წინააღმდეგ

პოლიციის ახალი თავდასხმა

ბერლინი, 27 ოქტომბერი. სახალხო სახლში რურის ოლქის უდიდეს სამრეწველო ცენტრის—ჰელზენკირხენის კომუნისტური ორგანიზაციის რაიონული სამდივნოში და კომუნისტურ გაზეთ „რურ ეხო"-ს რედაქციაში 26 ოქტომბერს შეიჭრა პოლიციის და საიდუმლო აგენტების დიდი რაზმი. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში გულდასმით სჩხრეკდნენ აღნიშნულ სადგომებს.

სახალხო სახლი, რომელიც წარმოადგენს ჰელზენკირხენის მუშების შესაკრებ პუნქტს, პოლიციამ დახურა 4 კვირით. სახალხო სახლში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 40 მუშა.

ამას გარდა პოლიციამ მოახდინა თავდასხმა მუშების მრავალ ბინაზე და დააპატიმრა ყველა იქ მყოფი მამაკაცები. პოლიცია თოფის კონდახებით ამტვრევდა შესავალ კარებს.

„რურ ეხო"-ს რედაქცია პოლიციამ დაბეჭდა.

როგორც ბურჟუაზიული პრესა იუწყება, ეს ჩხრეკა წარმოადგენს პოლიციის ორ აგენტსა და იმ რამდენიმე მუშას შორის მომხდარ შეტაკების შედეგს, რომლების დაპატიმრება უხდოდათ პოლიციელებს. ამ შეტაკების დროს როგორც ვიცით, მოკლული იქნა 1 პოლიციელი (ადს).

50 ვაგონი ფქვილი ღია ცის ქვეშ

ფოთის ნავთსადგურში გემების გადმოტვირთვა შეჩერებულია

ფოთი, 28 ოქტომბერი. ვაგონების მიუწოდებლობისა და საწყობების უქონლობის გამო, 28 ოქტომბერს ფოთის ნავთსადგურში დაგროვდა 50 ვაგონამდე ფქვილი, რომელიც აწყვია ღია ცის ქვეშ.

ორი გემის გადმოტვირთვა შეჩერებულია იმის გამო, რომ რკინის გზამ არ მიაწოდა ნავთსადგურს ვაგონების საკმაო რაოდენობა. (ადს).

20.000 ფეიქრის გაფიცვა ფართოვდება

ვარშავა, 27 ოქტომბერი. ლოძში გაიფიცა 20.000 ფეიქარი. გაფიცვას ხელმძღვანელობს საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც უშუალოდ არჩეულია მუშათა მასების მიერ. გაფიცვა იღებს მწვავე ხასიათს. ფაბრიკებში ხდება შეტაკება მუშებსა და პოლონეთის „სოციალისტურ" პარტიის შეიარაღებულ რაზმელებს შორის (ადს).

დადგა გადამწყვეტი დღეები ბამბის აკრეფაში

ბამბა

დაწესდეს ყოველდღიური სასტიკი კონტროლი კულაკურ-შეძლებულ მეურნეობების მიერ მტკიცე დავალებების ვადაზე შესრულებისათვის

კულაკებმა უნდა შეასრულონ

ბამბის აკრეფა-ჩაბარების მტკიცე დავალება

ბამბის აკრეფის გადამწყვეტი თვე (ოქტომბერი) იწურება. ამ თვეში მნიშვნელოვან წარმატებებისათვის უნდა მიგვეღწია ბამბის აკრეფა-ჩაბარების დარგში; ოქტომბერში უნდა აკრეფილიყო წლიური გეგმის 60-70 პროცენტი, როგორი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამჟამად? უნდა ითქვას, რომ მეტად არადამაკმაყოფილებელი.

20 ოქტომბრისათვის საქართველოში ბამბის აკრეფის გეგმა შესრულებული იყო 36,9 პროცენტით, ე. ი. აკრეფილი იყო 51.378 ცენტნერი ბამბა; აქედან კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს აკრეფილი ჰქონდათ 1.646 ცენტ. ბამბა, ანუ მტკიცე დავალების მხოლოდ 36,6 პროცენტით, წინ მიდიან კოლექტიური და ინდივიდუალური (ღარიბ-საშუალო გლეხთა) მეურნეობები.

კულაკურ შეძლებულ-მეურნეობებში მტკიცე დავალებების თავის დროზე შეუსრულებლობა უნდა მიეწეროს იმას, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები, უმთავრესად კი სას საბჭოები და პარტიული უჯრედები, არ იჩენენ საკმაო სიფხიზლეს და გაბედაობას ბამბის არჩაბარებელ ურჩ კულაკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად.

არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სას. საბჭოები კულაკებისადმი შემარიგებლობას იჩენენ, ბამბის აკრეფა-ჩაბარების მტკიცე დავალებების შესრულებისათვის არ „აწუხებენ" მათ (კულაკებს) იმ მოტივით თითქოს მათ მუშა-ხელი არა ყავთ და სხვ.

ბორჩალოს რაიონში 26 ოქტომბრისათვის კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებს ბამბის აკრეფის გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 24 პროცენტით,—იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობებში გეგმის შესრულება აღწევს 60 პროცენტამდე.

როგორც ჩვენი გაზეთის საგუშაგო გვატყობინებს, ბამბის ძირითადი სას. საბჭოები არ ასრულებენ რაიონული პარტიული ორგანიზაციის დადგენილებებს—კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების შესახებ.

ქუთაისის რაიონში 25 ოქტომბრისათვის არც ერთი კილოგრამი ბამბა არ ჰქონდათ ჩაბარებული:

რით უნდა ავხსნათ ეს აღმაშფოთებელი ფაქტი, თუ არა აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა პრაქტიკაში?

მემარჯვენე ოპორტუნისტები თავიანთი პრაქტიკით ხელს უშლიან ბამბის აკრეფას კამპანიის წარმატებით ჩატარებას და მით საფრთხის წინაშე აყენებენ ოქტომბრის გადამწყვეტი თვის გეგმის შესრულებას.

ბამბის აკრეფის ფრონტზე მემარჯვენე ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამომხატველებს მაგრად უნდა დავარტყათ. დაუყოვნებლივ ვაიძულოთ კულაკობა, რათა ბამბა მთლიანად ჩააბაროს სახელმწიფოს. კულაკების და მათი აგენტების ყოველგვარი ცდები, რომელიც მიმართულია ბამბის აკრეფის კამპანიის ჩაშლისაკენ, ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

რაიონულმა პარტიულმა, კომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური კულაკურ-შეძლებულ მეურნეობების მიერ მტკიცე დავალებების შესრულების მიმდინარეობას და ურყევად გაატარონ ცხოვრებაში სადირექტივო ორგანოების ყველა დადგენილებები ბამბის ფრონტზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

კოლმეურნეობებში, ინდივიდუალურ მეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება, მოვაწყოთ საზოგადოებრივ ბუქსირზე ჩამორჩენილთა აყვანა, ნამდვილათ გავატაროთ სანარდო სისტემა, ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, ვიბრძოლოდ გამომუშავების ნორმების ყოველდღიურად გადიდებისათვის, მოვსპოთ გაუპიროვნება და მით უზრუნველვყოთ ბამბის აკრეფა-დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

ლი.

კედლის გაზეთი გვეხმარება

ყარაია, 28 ოქტომბერი (სპეც. კორ.) 25 ოქტომბერს გაზ. „კომუნისტი"-ს საგუშაგოს ხელმძღვანელობით, ყარაიას ბამბის საბჭოთა მეურნეობაში გამოვიდა ერთდღიური კედლის გაზეთი №3.

კედლის გაზეთში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ბამბის აკრეფის საკითხებს. გაზეთში მოთავსებული იყო წითელი და შავი დაფა. შავ დაფაზე მოთავსებული იყო „რატპო"-ს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთაც ბამბის აკრეფის დროს სამუშაო მიატოვეს ერთი საათით ადრე.

კედლის გაზეთი დიდათ ეხმარება საბჭოთა მეურნეობას ყველა ნაკლოვანებების დროზე ლიკვიდაციის საქმეში.

კ—ძე

რა მოგვცა სანარდო სისტემამ

ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში დაგვიანებით შეუდგნენ სანარდო სისტემის გატარებას მუშაობის ზოგ დარგში. ბამბის კრეფა დაიწყო ბრიგადული სანარდო სისტემით, ბრიგადა აბარებდა ბამბას და ფულს იყოფდა თანაბრად ბრიგადის ყველა წევრებზე,—ბამბის კრეფის ასეთი წესი საქმეში არ შეიქნა გამოსადეგი.

ინდივიდუალური სანარდო მუშაობის უპირატესობა ვერ შეიგნეს მეურნეობის ხუტორების გამგეებმა და ზოგიერთ აგრონომებმა; ისინი ილაშქრებდენ ინდივიდუალური სანარდო სისტემის წინააღმდეგ, მაგრამ მათ გამოსვლას სათანადო შეფასება მისცა საქ. კ.კ. ცეკას ბრიგადამ. ამხ. პ. აზარაშვილის მოთხოვნით შემოღებული იქნა ინდივიდუალური სანარდო სისტემა, ამჟამად თვითეული მუშა თავის ტომარზეა მიმაგრებული და იცის, რომ თუ ბევრს მოკრეფს, ბევრს მიიღებს, ნაკლებს მოკრეფს, ნაკლებს მიიღებს. ინდივიდუალურმა სანარდო სისტემამ მოგვცა შრომის ნაყოფიერების ზრდა. მაგალითად, თუ წინად საშუალო კაც-დღეზე გამომუშავება უდრიდა 10—13 კილოს, ინდივიდუალური სანარდო სისტემის გატარების შემდეგ, კაც-დღეზე გამომუშავება საშუალოდ უდრის 18—20 კილოს.

აღსანიშნავია ერთი ნაკლი, სახელდობრ ის, რომ წონის დროს ყურადღებას არ აქცევენ ბამბის ხარისხს; ასეთი უყურადღებობის შედეგია, რომ ტომარაში ყრიან ნედლ ბამბას და ზოგჯერ ქვასაც, იმისათვის, რომ წონაში მეტი მოვიდეს; აგრეთვე შემჩნეულია, რომ მიწაზე დაცვენილ ბამბას არ კრეფენ სუფთად. ხუტორების აგრონომები მინდვრად არ გადიან და არ ხელმძღვანელობენ ბამბის კრეფას. მეურნეობას უფროსი აგრონომი ამხ. პერვასი კითხულობს მხოლოდ ცნობებს, იმის შესახებ, თუ სად რამდენი მოიკრიფა.

აღსანიშნავია აღრიცხვის საკითხის სრული მოუწესრიგებლობა, მუშებს, რომლებსაც მიაქვთ ხუტორებში ბამბა ასაწონად, ღამის 12—2 საათამდე უხდებათ ცდა სასწორთან, ვინაიდან არ არის საკმაო სასწორები და არც ზომებია მიღებული ამ ნაკლის გამოსასწორებლად. მეურნეობას არ ყავს მონანგარიშეების საკმაო კადრი, რაც იწვევს მუშებისათვის ანგარიშის გასწორების დაგვიანებას.

საჭიროა სიღნაღის რაიკომმა მობილიზაცია უყოს მონანგარიშეებს და მიავლინოს ისინი ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში, რათა აღმოფხვრილი იქნას ის დეფექტები, რომელიც გვაქვს შრომის აღრიცხვის და მუშებისათვის ანგარიშის გასწორების საქმეში.

„კომუნისტი"-ს საგუშაგო.

აკრეფის ტემპები გაძლიერდა

(წერილი ალაზნის ველიდან)

მეოთხე ხუტორში („ალაზანი") ბამბის აკრეფის ტემპები დღითიდღე ძლიერდება. ამას ხელი შეუწყო სამეურნეო ინსტიტუტის 140 სტუდენტების ენერგიულმა მუშაობამ.

სოცშეჯიბრების და დამკვრელობის საფუძველზე გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერებაც: 19 ოქტომბერს კაც-დღეზე საშუალოდ აკრეფილი იქნა 16,1 კილო ბამბა, 20 ოქტომბერს—18,1 კილო და 21 ოქტომბერს — 20,9 კილო. შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო გადიდება შეიძლება, რომ ხუტორის ადმინისტრაცია სათანადო ყურადღებას აქცევდეს კრეფისათვის საჭირო ორგანიზაციას.

ტრანსპორტის სიმცირის გამო საკრეფ ადგილამდე მუშებს რამდენიმე კილომეტრი გავლა ფეხით უხდებათ; მუშები საკმაოდ ვერ არიან მომარაგებული წყლით, ამ ბოლო დღეებში ხუტორს არ მოეპოვებოდა მოძრავი სამზარეულო, —ეს ნაკლი. ეხლა გამოსწორებულია.

ი. ჭოჭუა, გ. მესტიაშვილი

კულაკები არ ასრულებენ მტკიცე დავალებას

ქუთაისი 28 ოქტომბერი, საქ. კორესპ.) მიმდინარე შემოდგომაზე რაიკოპკავშირის მიერ რაიონში უნდა დამზადებულიყო 539 ცენტნერი ბამბა. 1 ოქტომბრისათვის უნდა დამზადებულიყო წლიური გეგმის 43 პროც., სინამდვილეში 21 ოქტომბრისათვის დამზადებული იყო — 2,3 პროც., მართალია გამუდმებულმა წვიმებმა ხელი შეუშალა ბამბის აკრეფას, მაგრამ ამჟამად წარმოებული დამზადების ტემპი სავსებით ვერ უპასუხებს სადღეისო მუშაობის ტემპს.

კულაკებზე მიცემული მტკიცე დავალება 30 ცენტნერი დღემდე შეუსრულებელია, კულაკებიდან არც ერთი გრამი ბამბა არ არის ჩაბარებული, ინდივიდუალურ სექტორიდან ჩაბარებულია 2 ცენტნერი.

26 ოქტომბერ. რაიკოოპკავშირმა გამოყო კომკავშირელების 10 ბრიგადა, რომელიც უკვე გაემგზავრენ კოლმეურნეობებში ბამბის აკრეფაში დახმარების გასაწევად.

ვ. ლ—ი

კულაკებს არ „აწუხებენ"

ბორჩალოს რაიონის მებამბეობის ძირითად სას. საბჭოებში პირველი აკრეფა დამთავრებული არ არის. ამავე დროს ამ სას. საბჭოებში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ ადგილებში, ნაწილობრივად დაწყებულია მეორეთ აკრეფა.

25 ოქტომბრისთვის რაიონში აკრეფილი იყო სულ 25.228 ცენტნერი ბამბა, შესრულებულია გეგმის 86,7 პროც., კოლმეურნეობებში აკრეფილია 11.050 ცენტნერი (გეგმის 36 პროც.), საბჭოთა მეურნეობებს აკრეფის გეგმა შესრულებული აქვთ 32 პროც., კერძო სექტორს 36,9 პროც.; ხოლო კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებს 24 პროც.

წინ მიდიან შემდეგი სას. საბჭოები: სადახლოს სას. საბჭოს შესრულებული აქვს გეგმის—72 პროც.; შაუმიანის —50 პროც.; კიზილ-აჯლოს—51 პროც. და გიაურ-არხის სას. საბჭოს—50 პროც.

ჩამორჩენილი არიან: აშაღასერალის (17 პროც.), კაჩაგანის (27 პროც.), ქურთლარის (28 პროც.) და სხვა სას. საბჭოები. ამრიგად მებამბეობის ძირითად სას. საბჭოებში ბამბის აკრეფა ისევ ნელის ტემპით მიმდინარეობს.

ბამბის აკრეფა განსაკუთრებით ჩამორჩენილია კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებში, რაც იმას მოწმობს, რომ რაიონის ხელმძღვანელ ორგანიზაციების წინადადება კულაკურ-შეძლებულ მეურნეობების მიმართ ადგილებს არ შეუსრულებიათ და, რომ თემებს ადგილობრივი ორგანიზაციები შემარიგებლობას იჩენენ კულაკურ შეძლებულ მეურნეობებისადმი.

ქურთლარის, კაჩაგანის და სხვ. თემებში არის შემთხვევები, როცა კულაკები ზერელეთ უდგებიან ბამბის აკრეფას და თავის მით ამართლებენ, რომ თითქოს მუშა-ხელი არ იშოვება. ამავე მიზეზით კულაკები აჭიანურებენ მოკრეფილ ბამბის ჩამბარებელ პუნქტში მიზიდვას.

ასეთი შემარიგებლური განწყობილება კულაკურ მეურნეობებისადმი ძირიანად უნდა აღმოიფხვრას, მკაცრი ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ კულაკურმა მეურნეობებმა დაუყოვნებლივ შეასრულონ მტკიცე დავალება.

ბრიგადირი.

ბამბის შესყიდვა ნელი ტემპით მიმდინარეობს

ბამბის შესყიდვა ბორჩალოს რაიონში ისევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ოქტომბრის მეხუთე ხუთდღიურში შესყიდულია სულ 440 ტონა ნედლი ბამბა, რაც წლიური გეგმით 6 პროც. შეადგენს.

25 ოქტომბრისათვის დამზადებულია სულ 2217,7 ტონა, შესრულებულია წლიური გეგმის 30,8 პროც.; აქედან შესყიდულია კოლმეურნეობებში 1.022 ტონა, რაც გეგმის 32,9 პროც. შეადგენს, საბჭოთა მეურნეობებში — 105,9 ტონა (გეგმის 29,4 პროც.), ინდივიდუალური მეურნეობებში — 966,1 ტონა (გეგმის 28,2 პროც.), ხოლო კულაკების და შეძლებულ მეურნეობებისაგან (მტკიცე დავალებით) — 112,5 ტონა, რაც გეგმის 32,4 პროც. შეადგენს.

დამკვრელი თვის დამთავრებამდე მხოლოდ ორი დღე დარჩა. საჭიროა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამ დღეებში გადამჭრელი ზომები მიიღონ და დამკვრელი თვის ამოცანა მთლიანად შეასრულონ.

ნ. —ძე

საბჭოთა კავშირში

კომერციულ მაღაზიებში საქონლის ფასების დაკლების შესახებ

(შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ ფასების კომიტეტის დადგენილება)

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. ფასების კომიტეტი ადგენს:

1. შემცირებულ იქნას საქონლის ფასები კომერციულ მაღაზიებში საშუალოდ 30 პროცენტით.

2. დამტკიცებულ იქნას ფასების ახალი პრეისკურანტები კომერციულ მაღაზიებში ისეთი საქონლისათვის; როგორიცაა: ბამბის ქსოვილები, სამკერვალო ნაწარმი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი; თამბაქოს ნაწარმი, სარეცხი და ხელსაბანი საპონი, კალოში; თევზის საქონელი, ხილი, რძის პროდუქტები, ხორცის პროდუქტები, თევზის კონსერვები, შაქარი და ფრინველი. ამ პრეისკურანტებში გათვალისწინებულ იქნას საქონლის ჯგუფების მიხედვით კომერციულ მაღაზიებში ფასების დაკლების საშუალო პროცენტი შემდეგი რაოდენობით:

ა) ბამბის ქსოვილები—30 პროცენტით,
ბ) სამკერვალო ნაწარმი—31,5 პროც.,
გ) ფეხსაცმელი—32,6 პროც.-ით;
დ) კალოში—31 პროც.,
ე) თამბაქოს ნაწარმი—23 პროც.,
ვ) სარეცხი და ხელსაბანი საპონი—32 პროც.,
ზ) ტრიკო (ტრიკოტაჟი)—27 პროც.,
თ) შაქარი—15,5 პროც.,
ი) თევზის საქონელი—27,3 პროც.,
კ) ხორცის პროდუქტები, ძეხვი, შვარტლში გატარებული პროდუქტები და ხორცის კონსერვები—29,3 პროც.,
ლ) რძის პროდუქტები—26,7 პროც.,
მ) თევზის კონსერვები—30 პროც.,
ნ) ხილი—23 პროც.,

3) საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატმა მთელი ვაჭრობა კომერციულ მაღაზიებში აწარმოოს ახალი საპრეისკურანტო ფასებით, ამასთან ეს ფასები გამოკიდებულ უნდა იქნას მაღაზიებში მყიდველთა ცნობისათვის.

4. პირველ მუხლში აღნიშნული ფასების შემცირება გატარდეს ცხოვრებაში 1931 წლის 1-ლ ნოემბრიდან.

5. ფასების დაწესება და შეცვლა კომერციულ მაღაზიებში შეიძლება მოხდეს მხოლოდ ფასების კომიტეტის ნებართვით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ ფასების კომიტეტის თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
ფასების კომიტეტის მდივანი ტერ-ეგიაზარიანი.

მოსკოვი, კრემლი.
1931 წლის 27 ოქტომბერი.

მაღაზიებში გამოკრული უნდა იქნას საცალო ფასები

(შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ ფასების კომიტეტის დადგენილება)

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას მომხმარებელთა კონტროლი კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებში არსებულ ფასებზე, აგრეთვე იმისათვის, რომ შემსუბუქებულ იქნას მასიური კონტროლი ფასების თვითნებურად გადიდებასთან ბრძოლაში,—შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფასების კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს ყველა მოვაჭრე ორგანიზაციებს სავაჭრო საწარმოთა (მაღაზიები, დუქნები, კიოსკები და სხვ.) გამგეების პირადი პასუხისმგებლობით გამოაკრან თვალსაჩინო ადგილზე საცალო ფასების პრეისკურანტები.

2. ამ დადგენილების დარღვევისათვის სავაჭრო საწარმოების გამგეები მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფასების კომიტეტის თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
კომიტეტის მდივანი ტერ-ეგიაზარიანი.

მოსკოვი—კრემლი.
27 ოქტომბერი, 1931 წ.

საბჭ. ავიაციის ახალი მიღწევა—„ვერტოლიოტ"-ი

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. საბჭოთა ავიაციის ახალი მიღწევა.

პატაკი.

მოსკოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტს—ამხ. სტალინს, საკავშირო სახკომსაბჭოს—ამხ. მოლოტოვს, სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარს ამხ. ვოროშილოვს, საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმს—ამხ. უნშლიხტს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს—ამხ. ალქსნისს, სამხედრო ავიაციის გაერთიანების უფროსს—ამხ. გარინოვს და სამოქალაქო ავიაციის საკავშირო გაერთიანების უფროსს—ამხ. გოლცმანს.

კონსტრუქტორთა ჯგუფი ს. ს. რ. კ. თავდაცვა-ავიაქიმის ავიოგანყოფილებასთან 1928 წლიდან საზოგადოებრივი წესით აწარმოებდა მუშაობას ახალი ტიპის საფრენი აპარატის „ვერტოლიოტ"-ის პროექტის შესადგენად, ასაგებად და გამოსაცდელად.

რამდენიმე მარცხის შემდეგ, ბოლოს, მოვახერხეთ საბჭოთა „ვერტოლიოტ"-ის აგება და დიდ წარმატებებს მივაღწიეთ მის დამზადებასა და გამოცდაში. მანქანა მით განირჩევა აეროპლანისაგან, რომ მას არა აქვს ფრთები, ფრინავს ხრახნილების საშუალებით და მას არ სჭირდება სპეციალური აეროდრომი. მას შეუძლია დაეშვას ძალიან პატარა მოედანზე (20-30 მეტრზე). მანქანას შეუძლია ფრენა დიდი და ძალიან მცირე ჰორიზონტალური სისწრაფით (დაახლოებით 35 კილომეტრი საათში). მართვა ჰაერში აფრენის და დაშვების დროს ძალიან მარტივია. მანქანა მტკიცეა და არ არის საშიში. შემდეგში ჩვენ დავამუშავებთ საკითხს ადგილიდან აფრენის, მაქსიმალური ჰორიზონტალური სისწრაფის და ჩქარი აფრენის შესახებ.

უახლოეს მომავალში „ვერტოლიოტ"-ი ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საბჭოთა ავიაციის ბევრ დარგში, მაგალითად:

1) ადგილებთან კავშირის გასაბმელად უაეროდრომოდ.
2) არქტიკული ფრენებისათვის,
3) გაფრენისათვის მთიან ოლქებში,
4) სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად და ტყეების დასაცავად ხანძრისაგან და სხვ.
5) საჰაერო ხაზების, რკინის გზების და გზატკეცილების საძიებლად
6) აეროფოტოგადაღებისათვის ;
7) სანიტარული სამსახურისათვის (სწრაფი დახმარების საჰაერო ეტლი);
8) სხვადასხვა დანიშნულებისათვის (მსუბუქი ტიპის);

მანქანა მთლიანად აგებულია საბჭოთა მასალიდან და საბჭოთა სპეციალისტების მიერ.

წითელი ავიაციის ეს წარმატება მიღწეულია თავდაცვა-ავიაქიმის მრავალმილიონიან კავშირში გაერთიანებულ ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებით,—თავდაცვა-ავიაქიმის, რომელიც ლენინური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე მუშაობს და აწარმოებს ბრძოლას ტექნიკის დაუფლებისათვის.

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საავიაციო განყოფილების უფროსი ეგოროვი.

ცენტრალურ საბჭოს საავიაციო განყოფილების უფროსის მოადგილე მსუბუქ მოტორიანი ავიაციის დარგში საზანოვი.

ინჟენრები-კონსტრუქტორები კამოვი და სკრჟინსკი.
ავიოტექნიკოსი კრენტინი.
(ადს).

„სოიუზსახარ"-ის საბჭოთა მეურნეობებში

სასაქონლო მარცვლეულს მასიურად უმალავდნენ სახელმწიფოს

„სოიუზსახარ"-ის ხელმძღვანელობა სათანადო წინააღმდეგობას არ უწევდა, არამედ თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა ამ ტენდენციებს

(საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება)

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც შეამოწმა „სოიუზსახარ"-ის 44 კომბინატის მიერ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საქმე. ცენტ. კომიტეტი აღნიშნავს.

1. „სოიუზსახარ"-ის საბჭოთა მეურნეობებში გამოაშკარავდა სასაქონლო მარცვლეულის მასიური დამალვა სახელმწიფოსაგან.

ა) ყველა შემოწმებულ საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობას და, მაშასადამე, აღებული საერთო მოსავლის რაოდენობას ბოროტი განზრახვით ფაქტიურზე ნაკლებს უჩვენებდნენ; ბ) კომბინატები არ ანგარიშობდნენ გასული წლის მარცვლეულის გარდამავალ ნაშთს; გ) განზრახ არაკეთილსინდისიერათ გაღლეტილ აკუთნებდნენ ნარჩენს და მალავდნენ სახმარად ვარგის მარცვლეულის საგრძნობ რაოდენობას; დ) მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეულის საგრძნობი რაოდენობა (100 ცენტნერამდე თითო საბჭ. მეურნეობაში) არ არის შემოსავალში გატარებული და ამით დატოვებულია საბჭოთა მეურნეობების უკანტროლო სარგებლობაში.

2. „სოიუზსახარ"-ის საბჭოთა მეურნეობებში, მარცვლეულის რესურსების განზრახ ნაკლები რაოდენობით ჩვენებასთან ერთად, გამოირკვა სამრეწველო, პირუტყვის საკვების და თესლის ფონდების საგრძნობი გადაჭარბებით ჩვენება, რაც მთელ რიგ შემთხვევებში პირდაპირ აფერისტობას უდრის.

ა) მუშა-ხელის მოთხოვნილებას ნამდვილად საჭიროზე ერთ-ნახევარ და ორჯერ მეტს უჩვენებდნენ; ბ) ადამიანთა მომარაგების ნორმებს კანონით დაწესებულ ამეტებდნენ; გ) მუშების და მოსამსახურეების ოჯახთა წევრების რაოდენობა, რომელიც ნაჩვენები იყო პურის და ფურაჟის ბალანსის შედგენის დროს, ორ-სამჯერ აღემატებოდა ფაქტიურად არსებულ რაოდენობას; დ) პირუტყვის მარცვლეულით კვების ნორმების დაწესებას მფლანგველობა ახასიათებდა, ეს ნორმები ორ-სამჯერ აღემატებოდა ნამდვილად საჭიროს; ე) თესლეულის საჭიროებას ანგარიშობდნენ არარსებულ და აგრონომიული წესებით ზედმეტ, აშკარად გადაჭარბებულ ნორმების მიხედვით.

ყოველივე ამან ერთად „სოიუზსახარ"-ის კომბინატებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოიწვია არა მარტო სასაქონლო მარცვლეულის გადამალვა, არამედ პირდაპირი გამფლანგველობა პურის ხარჯვაში, რის შედეგად მოსავლის აღებიდან გასული დროის განმავლობაში „სოიუზსახარ"-მა უკანტროლოდ გაფლანგა სულ მცირე 3-4 მილიონი ფუთი მარცვლეული.

„სოიუზსახარ"-ის ხელმძღვანელობა არამც თუ არ უწევდა სათანადო წინააღმდეგობას კომბინატების და საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციის ბურჟუაზიულ ტენდენციებს, არამედ თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა ამ ტენდენციებს. „სოიუზსახარ"-ს მიცემული ჰქონდა მტკიცე დავალება—სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 30 მილიონი სასაქონლო მარცვლეული, მან მთელი პარტიის წინაშე, ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოსათვის გაგზავნილ პატაკში, საზეიმოდ იკისრა ამ 30 მილიონი ფუთის მთლიანად ჩაბარება, მაგრამ, ყველა პირობების მიუხედავად, დაპირება არ შეასრულა, თვითნებურად შეამცირა ეს დავალება და სექტემბერში გაიღო 11,8 მილიონი ფუთი, ხოლო ოქტომბერში—8 მილიონამდე.

ყოველივე ამის მიხედვით ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. „სოიუზსახარ"-ის გამგეობის თავმჯდომარე ადამოვიჩი მოიხსნას თანამდებობიდან და აეკრძალოს მას ორი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება გაფრთხილებით, რომ სულ მცირედი ცდა მისი მხრით—გვერდი აუაროს საბჭოთა ან პარტიულ დისციპლინას—გამოიწვევს მის დაუყოვნებლივ გამორიცხვას პარტიიდან.

2. „სოიუზსახარ"-ის გამგეობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ამჟამად ხარკოვის შაქრის ტრესტის დირექტორი ნიკოლაევსკი მოიხსნას თანამდებობიდან და აეკრძალოს მას საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება ორი წლის განმავლობაში.

3. „სოიუზსახარ"-ის გამგეობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ამჟამად კიევის ტრესტის დირექტორი სობესკი და ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქის შაქარტრესტის დირექტორი სევასტიანინი მოიხსნან თანამდებობიდან.

4. მონიშნულ იქნას კომისიის მიერ დადგენილი სასჯელი და მის მიერ სახელმწიფო მარცვლეულის ბოროტი გამფლანგველები და სასაქონლო პურის დამფარველების დაპატიმრება.

5. „სოიუზსახარ"-ის საბჭოთა მეურნეობების მიერ პურის ჩაბარების გეგმა დაწესდეს 24 მილიონი ფუთი პურის და პირუტყვის საკვების რაოდენობით.

მომარაგების სახალხო კომისარიატმა და „სოიუზსახარ"-მა პურის ჩაბარების დაწესებული გეგმის შესრულება დაამთავრონ მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე.

6. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კანტროლი გაუწიონ ამ დავალების ვადაზე შესრულებას (ადს).

მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი

მესამე ტური

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. მესამე ტურში სოროკინმა წააგო რიუმინთან, გოგლიძემ — იუდოვიჩთან, გასპარიანმა—ბოტვინიკთან, ბუდომ—ბოგატირჩუკთან, სოზინმა —კანთან, ქენევსკიმ —კირილოვთან, მაზელმა —ზამიხოვსკისთან, რაუზერ-ლისიცინის და ალატორცევ - ვერლინსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეოთხე ტური

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. მეოთხე ტურში კასპარიანმა წააგო რიუმინთან, გოგლიძემ — ბოტვინიკთან, რაუზერმა —ვერლინსკისთან, ბოგატირჩუკმა —მაზელთან, სოზინმა — ზამიხოვსკისთან, ბუდომ—იუდოვიჩთან, კირილოვ - სოროკინის, კან-ალატორცევის და ლისიცინ - ქენევსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ვ. გოგლიძე.

ოქტომბრის 14 წლის თავზე სტალინელები გეგმის ზევით იძლევიან 24 საბარგო ვაგონს

სამტრედიის რკინის გზის დეპოში დღემდე არ დაუმუშავებიათ ამხ. ანდრეევის ბრძანება

24 საბარგო ვაგონი ოქტომბრის 14 წლ. თავზე

27 ოქტომბერს სტალინის სახ. ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის საბარგო-სავაგონო საამქროში, შესდგა ამავე საამქროს სახელდახელო საერთო კრებები; კრებაზე საშემოდგომო - საზამთრო გადაზიდვის შესახებ, მოხსენება გააკეთა საამქროს გამგე ამხ. ი. შაცკიმ.

საერთო კრების მიერ მიღებული დადგენილებით ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლის თავის აღსანიშნავად და საშემოდგომო - საზამთრო გადაზიდვების უზრუნველსაყოფად, 7 ნოემბერს კონვენციური შეკეთებიდან გამოშვებული იქნება ოქტომბრის 14 წლის თავის სახელობის 20 საბარგო ვაგონი.

ოქტომბრის 14 წლის თავის აღსანიშნავად ორ ვაგონს გამოუშვებს ამავე საამქროს ოსოავიაქიმის უჯრედი და ორ ვაგონს კომკავშირი. ამრიგად, ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლის თავის აღსანიშნავად და საშემოდგომო - საზამთრო გადაზიდვების უზრუნველსაყოფად, საბარგო სავაგონო საამქრო, (გეგმის გარეშე) 7 ნოემბრისათვის კონვენციური შეკეთებიდან გამოუშვებს ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლის თავის სახელობის 24 სხვადასხვა საბარგო ვაგონს.

დ. ჯლარკავა

დამკვრელ მუშების შეკრება

18 ოქტომბერს სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის საბარგო-სავაგონო საამქროში შესდგა ამავე საამქროს დამკვრელ მუშების და მუშკორთა გაერთიანებული შეკრება.

შეკრების დღის წესრიგში იდგა ბელადის ექვსი მითითების, ამხ. ანდრეევის ბრძანების და ბაქოს მუშების მოწოდების დამუშავება. კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია შემდეგი: ჩვენ საბარგო საამქროს დამკვრელი მუშები და მუშკორები ამხ. სტალინის მითითების, ამხ. ანდრეევის ბრძანების და ბაქოს მუშების მოწოდებას ცხოვრებაში გატარებისათვის სიტყვას ვიძლევით, რომ ჩვენი პროგრამის ძირითადი ლოზუნგათ გავხდით ბელადის მითითებათა შესრულებას. სინამდვილეში გავატარებთ ლოზუნგს, „ვიმუშაოთ ახალი წესით, უხელმძღვანელოთ ახალი წესით“, განვამტკიცებთ სამეურნეო ანგარიშზე გადასული საამქროს ანგარიშს, დავაჩქარებთ სამეურნეო ანგარიშზე ბრიგადების გადასვლას და პროგრესიული სანარდო სისტემის შემოღებას; ბოლშევიკური შეტევით და წითელი კალმით ვიბრძოლებთ გაუპიროვნების და გათანაბრების ძირშივე აღმოსაფხვრელად, ხარისხის გაუმჯობესების და წუნის აღმოფხვრისათვის, რომ რკ. გზას მივსცეთ საღი საბარგო ვაგონები; მოვსპობთ შეკეთებაში ვაგონების ნორმაზე ზევით გაჩერებას, განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას, ვიბრძოლებთ ტეხნიკის დაუფლებისათვის, ბოლშევიკური ბრძოლით ვძლევთ უმთავრეს მემარჯვენე საფრთხეს მემარცხენე ოპორტუნისტულ დიდმპყრობელურ და ნაციონალისტურ გადახრებს, ფართოდ გავშლით სტალინურ საწ. ლაშქრობას და მთელ ჩვენ მუშაობას გარდავქმნით ძირფესვიანად.

დამკვრელი მუშები და მუშკორები აღნიშნული საკითხების უკეთ დამუშავების და განხორციელებისათვის, სოცშეჯიბრებაში იწვევს სამგზავრო - სავაგონო და ორთქლმავალთა ამწყობ საამქროს დამკვრელ მუშებს და მუშკორებს.

შეკრებამ საამქროებთან სოცშეჯიბრის ხელშეკრულების დასადებად გამოყო მუშათა ბრიგადა.

დ. ჯლარკავა

ა-კ. რკინის გზების გამტარუნარიანობა იზრდება

ა. კ. რკინის გზამ ვერ შესძლო დროზე გაეშალა მუშაობა გზის გამტარუნარიანობის გასადიდებლად, რაშიაც მთლიანად ბრალი უნდა დაედოს დირექციას და საამშენებლო განყოფილების უფროსს დიკარიოვს. უკანასკნელი მოხსნილია არა საქმო განკარგულების გამოჩენისა და ცუდი ხელმძღვანელობისათვის.

ახალი შემადგენლობის დროს დაიწყო მთელი რიგი სამუშაოები, დანარჩენი კი მკვდარ წერტილიდან იქნა დაძრული. უკვე დამთავრებულია მეორე ლიანდაგის გაყვანა ტაუზ - კოდლიარის გადასარბენზე, კოდლიარ- გეგმის მეორე ლიანდაგის გაყვანა კი გადადებულ იქნა 1932 წლისათვის შპალისა და რელსის მიუღებლობის გამო საჭირო რაოდენობით. დღემდე შესრულებულია მთელი ამ სამუშაოს 95%

კვანძების გადაკეთება და ხაშურის სადგურის გაფართოება შესრულებულია 30%-ით. თბილისის სადგურის გაფართოება 26%-ით. ასაქცევების მოწყობა: არგვეთის--100%-ით, ორპირის-80%-ით. ლიანდაგის პროფილის გაუმჯობესება და ქანობის შემცირება გარდაბან-რუსთავისა და რუსთავ-ყარაიას გადარბენებზე. 43%-ით, ფუთა-ეიბატის-62%-ით, ლენინაკან-ულუხანლუს —15%-ით.

სადგ. მოლითის სასადგურო ლიანდაგების გაფართოება დამთავრებულია, დამჭერი ჩიხის მოწყობა 1 ოქტომბრისათვის შესრულებულია 84%-ით, სადგ. მარელისის სასადგურო ლიანდაგების გაგრძელება დამთავრებულია ლიხის სადგურის შენებლობის გეგმა შესრულებულია 39%-ით, ნავთლუღის სადგურის მეორე ლიანდაგის დაგება საწყობისაკენ შესრულებულია 80%-ით, კალაგერანის სადგურის გაფართოების შესრულებულია 82%-ით, შაგალის სადგურის ლიანდაგის გაგრძელება—48%-ით, არაქსის—60%-ით, ანისის—85%-ით, აგინის—70%-ით, სარდარ - აბადის—60%-ით კარაბურუნის—60%-ით.

ყველა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დასასრულებელ სამუშაოთა დროზე შესრულებას. უნდა გვახსოვდეს, რომ სამშენებლო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაზე დიდათ არის დამოკიდებული შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის გეგმის შესრულება.

რკინიგზელი

როგორ მუშაობდა გზა 23 ოქტომბერს

23 ოქტომბერი, პირველმა რაიონმა დატვირთა 247 ვაგონი; (ნორმა იყო 305 ვაგონი); აქედან: პურეული ტვირთით — 37 ვაგონი, შაქრით— 9 ვაგ., დანარჩენი საკვები პროდუქტით — 3 ვაგონი, მარგანეცით — 45 ვაგონი, ლითონის ნაწარმოებით— 4 ვაგონი, საშენებ. მასალით — 46 ვაგონი ,ხე-ტყის მასალით — 5 ვაგონი და დანარჩენ ტვირთით — 4 ვაგონი.

მეორე რაიონმა დატვირთა 215 ვაგონი (ნორმა 204 ვაგონი. აქედან: პურეული ტვირთით — 11 ვაგ., საკლავი ცხოველით — 14 ვაგ., მალფუჭებადი ტვირთით — 11 ვაგ., დანარჩენი საკვები პროდუქტით — 7 ვაგ., მადნეულით — 8 ვაგ., ლითონის ნაწარმოებით — 2 ვაგ., საშენებ. მასალით (კირი, ცემენტი) — 54 ვაგ., ხე-ტყის მასალით 32 ვაგ., შეშით — 27 ვაგ., დანარჩენი ტვირთით — 46 ვაგ.

მესამე რაიონმა დატვირთა 271 ვაგონი (ნორმა — 197 ვაგ.,), აქედან: პურეული ტვირთით — 14 ვაგ., მარილით — 3 ვაგ., მალფუჭებადი ტვირთით — 13 ვაგ., ზეთი, მარცვლეული და სხვა — 14 ვაგ., კოპტონი — 3 ვაგ., დანარჩენი საკვები პროდუქტი — 9 ვაგ., მადნეული — 3 ვაგ., ლითონი — 8 ვაგ., საშენებ. მასალა — 20 ვაგ., ხე-ტყის მასალა— 17 ვაგ., თივა — 17 ვაგ., ბამბა — 68 ვაგ., ბამბის თესლი — 19 ვაგ., დანარჩენი ტვირთით — 59 ვაგონი.

მეოთხე რაიონმა დატვირთა 189 ვაგონი (ნორმა — 189 ვაგონი), აქედან: საკლავი ცხოველით — 31 ვაგ., მალფუჭებადი ტვირთით — 4 ვაგ., მადნეული — 1 ვაგ., ლითონით და ლითონის ნაწარმოებით — 6 ვაგ., საშენებ. მასალით (ტუფი და პემზა) — 76 ვაგ., ხე-ტყის მასალით — 2 ვაგ., შეშით — 3 ვაგ., თივით და ჩალით — 5 ვაგ., ბამბით — 17 ვაგ., დანარჩენი ტვირთით — 44 ვაგონი.

შედარებით დაბრკოლებულია იმპორტი სპარსეთიდან და თურქეთიდან. ლენინაკანის მახლობლად უცდის დატვირთვას საბჭოთა კავშირში გასაგზავნად 5.000 სული მსხვილფეხა და 12,000 წვრილფეხა პირუტყვი. ცარიელი ვაგონების მიუწოდებლობის გამო პირუტყვის კვება დიდ ხარჯებს იწვევს, აგრეთვე გვიხდება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების დარღვევისათვის.

23 ოქტომბრისათვის ჩასხმულ იქნა ნავთპროდუქტი 533 ცისტერნა, ნორმა — 610 ცისტერნა. ნორმის შეუსრულებლობა უნდა მიეწეროს ნავთობ-მარშრუტის მარცხს კერავისა და წიფა-ლიხის გადასარბენებზე.

მემანქანე

დირექტივებს უცდიან

(სამტრედია)

სამტრედიის რკ. გზ. დეპოს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ დაუწყიათ საკ. გზ. სახალხო კომისარის ამხ. ანდრეევის ბრძანების ცხოვრებაში გასატარებლად, დეპოს პარტიულ და პროფ. ხელმძღვანელობები აცხადებენ რომ „ახლა მიდის ბელადის მითითებათა 6 პირობის შემოწმება და მისთვის ჯერ არ გვცალია.თანაც მისი დამუშავების შესახებ არავითარი დირექტივა არ მიგვიღია“-ო. ეს ხდება იმ დროს როდესაც ამხ. ანდრეევის ბრძანების ცხოვრებაში გატარება გადაუდებელი ამოცანაა.

საჭიროა სამტრედიის რკინის კვანძზე დაუყონებლივ დამუშავდეს ეს საკითხი. რკ. გზ. ყოველი მუშა უნდა გაეცნოს ამხ. ანდრეევის 13 ოქტომბრის ბრძანებას.

ა. კ.

დაკრედიტების ახალ წესზე გადასვლამდე 3 დღე დარჩა

გავაძლიეროთ მოსამზადებელი მუშაობის ტემპები

სასამართლოს ორგანოებმა უნდა განახორციელონ სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებაზე ნამდვილი კონტროლი

ტყავის მრეწველობამ უნდა გააძლიეროს სამზადისი

დაკრედიტების ახალ წესზე გადასასვლელად ტყავის მრეწველობის ტრესტი შეუდგა სამზადისს. მეოთხე კვარტალისათვის საჭირო ფინგეგმა შედგენილია ტრესტში გაერთიანებული ყველა ქარხნებისათვის. ფინგეგმაში ამჟამად შეაქვთ ზოგიერთი შესწორებები დაკრედიტების ახალ წესზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბალანსების შედგენა დაკვრითი წესით მიმდინარეობს. ტრესტის საწარმოების ბალანსები მზად იქნება უახლოეს ორ დღეში.

ტრესტის განკარგულებაში არსებული საკუთარ საშუალებათა თანხა 1-ლი ოქტომბრისათვის უდრიდა 600.000 მანეთს. ეხლა 263.000 მან მოითხოვს ბანკიდან ტრესტი, მაგრამ ვინაიდან ბანკს ტრესტის საწარმოებისათვის უკვე მიცემული აქვს 200.000 მანეთი, მეოთხე კვარტალში მისაღებათ რჩება 63.000 მანეთი.

დაკრედიტების ახალ წესზე გადასვლა, შესაძლებელია დააბრკოლოს ერთმა გარემოებამ. ეს დაბრკოლება შეეხება თექის ფაბრიკას, რომელიც მართალია, წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, მაგრამ მისი პროდუქცია სატრანსპორტო საშუალებათა სიმცირის გამო თავის დროზე არ იქნება დანიშნულებისამებრ გადაგზავნილი. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად რკინის გზის უწყება უნდა შეეცადოს ვაგონების თავის დროზე მოწოდებას, ან ბანკმა ტრესტს უნდა გაუხსნას სპეციალური სესხი „საქონლის ქვეშ“.

უახლოეს დღეებში ტრესტის მუშაობასთან დაკავშირებით ეს საკითხები უნდა იქნეს მოგვარებული, რომ სახელმწიფო ბანკმა შემდეგში საჭიროების დროს კრედიტები გაუხსნას ტყავის მრეწველობის ტრესტს.

სასამართლო ორგანოების როლი

პირველ ნოემბრიდან საბჭოთა კავშირში ტარდება დაკრედიტების ახალი წესი. საბჭოთა სასამართლოს ორგანოებმა და პროკურატურამ ამ საქმეში და საერთოდ სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებაში შეუძლიათ და უნდა ითამაშონ დიდი როლი.

სამეურნეო ხელშეკრულებანი, რომელიც დადებულია ცალკე სამეურნეო დამამზადებელ და მომხმარებელ ორგანიზაციებს შორის, გარკვევით გულისხმობს მისი დამრღვევი მხარის მიერ განსაზღვრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას. ჩვენ სინამდვილეში, კერძოდ თბილისში, ზოგიერთ სამეურნეო ორგანოები და საწარმონი სრულებით არ ასრულებენ თავიანთ სამეურნეო ხელშეკრულებებს, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანი პასუხისგებაში მიეცათ და სათანადოდ დაესაჯათ, ამ გარემოებას ხელს უწყობს, სუსტი საპროკურატურო ზედამხედველობაც, რომელიც სათანადო ცნობებს ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევების შესახებ დროზე ვერ იღებს.

ეხლა, როდესაც პირველ ნოემბრიდან შემოღებულ იქნება დაკრედიტების ახალი წესი, განსაკუთრებით იზრდება სასამართლო ორგანოების და პროკურატურის როლი სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულების და კრედიტების სწორი გამოყენების მსვლელობაზე ზედამხედველობის დარგში.

როგორც ვიცით ბანკის მიერ გაცემული კრედიტები იქნება მიზნობრივი და ვადიანი. ეს გარემოება კი ავალდებულებს სასამართლოს ორგანოებს განსაზღვრული თვალყური ადევნოს გაცემული კრედიტების მიზნობრივად და ვადაზე გამოყენების საქმეს და ამ საქმეში დამნაშავენი სათანადოდ დასაჯოს.

მით უმეტეს ზრდის ამ დარგში სასამართლოს ორგანოების როლს ის გარემოებაც, რომ კრედიტები პირველ ნოემბრიდან გაცემული იქნება მხოლოდ მატერიალურ უზრუნველყოფის საფუძველზე. საბჭოთა სასამართლოს ორგანოებმა, სისტემატიურად უნდა შეამოწმონ სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულება, კრედიტების გამოყენების მდგომარეობა და მატერიალური სასჯელი დაადონ მათ ვინც დაარღვევს ამ დარგში არსებულ საბჭოთა კანონმდებლობას.

განსაკუთრებული როლი შეუძლიათ ამ საქმეში ითამაშონ პროკურატურის და სასამართლოს დამხმარე უჯრედებმა, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდნენ სამეურნეო ორგანიზაციებთან, ქარხნებთან და ფაბრიკებთან.

ეს უჯრედები გააერთიანებენ ამ საქმით დაინტერესებულ მუშებს, უჯრედის წევრები თავიანთი საწარმოს, თუ ორგანიზაციის სპეციფიური პირობების მიხედვით საბჭოთა სასამართლოს ორგანოებში სისტემატიურად მიიღებენ ცნობებს და მასალებს არსებულ კანონმდებლობის შესახებ, გაეცნობიან მათ და თვალყურს ადევნებენ თავიანთ საწარმოს პირობებში მის შესრულებას. არსებულ კანონმდებლობის, განსაკუთრებით სამეურნეო ხელშეკრულებათა და საკრედიტო ურთიერთობის დარგში, დარღვევის ყოველი ცალკე შემთხვევის შესახებ უჯრედი აცნობებს პროკურატურის ორგანოებს. ამგვარად პროკურატურის დამხმარე უჯრედების საშუალებით მყარდება ცოცხალი კავშირი საბჭოთა სასამართლოს ორგანოებსა და სამეურნეო ორგანიზაცია-საწარმოებს შორის და საბჭოთა კანონმდებლობის შესრულებაზე ხორციელდება ნამდვილი, მასიური კონტროლი ქვევიდან. ეს უჯრედები გარდა აღნიშნულისა ზრდიან საბჭოთა სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებისათვის საჭირო ახალ კადრებს მუშათა წრიდან.

პარტიულ-პროფესიონალურ და სასამართლო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს და უახლოეს ხანში ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ გაშალონ პროკურატურის დამხმარე უჯრედების ქსელი.

ქ—ლი.

პოლიგრაფტრესტი ემზადება

საქ. პოლიგრაფტრესტი აერთიანებს: პირველ, მეორე და მესამე სტამბებს, ლიტოგრაფიას, ასოთჩამომსხმელ, მექანიკურ და საამკინძაო სახელოსნოებს და პოლიგრაფსკოლას.

ტრესტის აღნიშნული საწარმოები დაკრედიტების ახალ სისტემაზე გადასვლის საკითხს ფართოდ გამოეხმაურნენ

25 ოქტომბერს სახელმწიფო ბანკს ტრესტისაგან გადაეგზავნა ცნობები. პირველ ოქტომბრისათვის საქონლის და მასალების ღირებულებათა ნაშთების, მე-4 კვარტალის საფინანსო გეგმის და სადირექტივო ბალანსების შესახებ. (ცნობები გადაგზავნილია სახ. ბანკის მიერ მცირე შესაფერისი ფორმების მიხედვით. დანარჩენ ცნობების დამზადება (საავანსო გეგმა ოქტომბერ - ნოემბერ - დეკემბრის და სხვათა).

საქ. პოლიგრაფტრესტი იძლევა დაპირებას, რომ დარჩენილი ცნობები გადაგზავნილი იქნება თავის დროზე, 30 ოქტომბრამდე.

პოლიგრაფტრესტში შემავალ საწარმოების საბრუნავი თანხა 472.700 მან. უდრის. ყველა საწარმოებისათვის წარდგენილ მასალების მიხედვით საბრუნავ თანხების საჭიროება განსაზღვრულია 442.500 მან. მაშასადამე ტრესტს რჩება ზედმეტი 30.200 მან., რომელიც არ დასჭირდება მას.

ტრესტის მიერ ჯერ-ჯერობით თვითეულ საწარმოსათვის ცალკე არ არის გამოყოფილი საბრუნავი თანხა. საწარმოზე ცალკე საბრუნავი თანხა, მაშინ გამოიყოფა, როდესაც პოლიგრაფტრესტის საბრუნავი თანხების რაოდენობა დამტკიცდება საკ. სახკომსაბჭოს მიერ.

ქ.

საშემოდგომო ხვნა-თესვის ყოველდღიური კონკრეტული დავალება

თითეულ გუთანს, ტრაქტორს, თითეულ ბრიგადას, ჯგუფს, კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას

მიწსახკომის 23 ოქტომბრის დადგენილება შემოდგომის თესვის მიმდინარეობის შესახებ

აღნიშნოს: 1) შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სრულიად არა დამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა, ხოლო ცალკე ღონისძიებების ხაზით გარღვევები, რომელნიც ჩაშლას უქადიან გეგმის სათანადო ნაწილებს. მაგალითად, ცნობები სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ 20 ოქტომბრისათვის გვიჩვენებენ შემდეგს:

ხვნის გეგმა შესრულებულია 29 პროცენტით (მაშინ, როცა ფაქტიური შესრულება 40—50 პროცენტზე არანაკლები უნდა იყოს).

საშემოდგომო სათესლე ფონდის შეგროვების გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია მხოლოდ 80 პროცენტით 10 სექტემბრისათვის გეგმით გათვალისწინებულ 100 პროცენტის ნაცვლად, ხოლო საგაზაფხულო თავთავიანი სათესლე ფონდისა—17 პროცენტით, 10 სექტემბრისათვის გათვალისწინებულ 100 პროცენტის ნაცვლად.

დასაზღვევი ფონდი შეგროვებულია 11 პროცენტის რაოდენობით, აქედან საშემოდგომო — 18 პროცენტის და საგაზაფხულო 7 პროცენტის რაოდენობით, მაშინ, როცა გეგმა 1-ლ ოქტომბრისათვის უნდა შესრულებულიყო 100 პროცენტით.

გაწმენდილია მარცვალი 18 პროც. 15—25 ოქტომბრისათვის გეგმით გათვალისწინებულ 100 პროცენტის ნაცვლად.

შეწამლულია 6 პროც., 15—20 ოქტომბრისათვის გეგმით გათვალისწინებულ 100 პროცენტის ნაცვლად. მოხნულია მძრალად 4 პროც.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საბოსტნე, საბახჩე, კართოფილის და ნათესი ბალახის სათესლე ფონდების შეგროვება. მაშინ, როცა საქართველოს მეთესლეობის კოლმეურნკავშირის ხაზით მარცვლეული ხარისხოვანი ნათესების კონტრაქტაცია ჩატარებულია გეგმის 95 პროცენტის რაოდენობით, ჩვეულებრივი თესლის გაცვლა ხარისხოვან თესლზე შესრულებულია მხოლოდ 7 პროცენტის რაოდენობით. თესვის გეგმა შესრულებულია 5 პროცენტით (მაშინ, როცა ფაქტიური შესრულება უნდა იქნეს არა ნაკლებ 30—40 პროცენტისა).

შემოდგომის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობაში არსებული გარღვევის მიზეზად მიწსახკომის კოლეგიას უმთავრესად მიაჩნია:

1) ცენტრალური ორგანიზაციების: კოლმეურნცენტრის, მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირის და ტრაქტორცენტრის მიერ ადგილობრივი ორგანოების მუშაობისათვის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გაწევა, რასაც ამტკიცებს ის, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს არავითარი ცნობა არ მოეპოვება კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, ამასთან ერთად კოლეგია აღნიშნავს არასაკმაო ოპერატიულ ხელმძღვანელობას თვით მიწსახკომის მხრივ, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოების მიმართ.

2. რაიონულ სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო კოოპერატიულ ორგანოების მიერ კამპანიისათვის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გაწევა (გეგმის დაგვიანებით მიყვანა, მასიურ-ახსნა-განმარტებითი მუშაობის უქონლობა, მეტად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ძალების დანაწილებისა და გამოყენების სფეროში, მეტ რიგ რაიონებში სანარდო სისტემის ფორმალურად გატარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, სრულიად არასაკმაო მუშაობა კოლმეურნეობების ორგანიზაციულ - საწარმოო განმტკიცების საქმეში, რამაც გამოიწვია კოლმეურნეობებში შესვლის ახალი ტალღის შენელება; თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობა ინდივიდუალურ სექტორის მიერ საწარმოო დავალებების შესრულების საქმეში. და გულგრილი დამოკიდებულება კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებების მიცემისა და მათ მიერ ამ დავალებების შესრულებისადმი და სხვ.), აგრეთვე ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის ანგარიშის არ გაწევა მიწათმოწყობის ჩატარების დროს.

გარღვევის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის მიზნით მიწსახკომის კოლეგიას საჭიროდ მიაჩნია:

1) ყველა ცენტრალურმა და რაიონულმა ორგანოებმა მიაღწიონ პირველყოვლისა, საშემოდგომო სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა მთელი კომპლექსის ჩატარებას მთლიანი საწარმოო გეგმის მიხედვით, რომელიც შეიცავს ყველა მიმდინარე სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებს და ითვალისწინებს კალენდარულ ვადებს დღიურის მიხედვით ყოველგვარი სახის სამუშაოსათვის;

2. დაწინდის ყოველდღიური დატვირთვა:

ა. ხვნის დარგში ცოცხალი გამწევი ძალის ყველა გუთნებისათვის არა ნაკლებ 0,6 ჰექტარისა;

ბ. თესვის დარგში ცოცხალი გამწევი ძალით მომუშავე თვითეული სათესი მანქანისათვის და აგრეთვე ხელით თესვისათვის — არა ნაკლებ 4 ჰექტრისა;

გ. სატრაქტორო ხვნისათვის თვითეულ ტრაქტორზე არა ნაკლებ 1.75 ჰექტარისა „ფორძონისათვის“, 2.5 ჰექტარისა „ხოლტისათვის“, აგრეთვე „ინტერნაციონალისათვის“ 10—20. და ბოლოს, 3.5 ჰექტარისა „ინტერნაციონალისათვის“ 15180.

დ. სატრაქტორო სათესისათვის არა ნაკლები თითო ჰექტარისა სათესის 88 სანტიმეტრის გამოთესვის სიგანისათვის.

ე. მარცვლის გაწმენდისათვის თვითეულ ტრიერზე არა ნაკლებ 40 ცენტნერისა ორცვლად მუშაობის წარმოებით.

3. როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო თავთავიანი სათესლე ფონდის შეგროვება დამთავრდეს 10 სექტემბრამდე, ყოველდღიური შეგროვების ნორმების გათვალისწინებით კალენდარულ გეგმაში.

4. დამთავრდეს: ა) დასაზღვევ ფონდების შეგროვება 20 ნოემბრისათვის.

ბ) მარცვლის გაწმენდა 10 ნოემბრისათვის.

5. სათესლე მასალის მშრალი წესით შეწამვლა უზრუნველყოფილ იქნას 10 დღით ადრე. თესვის დაწყებამდე, ხოლო სველი წესით— ერთი დღით ადრე.

6. საქართველოს მეთესლეობის კოლმეურნკავშირმა ხარისხოვანი თესლით გაცვლის ოპერაციები დაამთავროს 10 ნოემბრისათვის.

7) დამთავრდეს: ა) საბოსტნე სათესლე ფონდების შეგროვება 1-ლ დეკემბრისათვის;

ბ) საბახჩე კულტურების თესლის შეგროვება 10 ნოემბრისათვის.

გ) სათესლე კართოფილის შეგროვება 1 დეკემბრამდე;

დ) ბალახის თესლის შეგროვება 10 ნოემბრამდე;

8) ახალციხის, ტოლოშის, ბაშკიჩეთის, დუშეთის, ერწო-თიანეთის, ალგულაღ - მანგლისის, ონის, ცაგერის, ზემო-სვანეთის, ჩოლურის, და სამხრეთ - ოსეთის რაიონებმა დაამთავრონ:

ა) ხვნა 10 ნოემბრამდე;

ბ) თესვა — 15 ნოემბრამდე.

გორის, კასპის, მცხეთის, სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხის, თელავის, ყვარელის, გარე - კახეთის, ტფილისის, ბორჩალოს და ამბროლაურის რაიონებმა დაამთავრონ:

ა) ხვნა — 15 ნოემბრამდე;

ბ) თესვა — 25 ნოემბრამდე.

9) რაიონულმა სამიწადმოქმედო განყოფილებებმა და რაიკოლმეურნკავშირებმა შეიმუშაონ არა უგვიანეს 1-ლ ნოემბრისა და გადასცენ სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს საწარმოო დავალებანი, ხვნის, თესლის გაწმენდის, შეწამვლის და თესვის შესახებ თვითეულ დღისათვის, მთელი არსებული ცოცხალი და მექანიკური გამწევი ძალისა, ტრიერების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გათვალისწინებით და მოაწყონ დავალებათა შესრულების ყოველდღიური ოპერატიული აღრიცხვა.

ამავე დროს საჭიროა აუცილებლად მიღწეულ იქნეს მუშაობის მაღალი ხარისხი და ყველა იმ აგროტეხნიკურ ღონისძიებათა გადაუხრელად შესრულება, რომელნიც უზრუნველყოფენ მოსავლის გადიდებას.

10) რაიონულმა სამიწადმოქმედო განყოფილებებმა 1-ლ ნოემბრისათვის დაამთავრონ კულაკურ შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებების მიცემა მოხვნის, თესვის და სათესლე ფონდების ჩაბარების შესახებ და შედეგები აცნობონ მიწსახკომს დაწესებული ფორმით.

11) რაიონულმა ორგანოებმა უზრუნველყონ რაიონში არსებულ სათესი მანქანების ინვენტარიზაცია და მაქსიმალურად გამოყენება რაიონის ფარგლებში (სათეს მანქანების ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში, საბჭოთა მეურნეობიდან კოლმეურნეობაში და ინდივიდუალურ მეურნეობებში გადასროლის სასოფლო ამხანაგობების მეშვეობით).

12) მომარაგების სექტორმა ა-კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მომარაგების გაერთიანებასთან ერთად გამოარკვიოს რამდენად შესაძლებელია ა-კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანების მომარაგების გაერთიანების განკარგულებაში მყოფ სათეს მანქანების გადაგზავნა და თესვის დამთავრებამდე დატოვება საქართველოს იმ რაიონებში, რომელთაც ეს მანქანები ყველაზე უფრო ესაჭიროებათ.

13) რაიონულმა ორგანოებმა მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ როგორც ჩვეულებრივი თესლის ხარისხოვან თესლში გადაცვლის ოპერაციებს, ისე აგრეთვე ხარისხოვანი ნათესების გეგმების შესრულებას მეთესლეობის კოლმეურნეობებში.

14) მომარაგების სექტორმა უზრუნველყოს სასოფლო - სამეურნეო მანქანების მიმდინარე შეკეთების ჩატარება მანქანების მუშაობის ადგილზე, მოძრავი სახელოსნოების და ბრიგადების შექმნის გზით.

15) ტეხნიკურ და მარცვლეულ კულტურების სექტორმა დაუყოვნებლივ შეიმუშაოს სიმინდის სათესლე და დასაზღვევ ფონდების შეგროვების გეგმა და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად კოლეგიას იმ ანგარიშით, რომ 10 ნოემბრისათვის გეგმა მიყვანილი იქნას რაიონებამდე.

16) კადრების სექტორმა 1-ლ სექტემბრისათვის შეიმუშაოს მასიური კვალიფიკაციის კადრების გეგმის შესრულება იმ გვარად, რომ გეგმის შესრულება 15 ნოემბრისათვის სავსებით უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ღონისძიებით.

17) აღნიშნოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების, მეტად სუსტი მუშაობა საშემოდგომო დავალებების შესრულების საქმეში და წინადადება მიეცეს ტრაქტორცენტრს უზრუნველყოს გადამწყვეტი გარდატეხა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობაში თვითეულ ტრაქტორისათვის კონკრეტულ დავალებების მიცემის საფუძველზე, მაქსიმალურად მაღალი ნორმების გამომუშავების უზრუნველყოფით.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა მექანიკურ გამწევ ძალასთან ერთად მაქსიმალურად გამოიყენონ ცოცხალი გამწევი ძალაც და მხედველობაში იქონიონ, რომ პასუხისმგებლობა ცოცხალი გამწევი ძალის სრულიად გამოყენებისათვის სათანადო რაიონებში ეკისრება სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს.

18) რადგან სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის ხელმძღვანელობის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სრული და დროული ინფორმაციის წარმოდგენას, წინადადება მიეცეს სამიწადმოქმედო განყოფილებებს სისტემატიურად წარმოადგინონ ხუთდღიური და ათდღიური ცნობები წინად მიცემული ფორმების მიხედვით.

19) რადგან ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რომელიც აფერხებს კამპანიის მიმდინარეობას, წარმოადგენს სანარდო სისტემის და შრომის აღრიცხვის ცუდი ორგანიზაცია საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში (კოლმეურნეთა მესამედ ნაწილს არა აქვს შრომის წიგნაკები, მხოლოდ კოლმეურნეობათა ნახევარში სწარმოებს შრომა-დღეების ჩაწერა), საბოლოოდ აღმოიფხვრას ეს ჩამორჩენილობა შემოდგომის თესვის დროს, როგორც კამპანიის წარმატების უზრუნველყოფის მიზნით, ისე აგრეთვე კოლმეურნეობების (მთლიანად) ორგანიზაციულ საწარმოო განმტკიცებისათვის და ამ საფუძველზე ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალი ფენების ჩაბმისათვის კოლმეურნეობებში.

20) ცენტრალურმა და ადგილობრივმა სამიწადმოქმედო ორგანოებმა და კოოპერატიულმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თესვის მიმდინარეობას ინდივიდუალურ სექტორში. 325.000 ჰექტარი საშემოდგომო სათესი ფართობიდან ინდივიდუალურმა მეურნეობებმა უნდა დასთესონ 145.210 ჰექტარი (20 ოქტომბრისათვის მათ მიერ დათესილია მხოლოდ 10.500 ჰექტ.). ძირითადი ამოცანაა კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა, ხვალინდელ კოლმეურნეთა, მთლიანი ფრონტის განმტკიცება კულაკის წინააღმდეგ, რომელიც ეწევა აგიტაციას ვადებისა და აგროტეხნიკურ ღონისძიებების ჩაშლის მიზნით.

21) წინადადება მიეცეს ტერიტორიის ორგანიზაციის სექტორს ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქის მიწსახკომებს და ყველა რაიონულ სამიწადმოქმედო განყოფილებების გამგეებს ინდივიდუალურ გლეხთა ჯგუფებისათვის მიწის გამოყოფის დროს, აუცილებლად უზრუნველყონ სასოფლო დამხმარე კომისიების მეშვეობით მიწათჩვენების მიყვანა კომლამდე.

22) შემოდგომის თესვის მატერიალური ბაზის დაკვრითი წესით მოწყობა, ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ვადების მტკიცედ დაცვა და აგროტეხნიკურ ღონისძიებათა გამოყენება, სასტიკი გეგმიანობა, მტკიცე და ამავე დროს მოქნილი ხელმძღვანელობა, ნამდვილი სანარდო სისტემა და აღრიცხვა, სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, დამკვრელთა ნორმების გავრცელება ყველა საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობის მინდვრებზე და „შარშანდელი საშუალო ნორმების“ გადაჭრით განდევნა პრაქტიკიდან. კულაკური და შეძლებული მეურნეობების მიერ მტკიცე დავალებების შესრულებისათვის სისტემატიური კონტროლის გაწევა უნდა დაედოს საფუძვლად ყველა იმ სიძნელეთა დაძლევას, რომელნიც გამოწვეულნი არიან არადამაკმაყოფილებელი მუშაობის კამპანიის ჩატარების საქმეში.

განსაკუთრებული დადგენილება

1. მორიგ სხდომაზე (1ნოემბერს) მოსმენილ იქნას: ა) კოლმეურნცენტრის მოხსენება სანარდო სისტემის, შრომის აღრიცხვის და შემოსავლის განაწილების გატარების შესახებ კოლმეურნეობებში);

ბ) „საქართველოს ჩაი“-ს მოხსენება კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ჩაის კულტურის დარგში.

2. სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ცნობების სისტემატიურად არწარმოდგენისათვის საყვედური გამოეცხადოს დუშეთის, ერწო-თიანეთის, ცაგერის და სამტრედიის რაიონების, სამიწადმოქმედო განყოფილებების გამგეებს.

3. მიეთითოს ახალქალაქის, სიღნაღის, ყვარელის, თბილისის, ალბულაღ-მანგლისის, ლიუქსემბურგის და ვანის რაიონების სამიწადმოქმედო განყოფილებების გამგეებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სამიწათმოქმედო განყოფილებას, რომ მათ თავის დროზე არ წარმოადგინეს ცნობები სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

4. მიეთითოს საქართველოს მიწსახკომის კადრების სექტორს, რომ იგი არ უწევდა ხელმძღვანელობას გეგმის იმ ნაწილის შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადებას შემოდგომის სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის.

5. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარი **შ. მათიკაშვილი.**

გარე სამუშაოებზე გასვლის ორგანიზაციის შესახებ კოლმეურნეობებში

თავის ისტორიულ სიტყვაში, სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ამხ. სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, სამუშაო ძალის ორგანიზაციულად შეგროვების მნიშვნელობა, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. ახალმა ვითარებამ სამუშაო ძალის შეგროვების ძველი წესი ძირფესვიანად შესცვალა თუ „წინად ჩვეულებრივ, მუშები თითონ მიდიოდენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, მაშასადამე, არსებობდა ერთგვარი თვითმდინარეობა ამ საქმეში“.

ამჟამად „სწორედ იმიტომ, რომ ვითარება შეიცვალა, ჩვენში ადგილი აღარ აქვს მუშა-ხელის თვითმდინარეობას“.

ახალი ვითარება ჩვენს წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს — უხელმძღვანელოთ ახალი წესით. „თვითმდინარეობის „პოლიტიკიდან“ ჩვენ უნდა გადავიდეთ მრეწველობისათვის მუშების მოწესრიგებული შეგროვების პოლიტიკაზე“ (სტალინი).

ცნობილია, რომ ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგები, სამუშაო ძალის დიდ ნაკლებობას განიცდის. ეს გარემოება ნაწილობრივ აფერხებს სამრეწველო და საფინანსო გეგმების თავის დროზე და გადაჭარბებით შესრულებას. სამუშაო ძალის ნაკლებობა ხელს უშლის სოციალისტურ მრეწველობის ნორმალურ განვითარებას.

როგორ უნდა შევძლოთ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა? ვინ უნდა მოამარაგოს სოციალისტური მრეწველობა მუშახელით? ეს ვალდებულება ამჟამად კოლმეურნეებს ეკისრებათ. კოლმეურნეობებთან სწორი დამოკიდებულებით და ხელშეკრულების თავის დროზე დადებით ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ ამ საკითხის გადაჭრა, რადგან „ამისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს. გზა სამეურნეო ორგანიზაციების ხელშეკრულებისა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან“ (სტალინი).

მაგრამ თავის მხრივ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმაც მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ. ისინი უნდა ცდილობდნენ კოლმეურნეების სამუშაოების თავის დროზე შესრულებას და გარე-სამუშაოებზე გასვლისათვის ამზადებდნენ შესაფერ ნიადაგს.

ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს სამუშაო ძალის დაზოგვა — მომჭირნეობა კოლმეურნეობებში, რომლითაც ჩვენ უნდა შევქმნათ ჭარბი მუშა-ხელი კოლმეურნეობების შინაგან საშუალებებით.

როგორ შევძლებთ ჩვენ ამას? ამას შევასრულებთ იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ კოლმეურნეობების მუშა-ხელის მთელ რაოდენობას სამუშაოების განაწილების დროს. თუ მივაღწევთ თვითეულ კოლმეურნის სრულ დატვირთვას და აგრეთვე მოზარდთა და ქალთა შრომის ფართოდ გამოყენებას. საქ. კ.პ. (ბ) ცკას 1931 წლის 2, 15 ივლისის დადგენილებაში ამის შესახებ ნათქვამია „გარე სამუშაოებზე გასვლის მოსაწყობად წარმოებული მუშაობა დაუკავშირდეს კოლმეურნეობათა გადაყვანას სანარდო მუშაობაზე და გამომუშავების გადიდებულ ნორმების დაწესებას და ქალთა და მოზარდთა შრომის მაქსიმალურად გამოყენებას და ამით მიღწეულ იქნეს კოლმეურნეობებში არსებული ჭარბი მუშა-ხელის გამოყოფა“. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბი მუშა-ხელის გამოყოფას და სამუშაო ძალის დაზოგვას კოლმეურნეობებში ხელს უწყობს შრომის სოციალისტური ფორმები (სოცშეჯიბრება დამკვრელობა, ბუქსირი, და სხვა) ამ გზით ჩვენ ვაღწევთ სამუშაო გეგმების თავის დროზე და გადაჭარბებით შესრულებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ზედმეტი მუშა ხელის რაოდენობის წინასწარ გამოსარკვევად კოლმეურნეობებისათვის აუცილებელია შრომის ბალანსის შედგენა. შრომის ბალანსი გვიჩვენებს სამუშაო ძალის საჭირო რაოდენობას კოლმეურნეობაში. იმ სამუშაოების შესასრულებლად, რაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობის მიერ წლიური საწარმოო გეგმის მიხედვით და აგრეთვე სამუშაო ძალის ჭარბ ნაწილს, რომლის გამოყენება შესაძლებელი ხდება გარე სამუშაოებზე.

მაგრამ უნდა აღინიშნოთ, რომ შრომის ბალანსის შედგენა არ სწყვეტს ყველაფერს. ჭარბი სამუშაოს ძალის რაოდენობა შრომის ბალანსის მიხედვით ეს წინასწარ მოცემული რაოდენობაა, რომლის ფარგლებში მრეწველობას შეუძლია ხელშეკრულების დადება კოლმეურნეობებთან, ნამდვილად კი გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტის მისაწოდებლად მრეწველობისათვის. კოლმეურნეობის გამგეობა უნდა ეცადოს მუშა-ხელის ჭარბი ნაწილის შექმნას ამიტომ მარტო ბალანსით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. აუცილებელია სამუშაოების შესრულების პროცესში მოვამზადოთ ჭარბი სამუშაო ძალის შექმნისათვის შესაფერი პირობები.

იმისათვის, რომ ვიცოდეთ მთელ რაიონიდან რა რაოდენობის ჭარბი მუშა-ხელის გამოყენება იქნება შესაძლებელი გარე სამუშაოებზე საჭიროა არა მარტო კოლმეურნეობებს, არამედ რაიკოლმეურნკავშირებსაც ჰქონდეთ შედგენილი შრომის ბალანსი. მაგრამ ხელშეკრულების დადება ხდება არა რაიკოლმეურნკავშირებთან, არამედ უშუალოდ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებთან. რაიკოლმეურნკავშირის შრომის ბალანსი კოლმეურნეობების შრომის ბალანსის საფუძველზე უნდა სდგებოდეს. კოლმეურნეობათა უმეტეს ნაწილში ჭარბი მუშა ხელის გამოსარკვევად არ ხელმძღვანელობენ ამ საშუალებებით. არ ადგენენ შრომის ბალანსს და გარე-სამუშაოებზე გასვლის საქმეში დიდი უწესრიგობა შეაქვთ. ასეთ შემთხვევაში მეტად ძნელია შესაფერი ხელშეკრულების დადება მუშა-ხელის მისაწოდებლად სამეურნეო ორგანიზაციებთან, რადგან არ გვეცოდინება, რომელ თვეში რა რაოდენობის მუშა-ხელი გაგვინთავისუფლდება. ამით არის გამოწვეული ხშირად ის, რომ ხელშეკრულება ირღვევა და მრეწველობის მუშა-ხელით მომარაგების საქმე საფრთხეში ვარდება.

ცხადია კოლმეურნეობებს ყოველ თვეში და სეზონში სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულება უხდებათ. ეს სამუშაოები ხან მეტი ხან ნაკლები მუშა-ხელის რაოდენობას მოითხოვენ. ამის მიხედვით შეგვიძლია ხან მეტი და ხან ნაკლები მუშა-ხელის რაოდენობა მივაწოდოთ მრეწველობას. მაგრამ სავსებით, რომ უარი ვთქვათ მიწოდებაზე, ე. ი. უარი ვთქვათ გარე სამუშაოებზე გასვლაზე ყოვლად შეუძლებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ გარე სამუშაოზე გასვლა არ არის უბრალო საქმე ან ერთდროული საკამპანიო საკითხი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ. ეს არის მთელი საკოლმეურნეო სისტემის ხანგრძლივი საქმიანობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ყოველ გეგმაში, სამუშაოების ყოველ დარგში უნდა იყოს ჩაქსოვილი.

გარე-სამუშაოებზე გასვლის მოსაწესრიგებლად, პასუხისმგებელია არა მარტო გამგეობა, არამედ მთელი კოლმეურნეობა და კოლმეურნეები. ამიტომ ისინი ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. საქმით. მათ შორის უნდა არსებობდეს სრული შეთანხმება და არავითარ იძულებითი ზომებს არ უნდა ქონდეს ადგილი. საჭიროა ამასთანავე გავითვალისწინოთ, რომ გარე-სამუშაოებზე გასვლამ ზიანი არ მიაყენოს კოლმეურნეობას, ხელი არ შეუშალოს კოლმეურნეობის გეგმების შესრულებას და სხვ.

თუ სახელდობრ ვინ უნდა გავიდეს გარე-სამუშაოებზე ე. ი. რომელი კოლმეურნე მოვახმაროთ ჭარბი მუშა-ხელის რაოდენობაში, ამის გამორკვევასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს საკითხი კოლმეურნეთა საერთო კრებამ უნდა გადასწყვიტოს. შეუძლებელია ისეთი კოლმეურნე გაუშვათ გარე სამუშაოებზე, რომელიც კოლმეურნეობაში საპასუხისმგებლო საქმეზეა მიმაგრებული და მისი ამ საქმიდან მოცილება ზიანს მიაყენებს კოლმეურნეობას. ზოგჯერ ამას არ უწევენ არავითარ ანგარიშს და გარე-სამუშაოებზე გასვლის მომიზეზებით უწესრიგობა შეაქვთ ბრიგადების შემადგენლობაში. ეს ყოვლად დაუშვებელია. გარე-სამუშაოზე გასვლა დაკავშირებული უნდა იყოს როგორც კოლმეურნეობის, ისე იმ მრეწველობის ან სამეურნეო მშენებლობის ინტერესებთან, რომელზედაც მიდიან კოლმეურნეები.

როგორც აღვნიშნეთ ზოგიერთ კოლმეურნეობებში გარე-სამუშაოებზე გასვლის საქმეში დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი, ამ საქმეს შემთხვევით ხასიათს აძლევენ. არ უკავშირებენ მას შესაფერ გეგმას. შემოწმებიდან ირკვევა, რომ მთელ რიგ რაიონების კოლმეურნეობებიდან ზოგიერთი წევრები გარე-სამუშაოებზე გასულან ისე, რომ გამგეობამ ამის შესახებ არაფერი იცის. ასე მაგალითად: სოფ. ჯურუყვეთის (ლანჩხუთის რაიონი) „ამხ. მიხა კახიანის“ სახელობის კოლმეურნეობიდან გარე-სამუშაოებზე გასულია სულ 99 კაცი, აქედან ნებართვით, ე. ი. ხელშეკრულების მიხედვით გასულია 38 კაცი. უნებართვოთ კი 61 კაცი. როგორც კოლმეურნეები გადმოგვცემენ ამ რაოდენობის მუშა-ხელის გარე-სამუშაოებზე „გაპარვამ“ მათი სამუშაოების გეგმის შესრულებას დიდათ შეუშალა ხელი. ამჟამად კოლმეურნეობა სამუშაო ძალის ნაკლებობას განიცდის. სოფ. ლესაჭინათის კოლმეურნეობებიდან სულ გასულია 84 კაცი, აქედან 82 კაცი გასულია ხელშეკრულების მიხედვით, ხოლო 2 კაცი ხელშეკრულების გარეშე. ასეთ მაგალითებს ჩვენ ვხვდებით სხვა რაიონების კოლმეურნეობებშიაც.

გარე სამუშაოებზე გასვლას ზოგან სხვა მხრივაც ამახინჯებენ. მიმართავენ ისეთ ზომებს, რაც ყოვლად დაუშვებელია კოლმეურნეობების სწორი პრინციპისათვის. იმისათვის, რომ შრომა-დღეები კოლმეურნეობებიდანაც მიიღონ ზოგჯერ გარე სამუშაოებზე გასული კოლმეურნეები თავის ნაცვლად კოლმეურნეობაში სტოვებენ დაქირავებულ კერძო პირს, რომელსაც რასაკვირველია შესრულებულ სამუშაოს ღირებულებაზე ნაკლებს უხდიან და ამ გვარად საქმე გვაქვს კოლმეურნის მიერ სხვისი შრომის მითვისებასთან. ასე მაგალითად: გასულ წელს სოფ. გულგულას (თელავის რაიონი) კოლმეურნეობის წევრი, რომელიც თვითონ კოოპერატივის ნოქრად მუშაობდა კოლმეურნეობაში თავის სახელზე ამუშავებდა დაქირავებულ კერძო პირს და შრომა დღეებს თითონ იწერდა. დუშეთის ქალთა მეფრინველეების არტელის წევრი ახალაშვილი, რომელიც თვითონ გარე-სამუშაოებზეა გასული კოლმეურნეობაში სისტემატიურად აგზავნის დაქირავებულ პირს და შრომა-დღეები იწერება. ასე იქცევიან ამავე არტელის წევრები შერმანდინი და ყარსიმაშვილი.

თუ კოლმეურნეობებში საჭირო იქნა დამატებითი მუშა-ხელი მისი გარედან მოწვევა ცალკე წევრების საქმეს არ უნდა შეადგენდეს. ეს მთლიანად კოლმეურნეობის მოვალეობაა და არა მისი ცალკე წევრების.

გარე სამუშაოებზე გასვლის მოსაწესრიგებლად კოლმეურნეობათა წამახალისებელ ზომების გამოყენებას მთავარი ყურადღება უნდა ექცეოდეს. უნდა „დაწესდეს იმ კოლმეურნეობათა წასაქეზებელი ზომები, რომლებიც ხელშეკრულებებს სდებენ გარესამუშაოზე გამსვლელ მუშების გამოყოფის ან სახელმწიფო მრეწველობაში ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სახელმწიფო მშენებლობაზე და სამომხმარებლო და საბინაო საამშენებლო კოოპერაციის მშენებლობაზე მათი გაგზავნისათვის ხელის შეწყობის შესახებ“. ამასთანავე საჭიროა კოლმეურნეებმაც, რომლებიც გადიან გარე-სამუშაოებზე, ისარგებლონ ყველა იმ შეღავათებით რაც უკვე გათვალისწინებულია საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1931 წლის 30 ივნისის დადგენილებაში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან ამ დადგენილებას ჯერ კიდევ ვერ იცნობენ შესაფერისად. ვერ იცნობენ არა მარტო კოლმეურნეობები, არამედ სამეურნეო ორგანიზაციებიც კი. ამით უნდა აიხსნას ის, რომ გარე სამუშაოებზე გასვლა ზოგჯერ დიდ დაბრკოლებებს ხვდება: სოფ. ჯურუყვეთის (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეობის წევრებმა ამას წინად განაცხადეს: „ჩვენ არავითარ შეღავათებს არ ვაძლევთ გარე სამუშაოებზე გასულ კოლმეურნეებს.არც დეფიციტურ საქონლის განაწილებაში მონაწილეობენ ისინი“. უდაოა, რომ გარესამუშაოებზე გასვლის ასეთი გაგება აშკარად ამახინჯებს უმაღლესი ორგანოების დადგენილებებს. ნამდვილად კი „გარე-სამუშაოებზე გასულ კოლმეურნეთა ოჯახები სარგებლობენ კოლმეურნეობის სხვა წევრებთან თანაბრად ყველა შეღავათებით“ დახმარებით, რომლებიც შეიძლება გააჩნდეს კოლმეურნეობას.

მათ ეძლევათ აგრეთვე დამატებითი შეღავათებიც.

„გარე-სამუშაოზე გასული კოლმეურნეები თავისუფლდებიან მეურნეობის განსაზოგადოებული ნაწილის და არა სამიწადმოქმედო შემოსავლის დაბეგვრიდან. სასოფლო სამეურნეო გადასახადით“ (საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებიდან). ამასთანავე ზოგიერთი გამონაკლისის გარდა „თუ შრომა-დღეების რაოდენობის მიხედვით, გარესამუშაოზე გასულ კოლმეურნის ოჯახი ვერ მიიღებს მისთვის საჭირო რაოდენობის სურსათს და პირუტყვის საკვებს ან ოჯახში არ უყოლება შრომის უნარიანი მოსავლის განაწილების დროს კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს იგი სურსათით და პირუტყვის საკვებით იმავე რაოდენობით, როგორსაც მიიღებენ კოლმეურნეობაში კეთილ სინდისიერად მომუშავე კოლმეურნეები იმავე თასიბში ნაღდზე“.

ამის შესახებ საკმაო სიცხადით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილებაშიც 1931 წლის კოლმეურნეობებში შემოსავლის სანიმუშო განაწილების შესახებ. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „გარე-სამუშაოებზე გამსვლელთა და მათი ოჯახების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ვერ მიიღეს მათთვის საჭირო სასურსათო პური და საკვები პირუტყვისათვის იმის გამო, რომ ოჯახში არ იყო შრომის უნარიანი წევრთა საკმაო რაოდენობა. იმ ვარაუდით, რომ გარე სამუშაოებზე გამსვლელმა და მათ ოჯახმა მიიღონ სურსათი და საკვები იმდენივე, რამდენსაც ღებულობს ის კოლმეურნე, რომელიც კეთილსინდისიერად მუშაობდა კოლმეურნეობაში. თუ გარე-სამუშაოზე გამსვლელის ოჯახის შრომის უნარიანი წევრები უარს აცხადებენ კოლმეურნეობაში მუშაობაზე, ამ შემთხვევაში გარე-სამუშაოზე გამსვლელთა ოჯახს ეს შეღავათი არ ეძლევა“.

გარდა იმისა, რომ არსებობს ზოგიერთ კოლმეურნეობებში გარე სამუშაოებზე გამსვლელთა შეღავათებით სარგებლობის საქმეში ერთგვარი დამახინჯება, ადგილი აქვს აგრეთვე ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მათ წინააღმდეგ ადმინისტრატიულ ზომებს მიმართავენ. ასე მაგ.: ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბრიგადის გამოკვლევიდან სჩანს, რომ სოფ. მახჩარეთში (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეობებიდან გამორიცხეს ისეთი წევრები, რომლებმაც გარე-სამუშაოდან დაბრუნება დააგვიანეს, სოფ. ხანიორის (თელავის რაიონი) კოლმეურნეები გარიცხვით დაემუქრნენ სოფ. ნათარეულის კოლმეურნეობის სასილოსე მშენებლობის საქმეში გასულ წევრს, რომელსაც კოლმეურნეობაში შემოსავლის 50 პროც. შემოჰქონდა, დასაშვებია ეს? არა ეს არ არის დასაშვები. დაუშვებელია აგრეთვე ისიც, რომ გარე-სამუშაოზე გამსვლელ კოლმეურნის კოლმეურნეობაში შემოსატანი პროცენტი ამ რაოდენობით განისაზღვროს. ჩვენ ვიცით, ამის შესახებ არსებობს წესი, რომლის მიხედვით კონტრაქტაციით დადებულ პირობის საფუძველზე გარე სამუშაოებზე გამსვლელ კოლმეურნეს არავითარი პროცენტი არ შეაქვს კოლმეურნეობაში, ხოლო თუ ის გადის კონტრაქტაციის გარეშე, ე.ი. თავის ნებასურვილის მიხედვით მან კოლმეურნეობაში უნდა შემოიტანოს თავის შემოსავლის 3-10 პროცენტამდე. თუ კოლმეურნე გარე-სამუშაოზე კოლმეურნეობის გამწევი ძალით გადის კოლმეურნეობის საკვებით მან კოლმეურნეობაში შეაქვს თავისი შემოსავლის 50 პროც. თუ კოლმეურნეობის გამწევი ძალით გადის, მაგრამ თავისი საკუთარი საკვებით მაშინ შეაქვს 20 პროცენტი. მაგრამ ამ წესს ხშირად ივიწყებენ. რაც გარე სამუშაოზე გასვლის აშკარა შეუფასებლობაა, რომელსაც ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

მეორე მხრივ ხშირია შემთხვევა, როდესაც გარე-სამუშაოზე გასვლის მნიშვნელობას, სამუშაო ძალის ორგანიზაციულად შეგროვებას არ აფასებენ თვით სამეურნეო ორგანიზაციებიც. როგორც აღვნიშნეთ სამუშაო ძალის საკმაო რაოდენობით მოსამარაგებლად სამეურნეო ორგანიზაციები ხელშეკრულებას სდებენ კოლმეურნეობებთან.

თავის მხრივ სამეურნეო ორგანიზაციები კისრულობენ ერთგვარ ვალდებულებას, კოლმეურნეობებისადმი. ხელშეკრულებაში სამეურნეო ორგანიზაციების მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას კოლმეურნეობისათვის მატერიალური და ტეხნიკური დახმარების აღმოჩენა (დახმარება იარაღ-მანქანებით, შრომის მოწესრიგებით, კულტურულ მომსახურეობის მხრივ და სხვა). მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს სამეურნეო ორგანოების მიერ გარე-სამუშაოებზე გასულ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე: „ა) გარე-სამუშაოზე გასულ კოლმეურნის საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილზე გადასვლის და უკან დაბრუნების (ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ) ხარჯების ანაზღაურება სამეურნეო ორგანოების მხრივ ნამდვილი ღირებულების ფარგლებში. ბ) დღიურის მიცემა გარე-სამუშაოზე გასულ კოლმეურნისათვის მგზავრობის დროს დღეში 2 მან. 50 კაპ. რაოდენობით“ (საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებიდან). სამეურნეო ორგანიზაციებს ეკისრებათ კოლმეურნეობებიდან ჩამოსულ მუშებისათვის საბინაო და კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათი მომარაგება სურსათ-სანოვაგით და სხვა. კოლმეურნეობის მიმართ კი, სამეურნეო ორგანიზაციები თვითეულ გარეთ გამსვლელ კოლმეურნეზე იხდიან 4 მანეთს, ხოლო თუ სამუშაოზე გასვლას ადგილი აქვს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ, მაშინ იხდიან 5 მანეთს ამ გადასახადს, რომელიც კოლმეურნეობის მთლიან სარგებლობაში რჩება, კოლმეურნეობის წასახალისებლად სამუშაო ძალის შეგროვების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ასრულებენ ამ პირობებს აღნიშნული ორგანიზაციები? შეიძლება ითქვას, რომ არა, ან თუ ასრულებენ მხოლოდ ნაწილობრივ. ასე მაგ.: ანარიას (ქუთ. რაიონი) საბჭოთა მეურნეობას ხელშეკრულება აქვს დადებული სოფ. ფარცხანაყანევის კოლმეურნეობასთან, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის მიერ დარღვეულ იქნა, რამაც კოლმეურნეობებში გამოიწვია უკმაყოფილება და ზოგიერთი მათგანი უკან დაბრუნდნენ.

ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ სამეურნეო ორგანიზაციები არ უზრუნველყოფენ მათ სათანადო ხელფასით, ბინით, კვებით, საექიმო დახმარებით, სპეც-ტანსაცმლით და სხვ., ისე როგორც ეს არის გათვალისწინებული ხელშეკრულების მიხედვით. ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მაგალითებიც: ტყიბულის მაღაროებში სამუშაოდ ჩამოსულ 837 კოლმეურნედან 472 კაცი უკან დაბრუნდა. ამ რამოდენიმე ხნის წინად კოლმეურნეობა „განთიადმა“ (ქობულეთის რაიონი) ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში გაგზავნა 25 კაცი, მათ ხელფასი ჯერაც არ მიუღიათ. ჩაის მეურნეობას არ შეუსრულებია კოლმეურნეებისათვის სხვა პირობებიც: კოლმეურნეობა „წინსვლა“-ს (ქობულეთის რაიონი) 120 წევრმა იმუშავეს თუთის სანერგეებზე და ხელფასი დღემდე არ მიუღიათ. აბრეშუმის საბჭოთა მეურნეობა მიმართავს ყოვლად დაუშვებელ საშუალებას მუშა-ხელის მოსაზიდავად,— ის ცდილობს განსაზღვრულ ვადით მოსული კოლმეურნეები მუდმივ მუშაკებათ დაიტოვოს და მიმართავს ერთგვარ ძალადობას. ეს გარემოება დიდად უშლის ხელს კოლმეურნეობის ჩაის ნიადაგის დამზადებას. დაუშვებელია აგრეთვე ისიც, რომ მუშა-ხელის შესაგროვებლად მიემართოთ ადმინისტრატიულ ზომებს და რაიმე იძულებას. მას უნდა ჰქონდეს სრულიად ნებაყოფლობითი ხასიათი

ხელშეკრულების დადებას სამეურნეო ორგანიზაციებსა და კოლმეურნეებს შორის საჭირო რაოდენობის სამუშაო ძალის შესაგროვებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ერთ-ერთი საშუალება სოფლისა და ქალაქის მუშების და კოლმეურნეების ერთმანეთთან დასაახლოვებლად. ამიტომ ასეთი ხელშეკრულების დადებით დიდათ უნდა ვიყოთ დაინტერესებული. ამით ინტერესდებიან აგრეთვე ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ამ ხელშეკრულების დამაკმაყოფილებლად შესრულების საქმეს.ზოგიერთ კოლმეურნეობებში, რომლებიც არ იცნობენ ამ ხელშეკრულების მნიშვნელობას ხელმძღვანელ ორგანოებიდან მოვლინებულ ამხანაგებს არ აძლევენ სწორ ცნობებს, კიდევ მეტიც: ასეთი ცნობის მიცემაზე სავსებით უარს ეუბნებიან.

კოლმეურნეობების გამგეობებმა აუცილებლად უნდა იქონიონ სწორი და დამახასიათებელი ცნობები სამუშაო ძალის შესაგროვებლად გაწეულ საქმიანობისა და ხელშეკრულებების შესრულების ან არშესრულების შესახებ, რომლებსაც ისინი სისტემატიურად უნდა აწვდიდენ შესაფერ ორგანოებს.

ამჟამად ხელშეკრულების დადება აუცილებლად უნდა დავაჩქაროთ კოლმეურნეობებთან. კოლმეურნეობებში საშემოდგომო და ზოგიერთი წლიური სამუშაოებიც კი, დასასრულს უახლოვდება. ამის გამო მრავალი კოლმეურნეები თავისუფლდებიან. მათი გამოყენება აქედანვე უნდა შევძლოთ გარე სამუშაოებზე. ამის შესახებ უნდა გაიშალოს ფართო მოსამზადებელი მუშაობა. როგორც კოლმეურნეობებში, ისე სამეურნეო ორგანიზაციებში. არ უნდა დარჩეს არც ერთი თავისუფალი მუშა-ხელი, რომელიც გარე სამუშაოზე არ იქნება გამოყენებული

აპ. ნუცუბიძე.

სტალინის ექვსი მითითების შესრულების შემოწმება

რიონჰესმა დღემდე ვერ მოაგვარა მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვების საქმე

ხელფასის გათანაბრება კვლავ ბატონობს თბილისის სარემონტო ქარხანაში

რიონჰესში შრომა მოუწესრიგებელია

გაზეთ. „კომუნის“-ტის და „რიონჰესის დამკვრელი მუშკორთა ბრიგადების რეიდი.

მთავარი საკითხი, რომელიც ამჟამად მწვავედ სდგას რიონჰესის აღმშენებლობაზე, ეს არის მუშა-ხელის სინაკლულე. საქ. კ.პ. (ბ) ცეკა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტი თავის დადგენილებებში აღნიშნავს, რომ:

„საჭიროა ორგანიზაციულად მიზიდვა მუშა - ხელის, რისთვისაც მტკიცედ გატარებულ იქნას ცხოვრებაში ამხ. სტალინის მითითება კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების შესახებ მუშა - ხელის ორგანიზაციულად მიწოდების მიზნით“.

როგორ ასრულებდა და ასრულებს ამ დადგენილებას რიონჰესის სამმართველო?..

ძალიან ცუდათ. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები.

მუშა - ხელის შესაგროვებლად გზავნიდენ უპასუხისმგებლო პირებს

სამმართველომ მუშა - ხელის შეგროვებას მისცა შემთხვევითი ხასიათი. რაიონებში და კოლმეურნეობებში ქარბი მუშა - ხელის შესაგროვებლად იგზავნებოდა ყველა, ვინც კი განაცხადებდა ამის სურვილს. სამმართველო არ დაინტერესდა შეერჩია მუშა - ხელის შემკრებნი, გაგზავნილ პირებს არ ეძლეოდათ სათანადო ინსტრუქცია — თუ როგორ და რა წესით უნდა ეწარმოებიათ მოლაპარაკება კოლმეურნეობებთან და როგორ უნდა დაედვათ ხელშეკრულება. ბევრი გაგზავნილთაგანი გაიტაცა მივლინებებმა და ფულად კომპენსაციამ. ამიტომ მთელ რიგ რაიონებში მუშა - ხელის ორგანიზაციულად შეგროვების საქმე ჩაიშალა.

მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი:

7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში გაიგზავნა მე-3 უბნის უფროსის მოადგილე კობაიძე, რომელმაც დაჰყო 15 დღე და არც ერთი კაცი აღმშენებლობას ვერ ჩამოუყვანა.

20 სექტემბერს ქრებალოს რაიონში მიავლინეს ვიღაც **ასათიანი**, რომელმაც დაყო იქ 20 დღე და აღმშენებლობას ვერც ერთი მუშა-ხელი ვერ შეუგროვა. ვიღაც ხრისოვსკი გაგზავნეს გორის რაიონში, სადაც დაყო ერთ ნახევარი თვე და ჩამოიყვანა 8 კაცი. ვინმე **ერისთავი** მივლინებული იქნა ონში ერთი თვით. არც ერთი კაცი აღმშენებლობაზე არ ჩამოუყვანია. **ახვლედიანი** მიავლინეს ბაღდათის რაიონში, სადაც დაჰყო 21 დღე და არც ერთი კაცი არ ჩამოუყვანია რიონჰესში.

ციკარიშვილი გალაქტ. გაგზავნეს შორაპანში, დაყოჰ 14 დღე, არც ერთი კაცი არ ჩამოუყვანია. **ქაშიბაძე შალვა** ორ თვეზე მეტია გაგზავნილია ცაგერის რაიონში, მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ქაშიბაძე სისტემატიურად ლოთობს და ნაკლებად ზრუნავს მუშა - ხელის გადმოგზავნაზე. მას ანგარიშ ქვეშ წაღებული აქვს 6280 მან. ვინმე **ცხოვრებოვი** გაგზავნეს სამხ. ოსეთში 2 თვეზე მეტია, არც ერთი კაცი არ გადმოუგზავნია.

გიორგაძე გაგზავნილია თხინვალში 19 სექტემბერს. ეს კაცი 29 სექტემბერს სამართველოს აძლევს დეპეშას: „შემატყობინეთ მუშა - ხელის შეგროვების პირობები“.

ამრიგად, 10 დღის სეირნობის შემდეგ გაახსენდა აღნიშნულ გიორგაძეს რომ საჭიროა მუშა - ხელის შეგროვება, მაგრამ შეგროვების წესი კი არ იცოდა.

ზემოთ - მოყვანილი ფაქტები ნათელ ჰყოფენ იმას, თუ როგორ ატარებს მუშა - ხელის ორგანიზაციულად შეგროვებას რიონჰესის სამმართველო. ბუღჰალტერიის გამოანგარიშებით, მუშა - ხელის შემკრებთა მივლინებებზე დახარჯულია 50.000 მანეთამდე. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. როგორაა გამოყენებული ჩამოსული მუშები.

შრომის აღრიცხვა და მუშა-ხელის განაწილება დღემდე ვერ მოაწესრიგეს. ამის შედეგად მთელ აღმშენებლობაზე გაიზარდა მუშათა დენადობა, სექტემბერში მუშათა დენადობა ავიდა 14,35 პროც.-მდე, ამავე თვეში აღმშენებლობაზე მოვიდა 593 მუშა, ხოლო წავიდა 451 კაცი.

რა იყო ამის მიზეზი?

არტელ № 42, 5 და 14 მუშაობაში სრული უორგანიზაციობაა გამეფებული. ამ არტელებს სექტემბერში ვერ მისცეს დროზე სამუშაო განაკვეთი, რამაც გამოიწვია 14 და 15 სექტემბერს მათი გაცდენა, ამის შედეგად არტელებიდან წავიდა 26 კაცი.

მე-4 უბანში ადგილი აქვს მუშების გამოუყენებლობას თავიანთ სამუშაოებზე. ამხ. სვინტრაძის ბრიგადა 1 ოქტომბრ. გადაიყვანეს სამეურნეო ანგარიშზე, ნამდვილად კი 1 ოქტომ. 12 ოქტომბ.-დე მას დღიურად ამუშავებდნენ ხან გენსადგურზე, ხან სხვა სამუშაოებზე. მუშების იქეთ-აქეთ გადასროლამ გამოიწვია გაცდენები. 24 მუშას ამრიგად დაეკარგა 3—3 საათი დღიურად.

12 ოქტომბ. გენსადგურზე სინათლის გაუყვანლობის გამო გაცდა 25 მუშა, რის გამო მათ დაეწერათ 7 ნახევარი საათი გაცდენა. ათისთავმა სეკრეტარიოემ ეს გაცდენა დააბრალა წვიმას, რომელიც ერთ საათზე მეტი არ ყოფილა. ამავე უბანში დღემდე მოუწესრიგებელია სოცშეჯიბრის შედეგების აღრიცხვა. 14 ოქტომ. სოცშეჯიბრის აღმრიცხველმა კრებას გააცნო სოცშეჯიბრის შედეგები. მან აღნიშნა საწნეო აუზზე ბეჟშტანოვის არტელის სექტემბრის თვის მუშაობის შედეგები, იმ დროს როდესაც არც სექტემბერში, არც აგვისტოში ბეჟშტანოვის არტელი საწნეო აუზზე არ მუშაობდა. აქედან ცხადია, თუ როგორ მოუწესრიგებელია შრომის და სოცშეჯიბრის აღრიცხვის საქმე.

სექტემბრის თვეში მე-4 უბნიდან წავიდა 148 კაცი, ოქტომბრის 1 დეკადაში კი 57 კაცი.

რიონჰესის აღმშენებლობაზე ამჟამად მუშაობს ს. ჭოღნარის კოლმეურნეობებიდან 60-დე მუშა, კოლმეურნეობების გამგეობებთან კი ხელშეკრულება დადებული არ არის, რის გამო 30-მდე მუშამ სამუშაო მიატოვა და წავიდა.

ახლო-მახლო სოფლებში (ოფურჩეთი, ნამახვანი) მოიპოვება ქარბი მუშა - ხელი, მაგრამ მის მოზიდვაზე ნაკლებად ზრუნავენ. სამმართველო გატაცებულია შორეული რაიონებით, საიდანაც შედეგებს მუშა - ხელის შეგროვებისას ნაკლებს ვხედავთ.

კულტ - მასიური მუშაობა მივიწყებულია

[illegible] და კულტ-მომუშავენი მუშა ხელის შენარჩუნებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. არსად მუშათა ბარაკებში არ სწარმოებს საუბრები. გორიდან ჩამოსული მუშა ქალიაშვილი აცხადებს: „ჩვენთან არავითარი ჯანსაღი გასართობები არ არის, რის გამო მუშაობის შემდეგ გვძინავსო“.

ასევე განაცხადა მე-4 უბნის მუშა ყუფარაძემ და ერთმა რუსმა ამხანაგმა.

ადგილი აქვს ხელფასის გათანაბრების ტენდენციებს, რის გამო გაიზარდა მუშათა მფრინაობა ერთი უბნიდან მეორეში, მაგ. 1 უბნის მუშა ნაკლებს იღებს, ვიდრე მე-4 უბნის მუშა.. ხელფასის საკითხში მთელი რიგი შეუსაბამობაა.

ცუდადაა დაყენებული საზამთრო სამზადისი. ბარაკები შეუკეთებელია, სამმართველო კი ამ საქმისათვის ჯერ ჯერობით ნაკლებად ზრუნავს. დენადობას ხელს უწყობს კოოპერაციის მოუქნელი მუშაობა. მაგ. სასად. № 9, 7 და 11 კვება გაუარესდა, მუშათა მომარაგება მოუწესრიგებელია. მაგ., 1 უბნის მუშებს ამარაგებს რიონჰესის მუშკოოპი, ხოლო მე-4 უბ. „გრუზგოსტორგი“, მათ მომარაგებაში განსხვავებაა, ეს უკანასკნელი უკეთ ამარაგებს მუშებს ვიდრე რიონჰესის მუშკოოპი. ასეთია მოკლეთ მუშათა ორგანიზაციულად მოზიდვის საქმე რიონჰესის აღმშენებლობაზე.

დასკვნა: რიონჰესის ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან მუშაობა ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე, რომ უპასუხისმგებლობას მუშა-ხელის შეგროვების შენარჩუნების საქმეში შემდეგში მაინც მოეღოს ბოლო.

რეიდის მონაწილენი: გაზ. „კომუნისტი“-ს და „რიონჰესელი დამკვრელი“-ს მუშკორთა ბრიგადები: შ. კვესელავა, ბ. ნებიერიძე, ვ. ზაქრაძე, გ. კვიმსაძე, ს. სოფრომაძე, ბ. თომაშვილი, ნ. აშოთია, გ. სვინტრაძე, ნ. უკლება, შ. მალორავა, ვ. ლალიაშვილი.

მუშაობა არ გაშლილა

ამხ. სტალინი მის ისტორიულ მითითებებში ფართო ადგილს უთმობდა საწარმოებში მუშა-ხელის ცვალებადობის მოსპობის, სამუშაო ხელფასის მოწესრიგების და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებს.

როგორია მდგომარეობა ამ მხრივ სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხანაში.

ამწყობ სამქროს ხელფასის მოწესრიგების დარგში ცოტა რამ აქვს გაკეთებული მაგრამ დამახინჯებასაც აქვს ადგილი. აქ ჯერ კიდევ ივლისში გადასინჯეს გამომუშავების ნორმები და დაამტკიცეს შეფასებები, მაგრამ იგი ცხოვრებაში გაატარეს მხოლოდ აგვისტოდან.

ამ გადაჯგუფების დროს მძიმე პროფესიის ბრიგადები მოხვდნენ არა შესაფერის სატარიფო ჯგუფში.

ორთქლმავლების ზედსადგურებზე მომუშავე ბრიგადა ასრულებს მძიმე სამუშაოს. ისინი უნდა შეეყვანათ მეორე ჯგუფში, მაგრამ მოათავსეს მესამე ჯგუფში.

მუშებმა არა ერთხელ მიმართეს ამის შესახებ ამწყობ სამქროს ადმინისტრაციას, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავს; მხოლოდ სამი თვის შემდეგ, როცა მუშების ხელფასი საგრძნობლად შემცირდა—მოიფიქრეს ამ ბრიგადების მეორე ჯგუფში გადაყვანა.

საქვაბე სამქროს გადაუსინჯავს ხელფასის სისტემა, მაგრამ მუშათა მონაწილეობის გარეშე; ამიტომაც ხელფასის სწორი სისტემა კიდევ არაა მიღწეული.

გათანაბრების აღმოფხვრის მაგიერ, აქ „მემარცხენე“ გათანაბრება უფრო ღრმავდება. ავიღოთ მაგალითი: ძირითადი ჯგუფის ხელმძღვანელი ივანე რადნოვი გაათანაბრეს მცირე ჯგუფის ხელმძღვანელ იაროვოისთან, საუკეთესო ხელოსანი ამხ. ერაძე თვაათანაბრეს კორეცკისთან, საუკეთესო ხელოსანი ტიურინი დაბალ კვალიფიკაციის ხელოსან რეშეტოვთან და სხვ.

ამ სამქროში რომ ხელფასის სისტემა მოუწესრიგებელია, ეს სჩანს იქედან, რომ მეოთხე თანრიგის მუშებმა; რომელთა გამომუშავების პროცენტი ივლისში უდრიდა 56,37,—ხელფასი მიიღეს 104 მ. და 37 კ.; აგვისტოში გამომუშავება უდრიდა 71,69 პროც. ხელფასი მიიღეს 107 მ. 10 კ., სექტემბერში 66.65 პროც: გამომუშავებით ხელფასი მიიღეს 103 მ. 57 კ.

საიარაღო სამქროში აღმაშფოთებელი მდგომარეობაა. მუშათა ხელფასის საკითხი აქ უმნიშვნელო საკითხად მიაჩნიათ და 1927 წლიდან სატარიფო ცხრილი და განაკვეთების ღირებულება არავის გადაუსინჯავს. სამქროს ადმინისტრაცია, როდესაც ეს მას დასჭირდება, ხან უკლებს და ხან უმატებს ღირებულებას, სამქროს თუ საქარხნო შემფასებელ ბიუროს გარეშე.

ოთხი წლის წინად შემუშავებული თანრიგებით სწარმოებს ეხლაც შრომის ანაზღაურება.

მაგალითად: მე-4-ხე თანრიგის ხელოსნის სიმენიშინის ხელფასი სექტემბერში უდრიდა 86 მანეთს, ამავე დროს დამხმარე მუშამ გონბაშვილმა გამოიმუშავა 88 მან. 22 კ. ამას სამქროს ადმინისტრაცია ნორმალურად სთვლის.

სამჭედლო სამქროშიც გათანაბრება ფესვებ გადგმულია.

უამრავი მაგალითებია იმის, რომ მჭედელი და ურო დამრტყმელი ერთნაირად იღებენ ხელფასს. კარგი და სუსტი უროს დამრტყმელი ერთ და იმავე თანრიგში არიან მოქცეული და სხვ.

მუშების ბინებით უზრუნველსაყოფად სრულებით არ არის გადადგმული ნაბიჯი. ამ ნიადაგზე ცვალებადობას ადგილი აქვს. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი:

ამწყობ სამქროს 60 მუშა სცხოვრობს ავჭალაში, მცხეთაში, კასპში; გოდში. ისინი ყოველდღიურად მოგზაურობენ მატარებლით, ეკარგებათ უამრავი დრო, უნებლიეთ იგვიანებენ და აცდენენ კიდეც.

საქვაბე სამქროს ორმა საუკეთესო ხელოსანმა ბინის უქონლობის გამო მიატოვა სამუშაო. მექვაბეებმა კობახიძემ და ქაჯაიამ უკვე შეიტანეს განცხადება სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. ვინაიდან მათ ბინები არ აქვთ და ცხოვრობენ ვაგონებში.

მუშათა სასადილოები, განსაკუთრებით ამწყობ სამქროს სასადილო გაუპიროვნებულია.. სასადილოში [illegible]. ამ ბოლო დროს იგზავნება ცუდი ხარისხის სურსათი. სამი დღის განმავლობაში გაფუჭდათ 300 კილომდე რძე. სასადილოში არის ქურდობის შემთხვევებიც.

საჭიროა საბარგო და სახალხო სავაგონო სამქროების მუშათა სასადილოს მშენებლობის ტემპების გაძლიერება. საჭიროა რეზოლუციებიდან პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლა, რომ დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას ხელფასის მოწესრიგების დარგში ყველა ის დეფექტები, რომელსაც დღემდე აქვს ადგილი.

ქარხნელი.

ოქტომბრის რევოლუციის 14 წლისთავს

თამბაქო

შევხვდეთ ახალი გამარჯვებებით თამბაქოს აკრეფა-დამზადების საქმეში

არ დაიკარგოს არც ერთი ფოთოლი თამბაქო

თამბაქოს აკრეფის კამპანია თავიდანვე ვერ იქნა გაშლილი სათანადო ნაყოფიერებით. მეთამბაქოეების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობა ამ საქმეს სათანადოთ მომზადებული ვერ შეხვდნენ, ამას ზედ დაერთო არა ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, რამაც ცალკე რაიონებში საფრთხეში ჩააგდო თამბაქოს მოსავლის აღების დავალებათა დროზე შესრულების საქმე. თამბაქოს მესამე შეტეხვა განსაკუთრებით დაგვიანდა აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიისა და ხელისუფლების როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. დაიწყო დამკვრელი მუშაობა და მასიური ლაშქრობა თამბაქოს აკრეფის და მისი ადრეული დამზადების გეგმების დროზე შესასრულებლად. დამკვრელი მუშაობის შედეგად მიღწეული იქნა საგრძნობი წარმატებები. ...მის თანახმად აკრეფილი თამბაქოს დამზადება საქართველოში უნდა ჩატარებულიყო 1945 ტონას რაოდენობით., ეს გეგმა მიმდინარე წლის 15 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო 137,7 პროცენტით. თამბაქოს აკრეფის და ადრეული დამზადების საქმეში წინ მიდიან კოლმეურნეობები.

შეგვიძლიან თუ არა ჩვენ დავკმაყოფილდეთ ამ ნაწილობრივი მიღწევებით? რასაკვირველია არა. თამბაქოს კამპანიაში საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად ჯერ კიდევ წინ გვაქვს მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო მუშაობა.

უპირველესად ყოვლისა ახლა იშლება თამბაქოს ძირითადი დამზადების კამპანია. თამბაქოს მთელ კამპანიაში ძირითადი დამზადების ოპერაციას ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დროზე შევასრულოთ სახელმწიფოსათვის თამბაქოს მთელი მოსავლის ჩაბარების დავალება და შევინარჩუნოთ თამბაქოს, რაც შეიძლება მაღალი ხარისხი.

კულაკები, სპეკულიანტები, კონტრაბანდისტები და ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები ყოველმხრივ ხელს უშლიან და აბრკოლებენ თამბაქოს დამზადებას და ცდილობენ არევ-დარევა შეიტანონ ამ საქმეში. მემარჯვენე ოპორტუნისტები თავიანთი საბოტაჟით და პრაქტიკით პირდაპირ დახმარებას უწევენ კულაკებს. ამისათვის გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება კულაკების, თამბაქოს სპეკულიანტების, მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტების და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დააყენონ პირველ რიგში.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცნობები მოწმობენ, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა გამოაშკარავებას და მათთვის თამბაქოს აკრეფა-ჩაბარების მტკიცე დავალებების მიცემას არის ისეთი რაიონები (ახალციხე ტოლოში, წალენჯიხა) სადაც კულაკებს მტკიცე დავალებები სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული.

ამ გარემოებას ახლავე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. უნდა ჩატარდეს იმის შემოწმება თუ როგორ სისწორით და მთლიანად არის გამოაშკარავებული კულაკური შეძლებული მეურნეობანი, და უნდა დაწესდეს სასტიკი კონტროლი და მეთვალყურეობა იმაზე, რომ კულაკობამ დავალება დროზე და მთლიანად შეასრულოს.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს თამბაქოს მაღალი ხარისხის შენარჩუნებას, ამის გამო საშრობი ფარდულების დაუყოვნებლივ შეკეთებას და წესრიგში მოყვანას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

თამბაქოს დამზადების კამპანია წარმატებით იშლება. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება იმისათვის, რომ აკრეფის და დამზადების ტემპები ყოველმხრივ გაძლიერდეს. თამბაქოს ადრეული დამზადების გეგმა მთელ რიგ რაიონებში შესრულებული არ არის,—კერძოთ ადრეული დამზადების მტკიცე დავალება შესრულებული არა აქვთ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს.

მივიღოთ გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ გეგმები მთლიანად შესრულდეს ყველა რაიონებში. უნდა ვაიძულოთ კულაკური და შეძლებული მეურნეობანი თამბაქოს დამზადების მტკიცე დავალებები შეასრულონ დროზე უყოყმანოდ.

დ. რ.

დამზადება 20 ოქტომბრისათვის

ზუგდიდი, 26 ოქტომბერი. 20 ოქტომბრისათვის ზუგდიდის რაიონში აღებული იყო 407.737 ძაფი თამბაქო. **სექტორების** მიხედვით თამბაქო აღებული იყო **საბჭოთა მეურნეობებში** — 185.004 ძაფი, კოლმეურნეობებში — 167.747 ძაფი, ინდივიდუალურ მეურნეობებში — 51.605 ძაფი და კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებში (მტკიცე დავალებით) 3.381 ფი.

თამბაქო დამზადებულია: საბჭოთა მეურნეობაში — 17.000 კილო. კოლმეურნეობებში 25.238 კილო, ინდივიდუალურ მეურნეობებში — 8.176 კილო და კულაკურ მეურნეობებში — 33 კილო.

ს. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომი

რისთვის ჩამორჩა ბათომის ქარხანა

(აჭარისტანი)

აჭარისტანის თამბაქოს რაიონებმა ნაადრევი თამბაქოს დამზადების გეგმა შეასრულეს 107,6 პროც. განსაკუთრებით წარმატებით ჩატარდა დამზადება ხულოს და ქედის რაიონებში. ჩამორჩა ბათომის რაიონი, რომელმაც გეგმა შეასრულა მხოლოდ 70 პროც.-ით. ჩამორჩენის მიზეზია კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობების ცუდი მუშაობა. კოლმეურნეობებმა დროზე არ მიიღეს ზომები თამბაქოს პლანტაციების მოსავლელად და მოსავლის ასაკრებად, რამაც გამოიწვია დიხსარის და ხიშლამას გაფუჭება (კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“, ა. ქავთარაძის სახელობის და სხვ.).

დაიწყო თამბაქოს ძირითადი დამზადება. დამზადების ტემპები ნელია, ყველა რაიონებში.

დამზადება უზრუნველყოფილია ტრანსპორტით. „სოიუზტრანს“-მა გამოჰყო რაიონებიდან, თამბაქოს გამოსაზიდათ რამოდენიმე ავტო-მანქანა. მაგრამ, ავტომანქანები არ არის დატვირთული თამბაქოს სიმცირის გამო.

აჭარელი

აფხაზეთი. თამბაქოს შეტეხვა ხ. ალექსანდროვკას კოლმეურნეობაში

„მოსავლისა და კოლექტივიზაციის“ დეკადა

ფართოდ გამოვიყენოთ კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცების, აგრო-ტეხნიკის დაუფლების, სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების და კოლმეურნეობებში ღარიბ-საშუალო გლეხთა ახალი მასების ჩაბმისათვის

„მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე“

ჩავატაროთ სადღეისო ამოცანების ბოლშევიკურად შესრულების ნიშნის ქვეშ

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადა, რომელიც პირველი ნოემბრიდან იწყება უნდა გადაიქცეს საკოლმეურნეო მშენებლობის მასიურ დათვალიერებად, საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლა-გაფართოვების, კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, მოსავლიანობის გადიდების, კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის და მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის დაჩქარების მძლავრ საშუალებად.

უმთავრესი ამოცანა, რომელიც მთელი დეკადის განმავლობაში კოლმეურნეობათა მასის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს ეს არის კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საკითხი. ამ დარგში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევები. საგრძნობლად გადიდდა იმ კოლმეურნეობების რიცხვი, რომელნიც სამაგალითოდ ატარებენ სანარდო სისტემას; აწესრიგებენ აღრიცხვას; აუმჯობესებენ მუშაობის ხარისხს; მაღლა სწევენ შრომის ნაყოფიერებას და გადაჭარბებით ასრულებენ თავიანთ საწარმოო პროგრამებს.

ამავე დროს ჯერ კიდევ მრავალია კოლმეურნეობები, რომელშიც მოუწესრიგებელია აღრიცხვა და სანარდო მუშაობა, სუსტია საწარმოო დისციპლინა, უვარგისია ნამუშევრის ხარისხი და დაბალია შრომის ნაყოფიერება. მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადის განმავლობაში ჩვენ უნდა შევძლოთ ყველა ამ ნაკლოვანებათა გამოაშკარავება და მთელი კოლმეურნეობათა მასის აქტიურად დარაზმვა მათი გამოსწორებისათვის. გარდა ამისა ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მოწინავე კოლმეურნეობების გამოცდილება კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული მიღწევების განმტკიცებისათვის; უნდა მოეწყოს კოლმეურნეთა ექსკურსიები მეზობელ რაიონის კოლმეურნეობებში, ფართოდ უნდა გაიშალოს საკოლმეურნეო მიღწევების პროპაგანდა და მკვიდრ ნიადაგზე უნდა დავაყენოთ ძველი კოლმეურნეობათა მიერ ახალი კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე.

კოლმეურნეობების წინაშე ამჟამად მეტის-მეტად სერიოზული ამოცანა სდგას ესაა მოსავლის და შემოსავლის განაწილების სწორად ჩატარება. ამ საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ გაუგებრობებს, არევ-დარევას და პარტიის ხაზის აშკარა დამახინჯებასაც. მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადის განმავლობაში უნდა ჩავატაროთ ამ კამპანიის მიმდინარეობის გულდასმით შემოწმება, დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ თითეული კოლმეურნეობა, გამოვააშკარაოთ ყველა დეფექტები და მივიღოთ სათანადო ზომები მათი გამოსწორებისათვის. უპირველესად ყოვლისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას გათანაბრების წინააღმდეგ. არავითარ „გათანაბრებაზე“ ლაპარაკი არ შეიძლება. **ყველა კოლმეურნეობებში მოსავალი უნდა განაწილდეს თითეული კოლმეურნის მიერ გამომუშავებულ და მათ შრომის წიგნაკში სწორად ჩაწერილ შრომადღეების მიხედვით.**

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კოლმეურნეთა ქარბი მუშა-ხელის გარესამუშაოებზე გამოყენების მდგომარეობის გამორკვევას.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ბრძოლა მოსავლიანობის აწევის, ნათესი ფართობის გადიდების, აგროტეხნიკის დაუფლების, საანეულო ხვნის, თესლთა ბრუნვის შემოღების სარეველა ბალახებთან ბრძოლის და რაც მთავარია ტეხნიკური კულტურების გავრცელების დამკვრელი ტემპებით გაძლიერებისათვის.

როგორ ემზადებიან თელავში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი საგან)

თელავის რაიონში მოსავლის და „კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო.

გამოყოფილია კომისია რაიაღმასკომის, რაიპარტკომის, რაიკოლმეურნკავშირის, კომკავშირის რაიკომის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელმაც დაამუშავა აღნიშნული დღის ჩატარების რაიონული გეგმა და პრაქტიკული ღონისძიებანი.

გეგმის მიხედვით რაიონში ჩატარდება მოსავლის და კოლექტივიზაციის დეკადა. მოსამზადებელი პერიოდი უკვე დამთავრდა. ამ პერიოდში მთავარი ყურადღება მიექცა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხების შესწავლას და ამ მიმართულებით არსებულ მიღწევების და ნაკლოვანებების აღნუსხვას—მათი გამოსწორების მიზნით.

კერძოდ კი გამორკვეული იქნა: კოლმეურნეობებში შრომის სანარდო სისტემის გატარების მდგომარეობა, ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენება, მანქანა-იარაღების გამოყენების მდგომარეობა, შრომის აღრიცხვის და საწევრო წიგნაკებში შეტანის საკითხი, სოც. შეჯიბრის და დამკვრელობის გამოყენება და სხვა.

სადღესასწაულო პერიოდში მოეწყობა კოლმეურნეობებში მოსავლის სანიმუშო განაწილება სათანადო წესის საფუძველზე.

მოსავლის განაწილება მოხდება საზეიმოთ—კოლმეურნეობის გარეშე მყოფ ღარიბ და საშუალო გლეხთა თანდასწრებით. მოსავალი კი განაწილდება დახარჯული შრომა-დღეების და მისი ხარისხის მიხედვით.

„მოსავლის და კოლექტივიზაციის დღესთან“ დაკავშირებით და ოქტომბრის რევოლუციის მე-14-ე წლის თავის აღსანიშნავად 7 და 8 ნოემბერს ქ. თელავში მოეწყობა დიდი სასოფლო-სამეურნეო სარაიონო გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ექსპონატები და სხვა საგნები შემდეგი დარგებიდან: მესაქონლეობა, რძის ნაწარმოები და ხელსაწყოები, მეფუტკრეობა, მემინდვრეობა მევენახე-მეღვინეობა, მეხილეობა, მექანიზაცია, მცენარეთა დაცვა, მებოსტნეობა, დეკორატიული განყოფილება, კუსტარული საწარმოები გლეხებიდან, ტრიკოტაჟი ადგილობრივ სარეწაო ნადებიდან, მეაბრეშუმეობა. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან: სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობა და სხვ.

გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების წარმომდგენნი საექსპერტო კომისიის მიერ დაჯილდოვებულნი იქნებიან სასოფლო-სამეურნეო იარაღებით და დეფიციტიური სამრეწველო საქონლით, რომლის შესაძენათაც გადადებულია უკვე 2000 მანეთი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე დიაგრამები და სხვა ნახაზები რაიონში წარმოებული საკოლმეურნეო და სასოფლო სამეურნეო მშენებლობის ზრდის და მოსავლის გადიდების შესახებ.

გამოფენაზე მოწვეულნი არიან მეზობელ რაიონების კოლმეურნეობათა, საქ. მიწსახკომის, კოლმეურნცენტრის, ღვინოხილკავშირის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

გამოფენა გაიხსნება 7 ნოემბერს დილის სრულ 10 საათზე.

არ. კოკილაშვილი.

თელავი, 25 ოქტომბერი.

ბოლშევიკურად ჩავატაროთ „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე“

(საქ. კოლმეურნცენტრის დადგენილება)

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე, რომლის ჩატარება გათვალისწინებულია 1 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე, ჩატარებული **უნდა იქნას კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცების ნიშნის ქვეშ.**

ამასთანავე ერთად ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ კოლმეურნეობებში მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალი ლტოლვის ორგანიზაციის საქმესაც.

„**შრომის ორგანიზაცია, აღრიცხვის საქმის და... კოლმეურნეობებში, სანარდო სისტემის გატარება ბრძოლა შრომის ხარისხისათვის, მაღალ საქონლიან ფერმების შექმნა და კადრების მომზადება**“ აი ის უმთავრესი საკითხები, რომელთა ირგვლივ უნდა გაიშალოს მუშაობა მუშაობა ყველა კოლმეურნეობებში, კოლმეურნკავშირებში და სამანქ. სატრ. სადგურებში.

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის ჩატარების შედეგათ უნდა მივიღოთ.

ა) შემოდგომის თესვის და მძრალად ხვნის გეგმების გადაჭარბებით შესრულება, ბ) ბამბის აკრეფის და ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულება. გ) თამბაქოს; ჩაის; კენაფის; სოიას და სხვა ტეხნიკურ კულტურათ გეგმის გადაჭარბებით შესრულება. დ) ხილ-ბოსტნეულის აკრეფის დამთავრება. ე) კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულება: სახ. სამ. გადასახადების და კრედიტების დაფარვა მესამე გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაცია და სხვა.

ვ) საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის დადგენილების საფუძველზე მოსავლის და შემოსავლის სწორი განაწილება.

ამ კამპანიის ჩატარების დროს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ყურადღების ცენტრი უნდა მიექცეს აგრეთვე საკოლმეურნეო მესაქონლეობის განვითარების საქმეს, უნდა გაიშალოს მუშაობა საკ. სასაქონლო ფერმების ჩამოყალიბების, საკვები ფონდების შექმნის, პირუტყვის ბინების გაუმჯობესების და მშენებლობისათვის.

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე უნდა გახდეს გარე-სამუშაოზე გასვლის ორგანიზაციის და კოლმეურნეობათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შორის ხელშეკრულებების შემოწმების და ახალ ხელშეკრულებათა დადების დღედ. ამ საფუძველზე საჭიროა მოეწყოს ექსკურსიები კოლმეურნეობებიდან მიმაგრებულ წარმოებებში და პირიქით, წარმოებიდან კოლმეურნეობებში.

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღესთან დაკავშირებით უნდა ჩამოყალიბდეს აგრო-საწარმოო წრეები, მოეწყოს აგრო-საწარმოო ბიბლიოთეკები ყველა ქოხ-სამკითხველოებთან და კლუბებთან, დაარსდეს აგრო საწარმოო კუთხეები და საერთოდ მოხდეს გარდატეხა აგრო-საწარმოო უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში.

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღეს ჩატარებულ უნდა იქნეს კოლმეურნეთა საერთო კრებები ინდივიდუალურ მოჯამაგირე, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მიწვევით. საერთო კრებაზე მოსმენილ უნდა იქნას მოხსენება საკოლმეურნეო მშენებლობის და კოლმეურნეობების საწარმოო და სამუშაო გეგმების შესრულების შესახებ.

ჩატარებულ უნდა იქნას სოფლური და რაიონული შეკრებები. შემოწმებულ უნდა იქნას სოცშეჯიბრის, დამკვრელობის და სხვათა შესრულება კოლმეურნეობების მიერ და უნდა ხდებოდეს მოწინავე კოლმეურნეობათა დაჯილდოვება.

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის უნდა მოეწყოს გამოფენები. გამოფენები ეწყობა ყველა კოლმეურნეობებში.

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღესთან დაკავშირებით მოწყობილი უნდა იქნეს მასიური ექსკურსიები როგორც კოლმეურნეობების შიგნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა შორის, საბჭოთა მეურნეობებში სამანქ. სატრაქტორო სადგურებში რაიონიდან რაიონში და სხვა.

ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი პრესა, კედლის გაზეთები და რადიო მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის მნიშვნელობის პოპულარიზაციისათვის.

კოლმეურნცენტრის გამგეობის თავმჯდომარე **პ. წულუკიძე.**

მიღწეული უნდა იქნეს გადამწყვეტი გარდატეხა

ხე-ტყის დამზადების, გამოტანის და დაცურების მიმდინარეობაში

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილება

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭო აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ხე-ტყის დამზადებას, მის გამოტანას და დაცურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შესრულებისათვის, როგორიც არის: საექსპორტო გეგმის შესრულება, კაპიტალური მშენებლობა, ქაღალდის მრეწველობა და ტრანსპორტის მომარაგება, განსაკუთრებით კი სამრეწველო ცენტრების გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეშის სათბობით,—სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ აქცევენ ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას.

იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნას ხე-ტყის დამზადება, ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭო ადგენს:

1. დაევალოს ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, ავტონომიური ოლქების ცაკებს და რაიაღმასკომებს (განსაკუთრებით ზემო-სვანეთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხარაგოულის, სენაკის, ამბროლაურის, ქუთაისის, ონის, ლეჩხუმის, თბილისის, თელავის, გურჯაანის, ბელოკანის, თაუზის, იჯევანის და ლენქორანის) უახლოეს ვადაში მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას ხე-ტყისა და შეშის დამზადების, ხე-ტყის გამოტანის და დაცურების მიმდინარეობაში.

2 დამტკიცებულ იქნას მუშა-ხელის და საჭაპანო ძალის მეოთხე კვარტალის გეგმა ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტისათვის.

3. წინადადება მიეცეს ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები სატყეო-სამრეწველო მეურნეობების მუშა-ხელით მომარაგებისათვის, მუშა-ხელის შეგროვების დამტკიცებულ გეგმასთან შეფარდებით და გაატარონ ცხოვრებაში ის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 5 სექტემბრის დადგენილებით. გეგმაში მოხსენებულმა რაიონებმა, რაიაღმასკომების თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, ყოველ მიზეზს გარეშე მიაღწიონ შეგროვების გეგმის შესრულებას.

4. ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტმა, ა.-კ. სამხარეო სატყეო სამმართველომ, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სატყეო სამმართველომ, სარეწაო კოოპერაციამ და სხვა დამამზადებელმა ორგანიზაციებმა:

ა) გამოჰყონ ნატურალური ფონდი კოლმეურნეების და ინდივიდუალურ გლეხების ტყის პროდუქციით დასაჯილდოებლად პირადი საჭიროებისათვის მათი ხელფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

ბ) გაუწიონ დახმარება კოლმეურნეებს სასოფლო - სამეურნეო მუშაობის უფრო დაძაბულ პერიოდში თავისუფალი ცხენების და სატყეო - სამრეწველო მეურნეობების სხვა ტექნიკურ საშუალებათა მიწოდებით.

გ) უზრუნველჰყონ 1931-1932 სასწავლო წელს სატყეო ტეხნიკუმებსა და სატყეო-სამრეწველო მოწაფეობის სკოლებში 70 კაცის მიღება მაინც იმ კოლმეურნეობათა წევრებიდან, რომლებმაც სატყეო-სამრეწველო მეურნეობასთან დასდვეს ხელშეკრულება გარე სამუშაოზე გასვლის შესახებ, და უზრუნველჰყონ ისინი შესაფერი სტიპენდიებით.

დ) პროფორგანიზაციებთან ერთად მიაღწიონ იმას, რომ არა უგვიანეს 1932 წლის 1 იანვრისა ფაქტიურად ჩაბმულ იქნას ბრიგადული მეთოდებით მუშაობაში ტყის მჭრელთა 75 პროცენტი.

ე) გამოჰყონ ფონდი სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა იმ დირექტორების და ტეხნიკური ხელმძღვანელების დასაჯილდოებლად ორი თვის ხელფასის რაოდენობით, რომლებიც 1932 წლის 1 იანვრისათვის შეასრულებენ დავალებას ტყის მჭრელების 75 პროცენტის ბრიგადული მეთოდებით მუშაობაში ჩაბმის შესახებ.

5. განთავისუფლებულ იქნან გარე სამუშაოზე გასული კოლმეურნეები მათი განუზოგადოებელი მეურნეობების ზედმეტი სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან ხე-ტყის დამზადებაზე, ხე-ტყის გამოტანაზე და ტყის დაცურებაზე მუშაობის დროს მიღებულ ხელფასის ჩათვლით, თანახმად გარესამუშაოზე გასვლის შესახებ 1931 წლის 30 ივნისის გამოცემულ კანონისა (საბჭოთა კავშირის კანონთა კრებული № 42, 1931 წლ., გვ. № 286), და განთავისუფლებულ იქნას სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან გარე სამუშაოზე გაუსვლელ კოლმეურნეების მიერ ხე-ტყის დამზადებაზე, ხე-ტყის გამოტანაზე და ტყის დაცურებაზე მუშაობის დროს მიღებული ხელფასი.

6. იმ ინდივიდუალურ მეურნე-გლეხთა მიერ ტყის დამზადებაზე, გამოტანაზე და დაცურებაზე მუშაობისათვის მიღებული ხელფასი, რომელთაც მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს ტყის დამზადების, გამოტანის და დაცურების დავალება, განთავისუფლებულ იქნას მთლიანი- სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან.

7. ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტმა ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ შრომის ხელფასის წახალისებითი სისტემის შემოღებას (პროგრესიული სანარდო სისტემა), საბინაო პირობების გაუმჯობესებას, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაძლიერებას და დაჯილდოების ყველა სახეების ჩატარებას.

8. წინადადება მიეცეს ა.-კ. შრომის სახკომს, ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად, ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტის გამოკლებით, ხუთი დღის ვადაში გამოჰყოს რაიონები მუშა-ხელის შესაგროვებლად.

9. ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრმა დაუყოვნებლივ დაიწყოს მასიური კამპანიის ჩატარება ხელშეკრულებათა დადების და ხე-ტყის დამზადებისათვის საჭირო მუშა-ხელის შეგროვების შესახებ და ჩაატაროს ეს კამპანია იმ გვარად, რომ განუმარტოს საკოლმეურნეო მასებს გარესამუშაოზე გასულ კოლმეურნეებისათვის დაწესებული შეღავათები, კერძოდ, ის დამატებითი შეღავათები, რომლებიც ეძლევა გარე სამუშაოზე გასულ კოლმეურნეებს ხე-ტყის დამზადების და ხე-ტყის გამოტანის საქმეზე მუშაობის დროს.

10. წინადადება მიეცეს ა.-კ. შრომის სახკომს და იმ რაიონების რაიაღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზე სწარმოებს მუშა-ხელის შეგროვება, რამდენიმე სამეურნეო ორგანიზაციისათვის, არ დაუშვან მუშა-ხელის ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაბირება ხელფასის გადიდების და სამრეწველო საქონლის უფრო უკეთესად მომარაგების გზით.

11. წინადადება მიეცეს ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების, ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების სახკომსაბჭოებს დააწესონ რაიაღმასკომების და სამეურნეო ორგანოების ანგარიშგება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მუშა-ხელის შეგროვება და როგორ სრულდება საწარმოო დავალება ხე-ტყის დამზადების და გამოტანის საქმეში.

12. დაევალოს „სოიუზპრომკორმ“-ის ა.-კ. კანტორას დააკმაყოფილოს ტყისა და შეშის დამზადების, აგრეთვე ხე-ტყის გამოტანის მოთხოვნილება, როგორც თივით, ბზით, ჩალით და სხვ., აგრეთვე მარცვლეული საკვებით შემდეგი რაოდენობით: 1932 წლის 1 იანვრამდე — 6000 ტონით და 1932 წლის პირველ კვარტალში—2000 ტონით.

13. წინადადება მიეცეს ა.-კ. მარაგსახალებას უზრუნველჰყოს ა.-წ. 1 დეკემბრამდე ხე-ტყის დამზადების, გამოტანის და დაცურების მოთხოვნილება საზამთრო სპეცტანისამოსით და ფეხსაცმელით.

14. დაევალოს ა.-კ. ს.მ.უ. საბჭოს და „სოიუზკოჟას“ ერთი დეკადის ვადაში გამოჰყონ და გადასცენ სარეწაო კოოპერაციის ტყავის ნედლეულის საჭირო რაოდენობა ქალამნების დასამზადებლად და დაავალონ აღნიშნულ კოოპერაციას უმოკლეს ვადაში დაამზადოს ქალამნები და გადასცეს ისინი „ზაკსოიუზ“-ს ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის გასანაწილებლად.

15. წინადადება მიეცეს ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტს სასწრაფოდ დასვას „გლავლესპრომ“-ის წინაშე საკითხი, რომ მან გამოჰყოს ფონდი ხე-ტყის დამზადების და ხე-ტყის გამოტანის უზრუნველსაყოფად მავთულით, ხარისხოვანი რკინით, ფოლადი იარაღებით, სამთო-საგზაო იარაღებით და სხ.

16. წინადადება მიეცეს „ავტორემსნაბ“-ს უზრუნველჰყოს სატყეო მრეწველობის ავტოტრანსპორტი რეზინის შინებით, კამერებით, ავტონაწილებით და იარაღებით.

17. წინადადება მიეცეს ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ზაკსოიუზ“-ს 1931 წლის 1 ნოემბრამდე რეალურად უზრუნველჰყონ სატყეო მრეწველობის მომარაგება მეოთხე კვარტალის გეგმით გათვალისწინებულ სურსათით და სამრეწველო საქონლით; ამასთანავე ერთად აღძრან შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის მომარაგების სახკომის წინაშე, რომ დაჩქარებით იქნას გამოზავნილი ცენტრალიზებულ ფონდიდან სურსათი და სამრეწველო საქონელი ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის.

18. წინადადება მიეცეს „ზაკტორგ“-ს არა უგვიანეს 1931 წლის 1 ნოემბრისა გამოჰყოს 600.000 მანეთის კომერციული მანუფაქტურა სატყეო მრეწველობის მუშათა საჭიროებისათვის.

19. წინადადება მიეცეს ხე-ტყისა და შეშის დამამზადებელ ყველა ორგანიზაციებს სისტემატიურად ყოველ ხუთ დღეში წარუდგინონ ა.-კ. რკინის გზების დირექციას მოთხოვნილება ხე-ტყის მასალის და შეშის გადასაზიდად საჭირო მოძრავი შემადგენლობის (დახურული და ღია ვაგონები) რაოდენობაზე იმის ჩვენებით, თუ რამდენი ვაგონი და სახელდობრ რა ადგილას უნდა იქნას ჩამოყენებული.

დაევალოს რკინის გზების დირექციას რეალურად და პირველ რიგში უზრუნველჰყოს სატყეო მრეწველობის მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებით, აქედან ყოველდღიურად მიაწოდოს მრეწველობას შეშის გადასაზიდად არა ნაკლებ 50 ვაგონისა.

20. წინადადება მიეცეს ა.-კ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, შინაგანი რესურსების მობილიზაციის წესით, გამონახოს ფოთის რაიონისათვის 4 ძრავი ორთქლმავალი (პატარა ორთქლმავლები), აგრეთვე მოძრავი შემადგენლობა 40 ღია ვაგონის რაოდენობით.

21. იმის გამო, რომ არასაკმაოდ არის გაშლილი სატყეო კოოპერაცია და სამომხმარებლო კოოპერაცია არ აქცევს ყურადღებას თავის სატყეო სექციას, საჭიროდ იქნას ცნობილი:

ა) არა უგვიანეს 1931 წლის 15 ნოემბრისა სატყეო კოოპერაციის რაიონულ და ქვედა საფეხურის ორგანიზაციების შევსება სათანადო მუშაკებით.

ბ) დაევალოს „ზაკკოოპიტ“-ს პროფკავშირებთან ერთად არა უგვიანეს 1931 წლის 15 ნოემბრისა გახსნას მუშათა კოოპერატივები და სასადილოები სატყეო-სამრეწველო მეურნეობებთან, ხოლო ამ უკანასკნელებმა დაუთმონ მუშათა კოოპერატივების გასახსნელად შესაფერი ბინები და მოწყობილობა.

22. ხე-ტყის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ფართოდ ჩააბან ცალკე თვითდამამზადებლები ხე-ტყის დამზადების და გამოტანის საქმეში აღნიშნულ დამამზადებლების ყოველგვარი შინაგანი რესურსების მაქსიმალურად მობილიზაციის გზით, როგორიცაა: ტყის საჭრელი იარაღი, საკუთარი გადასაზიდი საშუალებანი, საწყობები და სხვა მატერიალური და ტექნიკური რესურსები.

23. შემოღებულ იქნას ისეთი წესი, რომლის მიხედვით ადგილობრივი რაიონული მოთხოვნილება შეშის და ხე-ტყის მასალაზე დაკმაყოფილებული იქნება იმასთან შეფარდებით, თუ რამდენადაა შესრულებული ხე-ტყის დამზადების გეგმა ამა თუ იმ რაიონში.

24. დაევალოს ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტს უზრუნველჰყოს სატრანსპორტო ნაგებობათა მშენებლობის სავსებით შესრულება მტკიცედ დაწესებულ ვადებში (ხე-ტყის დასაშვები, ღარები, ხე-ტყის საზიდი გზები და სხვ.).

25. აღინიშნოს, რომ სატყეო მრეწველობის ორგანოებმა (ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტი და მისი ადგილობრივი ორგანოები) აქამდე ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და რომ ხელმძღვანელობა ატარებს საერთო სადირექტივო, და არა საკმაო ოპერატიულ ხასიათს და წინადადება მიეცეს ა.-კ. ტყისა და ქაღალდის ტრესტს 20 დღის ვადაში მიაღწიოს რადიკალურ გარდატეხას მუშაობის გარდაქმნაში და სათანადო სიმაღლეზე დააყენოს კონკრეტულ-ოპერატ. ხელმძღვანელობა თითეულ სატყეო-სამრეწველო მეურნეობებზე, აგრეთვე ყოველდღიურად გამოასწოროს ყველა ის დეფექტები, რომლებიც თან ახლავს მათ მუშაობას ხე-ტყის დამზადების, გამოტანის და დაცურების დარგში.

26. დაევალოს ყველა ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს და რაიაღმასკომებს განსაკუთრებული ზომები მიიღონ იმისათვის, რომ მოახდინონ სატყეო მრეწველობის შინაგან რესურსების მობილიზაცია, სწორად გამოიყენონ არსებული მუშა-ხელი და მოაწესრიგონ მუშათა შეგროვების საქმე, მექანიზაციისათვის საჭირო ღონისძიებებთან ერთად.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელი **გ. ვეზიროვი.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შაჰვერდოვი.**

დანართი

მუშა-ხელის დაგროვების გეგმა 1931 წლის მე-IV კვარტალისათვის.

№№ რიგით	სატყეო-სამრეწველო	საჭიროა შეგროვება: ხის მჭრელები	გადამზიდავები	დამცურებლ.	სულ	შეგროვების რაიონი
1	სვანეთის	800	150	420	1370	1. ცაგერის 2. ზემო-სვანეთის 3. წალენჯიხის 4. ჩხოროწყუს
2	ფოთის	1493	330	88	1911	1. სენაკის 2. ხობის და ხონი 3. ლანჩხუთის 4. მარტვილის
3	ოზურგეთის	101	306	22	429	1. ოზურგეთის
4	ზუგდიდის	199	59	104	362	1. ზუგდიდის 2. მარტვილის 3. წალენჯიხის 4. ჩხოროწყუს
5	ამბროლაურის	98	21	35	154	1. ამბროლაურის 2. ონის
6	ქუთაისის	45	81	—	126	1. ქუთაისის
7	ხარაგოულის	146	252	40	438	1. ხარაგოულის
8	გორის	54	108	—	162	1. გორის
9	თბილისის	134	127	390	651	1. მცხეთის 2. დუშეთის
10	ბორჩალოს	65	124	—	189	1. ბორჩალოს
11	თელავის	56	229	—	285	1. თელავის
12	გურჯაანის	57	39	—	96	1. გურჯაანის
13	კოდორის	600	110	600	1310	1. ლეჩხუმის 2. ამბროლაურის 3. ხონის
14	გაგრის	229	84	70	383	1. გაგრის 2. მარტვილის 3. გალის
15	აჭარისტანის	235	181	160	576	1. აჭარისტანის
16	სამხრეთ-ოსეთის	236	107	28	371	1. სამხრეთ-ოსეთის
17	ბელოკანის	188	204	—	392	1. ბელოკანის 2. კახეთის
18	ლენქორანის	316	478	—	794	1. ლენქორანის
19	თაუზის	156	64	—	220	1. მანგლისის, თაუზის
20	კუბის	60	85	—	151	1. კუბის
21	ქურთისტანის	30	12	—	42	1. ქურთისტანის
22	იჯევანის	146	134	—	280	1. იჯევანის 2. დელიჯანის
23	კარაკლისის	47	55	—	102	1. ალავერდის 2. სადახლოს
24	ერევნის	24	—	—	24	1. ერევნის
25	ზანგეზურის	49	127	—	176	1. ზანგეზურის
	სულ	5570	3467	1957	10994	

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრთა კრება

27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში შესდგა ძველ ბოლშევიკთა საზ-ბის წევრთა კრება.

კრება გახსნა ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ დღეს საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზ-ბის კრებას ესწრება ერთ-ერთი ძველი ბოლშევიკი, მტკიცე და ურყევი მებრძოლი, ძველი იატაკქვეშელი, რომელიც დღემდე ყველა მძიმე ბრძოლების პერიოდში მტკიცედ სდგას პარტიის ინტერესების სადარაჯოზე. ეს არის ამხ. ალექსანდრე მიტროფანეს-ძე სტოპანი.

კრება ამხ. ფ. მახარაძის უკანასკნელ სიტყვებს ოვაციებით შეხვდა.

ამხ. სტოპანის საპასუხო სიტყვის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მოსკოვის საბჭოს წევრი ამხ. მუსიევი და სოკოლნიკოვი, რომელთაც მოიგონეს ამხ. სტოპანის დაუღალავი და ენერგიული მუშაობა ბაქოში. მისალმებათა შემდეგ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სტოპანმა.

— ძველ ბოლშევიკთა საზ-ბაში, სთქვა ამხ. სტოპანმა, მიიღებიან საკ. კ.პ. (ბ) წევრები არა ნაკლებ 18 წლის პარტიული სტაჟისა. ეს საზოგადოება ჩამოყალიბდა მოსკოვში 1922 წელს საზოგადოება პირველ ხანებში რამდენიმე წევრს ითვლიდა. ამჟამად კი ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებას აქვს 20 განყოფილება. კერძოდ ამიერ-კავკასიაში არის 3 განყოფილება. საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში დღეს ირიცხება 30 კაცი; მაშინ როდესაც მარტო გურიაში 40-მდე ძველი ბოლშევიკია. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა მივაღწიოთ ჩვენ საზოგადოებაში ყველა ძველი ბოლშევიკების ჩაბმას. ეს ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ძველ ბოლშევიკთა ორგანიზაცია როგორც ყოველთვის, დღესაც მტკიცედ დგას პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე. 1924-27 წლებში ძველი ბოლშევიკები დაუნდობელ ბრძოლას ვაწარმოებდით ტროცკისტულ ოპოზიციისთან. დღეს კი ჩვენ სასტიკად ვებრძვით მიმდინარე ეტაპზე უმთავრეს საფრთხეს— მემარჯვენე გადახრას და აგრეთვე „მემარცხენე“ ოპოზიციის ნამსხვრევებს, ლენინიზმის სიწმინდისათვის. თითო ოროლა მერყევი ელემენტი, რომელიც ჩვენშიაც, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში აღმოჩნდა და ოპორტუნისტულ ჭაობში მოექცა, ჩვენ დაუნდობლად ვამხილეთ და დროზე მოვიცილეთ.

საკავშირო ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების პირველი კონფერენცია შესდგა მიმდინარე წლის იანვარში, რომელმაც დაამტკიცა ახალი წესები. კონფერენციის შემდეგ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების მუშაობაში ძირითადი გარდატეხა მოხდა. საზოგადოება შევიდა განვითარების ახალ ფაზაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს - საზოგადოებას მთლიანად ჯერ კიდევ ვერ მოუწყვია გეგმიანი მუშაობა, თუმცა მისი მოსკოვის განყოფილება გეგმიანად მუშაობს.

კონფერენციის დადგენილების თანახმად ძველ ბოლშევიკთა შორის უნდა ვაწარმოოთ მუშაობა პოლიტ. ცოდნის ასამაღლებლად. ამ მიზნით საჭიროა დავაარსოთ სპეციალური კურსები და სხვ. კონფერენციის შემდეგ ჩატარდა საზ-ბის პრეზიდიუმის ორი პლენუმი. მეორე პლენუმმა შეამოწმა, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში კონფერენციის დადგენილებები.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ვინც კი შემოიტანს განცხადებას ჩვენ ორგანიზაციაში, ყველას ვღებულობთ, თუგინდ ის 18 წლის პარტიული სტაჟით იყოს. ეს არ არის სწორი. ჩვენ ვარჩევთ საუკეთესო ამხანაგებს, რომლებიც გამოდგებიან მუშაობაში. ამის გამო დღემდე მთხოვნელთა 25 პროც. მიღებაზე უარი უთხარით.

რა ამოცანები დგას ამჟამად ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წინაშე?

ჩვენ ყოველდღიურ ამოცანას შეადგენს დავეხმაროთ პარტიას და მის ლენინურ ცეკას, სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენ უნდა შევასწავლოთ ახალგაზრდობას ჩვენი რევოლუციონური წარსული და ამით გამოვიმუშაოთ მათგან მტკიცე ბოლშევიკები. ჩვენ ძველი ბოლშევიკები, როგორც ერთი, უნდა ვიდგეთ სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოთ პარტიის გენერალური ხაზის გამრუდებას.

ჩვენ ამჟამად ვღებულობთ ზომებს საზოგადოების წევრთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრთათვის მოსკოვში შენდება სახლი და სხვ.

ეხლა რამდენიმე სიტყვა ამიერ-კავკასიაზე. კერძოდ კი საქართველოზე. საქართველოში ბოლშევიკთა საზ-ბამ ვერ გაშალა მუშაობა ისე, როგორც საჭიროა. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზ-ბამ უნდა აიღოს მუშაობის ბოლშევიკური ტემპები. ის ეხლავე უნდა შეუდგეს თავისი მუშაობის გადახალისებას და მის გეგმიან წარმოებას.

ამხ. სტოპანის მოხსენების გარშემო გაიმართა საქმიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. ფ. მახარაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში, ისე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წინაშე დიდი ამოცანები სდგას საზოგადოებამ უნდა შესძლოს ამ ამოცანების დაძლევა, რისთვისაც ენერგიული მუშაობაა საჭირო.

კრებამ საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ახალ წევრებად მიიღო 16 ამხანაგი.

დასასრულ, კრებამ საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია: ამხ. ფილიპე მახარაძე; მოადგილეებად — ამხ. მალაქია ტოროშელიძე და თენგიზ ჟღენტი.

კომუნალური მშენებლობა ფოთში

ფოთი როგორც ნავთსადგურიანი ქალაქი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში. ფოთის ნავთსადგურიდან სწარმოებს ჭიათურის მარგანეცის მთელი რაოდენობის ექსპორტი. ფოთის ნავთსადგურში თითქმის ყოველდღე მოდიან დიდტვირთული გემები შავ ზღვაზე მდებარე საბჭოთა კავშირის ნავთსადგურებიდან, რომლებსაც მოაქვთ ტვირთი საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებისათვის მარტო შავი ზღვის ნავთსადგურებიდან მოსული ტვირთის ფოთის ნავთსადგურიდან გამოსაზიდად საშუალოდ ყოველდღიურად საჭიროა 100 ვაგონი. ფოთის ნავთსადგურში დღეს გაცხოველებული მუშაობაა, იქ ყოველდღიურად მუშაობს რამდენიმე ასეული მუშა. ნავთსადგური განიცდის მუშა-ხელის ნაკლებობასაც. სხვა მხრივაც ფოთი მნიშვნელოვანი ქალაქია, აქ არის თევზის სარეწაოები, გემების შემკეთებელი ქარხანა, ფოთშია მოთავსებული კოლხიდის ჭაობების ამოშრობის ხელმძღვანელი ორგანიზაცია „კოლხიდმშენი“, რომელიც ხელმძღვანელობს კოლხიდის ჭაობების ამოშრობას სწარმოებს ხე-ტყის დამზადება და სხვ.

ფოთის ასეთ დიდმნიშვნელობასთან ერთად, ისმის საკითხი, არის თუ არა ფოთი კეთილმოწყობის მხრივ ისეთი ქალაქი; რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე ქალაქების და მით უმეტეს სოციალისტური ქალაქის მოთხოვნილებებს?

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფოთში ბევრი რამ გაკეთდა კეთილმოწყობის მხრივ. დღეს ფოთი საკმაოდ განათებულია აბჰესის სინათლით, მოკირწყლულია ქუჩები, დიდი მუშაობაა ჩატარებული ნავთსადგურის სანაპიროზე. აქ აგებულია მთელი რიგი სახლები, საუცხოვოდ მოწყობილი მაციდარი, ყურადღება ექცევა სისუფთავის დაცვას და სხვ. მაგრამ კეთილმოწყობის დარგში ფოთს ჯერჯერობით ბევრი რამ აკლია. ქალაქს დღემდე არა აქვს წყალსადენი, კანალიზაცია, ხეირიანად მოწყობილი აბანოები, ხოლო ცხენმავალს, რომელიც ნავთსადგურიდან ნახუტურის უბნამდე მუშაობს (მხოლოდ ერთი ხაზზე) არ შეიძლება უწოდოთ გადასაზიდი საშუალება, რომელიც ოდნავ მაინც აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნილებას.

უმთავრეს ნაკლად ქალაქისათვის ამჟამად უნდა ჩაითვალოს წყალსადენის უქონლობა, ფოთის მოსახლეობა, რომელსაც საგრძნობ ზიანს აყენებს მალარიანი ადგილები, იძულებულია სვას რიონის მღვრიე და უსუფთაო წყალი. წყალსადენის უქონლობასთან არის აგრეთვე დაკავშირებული კანალიზაციის გაყვანის საკითხიც. წყალსადენის გაყვანამდე ზედმეტია ლაპარაკი კანალიზაციის გაყვანაზე.

რა ნაბიჯები აქვს გადადგმული ფოთის საბჭოს ქალაქის კეთილმოსაწყობად და კომუნალური მშენებლობისათვის?

ტრამვაი

ფოთის საბჭოს მთავარ საზრუნავ საგანს ამჟამად წარმოადგენს ცხენმავალის შეცვლა ელექტრო-ტრამვაით. ამ მიმართულებით პრაქტიკული მუშაობა უკვე დაწყებულია. სწარმოებს მდინარე რიონზე ორი ხიდის გამაგრება, დამზადებულია შპალები საკმაო რაოდენობით, ტრამვაის პარკის ასაგებათ მიზიდულია მთავარი მასალები, ამჟამად იწყება შენობისათვის საფუძვლის ჩაყრა. საკმაოა ელდენიც, მხოლოდ საჭიროა ტრანსფორმატორის აგება. მომავალი წლის პირველ კვარტალში ფოთის საბჭომ უნდა მიიღოს ტრამვაის რვა ვაგონი. ტრამვაის ხაზი გაყვანილი უნდა იქნას პირველ რიგში 4 კილომეტრზე. ამ საქმისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტით გადადებული იყო 150 ათასი მანეთი. ამ თანხიდან დღემდე დახარჯულია 94 ათასი მანეთი: ამჟამად მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს ელექტრო-ტრამვაის გაყვანისათვის წარმოადგენს რელსების უქონლობა, საბჭოს მოეპოვება რელსები მხოლოდ ორას მეტრზე, რაც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, თუ რელსების შეძენის საკითხი მოგვარდა, ფოთს სულ მალე ექნება ელექტრო-ტრამვაი და ცხენმავალი ისტორიას ჩაბარდება.

წყალსადენი

წყალსადენის გასაყვანად ჯერჯერობით სწარმოებს მხოლოდ წინასწარი სამზადისი. გადაწყვეტილია წყალსადენი გამოყვანილი იქნას მდინარე რიონიდან, რითაც სათანადო ფილტრაციის შემდეგ შესაძლებელი გახდება ქალაქს მივაწოდოთ სუფთა წყალი. კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოში დაკვეთილია წყალსადენისათვის გეგმა, გეგმის შედგენაზე უნდა დაიხარჯოს 25 ათასი მანეთი, ხოლო პრაქტიკული მუშაობა წყალსადენის გამოსაყვანად დაწყებული უნდა იქნას მომავალი წლიდან და დამთავრდება 1933 წელში.

წყალსადენის გამოყვანის საკითხს უკავშირდება კანალიზაციის საკითხიც. პირველის მოგვარების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყება სამზადისი მუშაობა კანალიზაციის გასაყვანად.

საბინაო მშენებლობა

საბინაო მშენებლობის დარგში ფოთის საბჭოს მუშაობა დღემდე არსებული სახლების შეკეთებაში გამოიხატებოდა და ფართო საბინაო მშენებლობა არც გეგმით იყო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, ოთხე კვარტალში გეგმის გარეშე შენდება ორსართულიანი სახლი, რომლის აგება ჯდება 54 ათასი მანეთი. შენდება აგრეთვე საერთო საცხოვრებელი კომუნალურ მშენებლობაზე მომუშავე მუშებისათვის, რომელიც დაიტევს 60 კაცს. მთავრდება კოოპერატიული სავაჭროსთვის შენობის აგება.

მომავალი წლის გეგმით გათვალისწინებულია ორი, სამსართულიანი სახლის აგება მუშათა ბინებისათვის. გარდა ამისა საბინაო მშენებლობას ნავთსადგურის მუშებისათვის სწარმოებს აგრეთვე რუდოექსპორტის სამმართველო.

კეთილმოწყობა და სანიტარული პირობების დაცვა

მეოთხე კვარტალში უნდა მოიკირწყლოს პროლეტარის და რიონის სანაპირო ქუჩები. განათების დარგში ქალაქის ქუჩები უზრუნველყოფილია, მაგრამ ბინების განათების საქმე ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მოგვარებული. ელექტრო-ქსელის გაფართოებას და ბინებში ელდენის გაყვანას აფერხებს მავთულების სიმცირე. დღემდე ქალაქს არ მოეპოვება აგრეთვე ხეირიანად მოწყობილი აბანო. მომავალი წლისათვის გადაწყვეტილია აბანოს აგება, რომლის გამტარუნარიანობა ერთდროულად უნდა უდრიდეს 80 კაცს. გადაწყვეტილია მოეწყოს აგრეთვე მექანიკური სამრეცხაო.

ფოთის საბჭოს წინაშე დიდმნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელი ქალაქის კეთილმოწყობის დარგში. ყველა ამ საკითხების დროულად მოგვარება მოითხოვს, როგორც ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას, ისე ცენტრალური ორგანოების დახმარებასაც.

ს. ე.

მეტი ყურადღება მანდარინის დამზადებას

მიმდინარე წელს სპეციალისტების საერთო დასკვნით საქართველოში მანდარინის არაჩვეულებრივი მოსავალია. საორიენტაციოდ მოსავლის რაოდენობა განსაზღვრულია 40 მილიონ ცალამდე. ამ საფუძველზე დამუშავებული **გეგმა მანდარინის დამზადებისა უდრის 37.692.000 ცალს**, რაც განაწილებულია მანდარინის კულტურის მთავარ რაიონებთა შორის, — აფხაზეთზე, გურიაზე და აჭარისტანზე. დამზადება სწარმოებს საქართველოს ბაღბოსტანკავშირის და მის სისტემის ხაზით.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ სადასამზადებლო კონტიგენტიდან 11.000.000 ცალი, გეგმის თანახმად უნდა დამზადდეს საექსპორტო მანდარინი, რაც შეადგენს მთელ საკონტროლო ციფრის 30 პროც. ეს გარემოება უფრო მეტად ავალდებულებს სას. სამ. კოოპერაციის ძირეულ ორგანიზაციებს აქედანვე შეუდგენ სამზადისს, რათა დამზადების კამპანიას შეხვდნენ ყოველმხრივ მომზადებულნი. საჭიროა ყველა ორგანიზაციულ - ტექნიკური საკითხები დაუყოვნებლივ იქნას მოგვარებული ადგილებზე, რათა დამზადების ნორმალურ მსვლელობას ხელი არ შეეშალოს.

ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზე არ არის. განსაკუთრებით აღსანიშნავია საწყობების (ფარდულების) საკითხი.

მიუხედავათ იმისა, რომ მანდარინის მოსავლის პერსპექტივები თავიდანვე მოითხოვდენ ფარდულების მშენებლობისათვის ზრუნვას, — სათანადო ორგანოებს ეს საკითხი „არ გაახსენდათ“ და მხოლოდ საქ. ბაღბოსტანკავშირის დაბეჯითებითი მოთხოვნის შედეგად ა. წ. 16-ს ა. კ. მომარაგების სახ. კომისარიატმა დაამტკიცა კალკულიაცია, რომელშიაც შეტანილია $^1/_4$ კაპ. თითო ცალ მანდარინაზე ფარდულების მშენებლობის საჭიროებისათვის. ამ დადგენილების საფუძველზე **ბაღბოსტანკავშირის მიერ უკვე გადადებულია 50.000 მან. და გაცემულია განკარგულება, რათა ადგილებზე დაუყოვნებლივ შეუდგნენ ფარდულების მშენებლობას.**

მანდარინის მოსავლის აკრეფის კამპანია დაიწყება ნოემბრის პირველ რიცხვებში. საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებანი, მათი ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები, რათა ფარდულების მშენებლობა, განსაკუთრებით ოზურგეთის რაიონში, სადაც არც ერთი ფარდული არ არის, დამთავრდეს მოსავლის აღების და დამზადების კამპანიის დაწყებამდე.

საქ. ბაღბოსტანკავშირს და საქ. სოფლმშენებლობას ჰმართებთ ამ მხრივ მთელი ძალების დაჭიმვა.

შ. ტ.

ფეხბურთი

ნორვეგია—თბილისი

ამ რამოდენიმე დღის წინეთ სამი შეჯიბრების ჩასატარებლად თბილისს ესტუმრა ნორვეგიის მუშების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

პირველი შეჯიბრება გაიმართა 27 ოქტომბერს ლენინის სახ. სტადიონზე. ამ დღეს სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის სუხიშვილის სახ. მუშათა გუნდი.

შეჯიბრების დაწყებამდის სტუმრებს მიესალმენ საქართველოს ფიზკულტურის წარმომადგენლები.

შეჯიბრების დაწყებისთანავე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა. თამაშის შუა განყოფილებამდის ინიციატივა ხელიდან-ხელში გადადიოდა. შემდეგ თბილისელებმა მოიკრიფეს მთელი ძალღონე და გაარღვიეს სტუმრების კარები. სტუმრებმა პენალტით გაუქვითეს მათ გარღვეული ფრონტი და თამაშის პირველ განყოფილებაში მდგომარეობა აღარ შეცვლილა.

მეორე განყოფილებაშიც თამაშის ინიციატივა კვლავ თბილისელებმა იგდეს ხელში და თამაშის დამთავრებამდის შესძლეს სტუმრების კარების ოთხჯერ გარღვევა, ხოლო სტუმრებმა ორჯერ კიდევ გაარღვიეს თბილისელების კარები. ამრიგად შეჯიბრება დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელების მეკარის დორონოვის და მარცხენა გარემარბის თამაში. სტუმრების მხრიდან კი მთელი კოლექტივი დინჯად და მოფიქრებულად თამაშობენ.

ვ. ლუტიძე.

ხელოვნება

საქ. პროფსაბჭოს სახელ. მუშათა თეატრი

ბარკოვის პიესა მე-„12“

დადგმა გ. ჯავაშვილის. მხატვარი ბიჟანკური

23 ოქტომბერს ლენრაიონში, პლეხანოვის კლუბში, შესდგა პროფსაბჭოს სახელობის მუშათა თეატრის პირველი წარმოდგენა. ხსენებული თეატრის შემადგენელი მუშა-ახალგაზრდობა რამოდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა გ. ჯავაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თვითმოქმედ თეატრში. ამ ხნის განმავლობაში თბილისის მუშათა კლუბებში მათ დასდგეს არა ერთი იდეური სიმახვილით და მხატვრული კვალიფიკაციით შესრულებული წარმოდგენა. ასეთი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა ამ თვითმოქმედი თეატრის პროფესიონალურ თეატრად გადაქცევა, რომელმაც სამსახური უნდა გაუწიოს ლენრაიონის პროლეტარულ მოსახლეობას. ამრიგად ჩვენი პროფესიონალური თეატრების რიცხვს მოემატა ახალი ერთეული, რომლის მთელი შემადგენლობა მუშებია და რომელთაგან უმრავლესობას პარტიისა და კომკავშირის წევრები შეადგენენ.

თეატრის პირველმავე წარმოდგენამ დაგვარწმუნა, რომ კოლექტივს სწორად ესმის თეატრალური ხელოვნების ამოცანები მიმდინარე ეტაპზე; რომ იგი თავის მუშაობას მთლიანად განსაზღვრავს აქტუალური სამეურნეო - პოლიტიკური თემატიკით და, რომ ამ ახალგაზრდა თეატრს მოეპოვება შესაძლებლობანი საკმაოდ რთული მხატვრული ამოცანების ოსტატურად დაძლევისათვის.

პიესა „მე-12“, რომელიც თეატრს გადამუშავებია ადგილობრივ პირობებისა და მიმდინარე სამეურნეო ამოცანების შეფარდებით, გამოხატავს რკინის გზელ პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას ტრანსპორტზე საწარმოო გეგმების შესრულებისათვის და კერძოთ ორთქლმავალთა კაპიტალური შეკეთების საქმეში მაღალი ტემპების მისაღწევად. ტექნიკის დაუფლება, დამკვრელობა და სოცშეჯიბრი, საწარმოო-დისციპლინის განმტკიცება, მავნებლობის ყოველგვარ სახეობათა გამომჟღავნება და აღმოფხვრა — ასეთ პრობლემაზეა აგებული პიესის იდეურ თემატიური შინაარსი. ამავე დროს პიესა შეიცავს აგრეთვე მთელ რიგ ყოფა-ცხოვრებითი საკითხებს, თეატრის პრობლემათა აქტუალობის და პოლიტიკური სიმახვილის გრძნობით დაუმუშავებია ეს პიესა.

ახალგაზრდა მსახიობთა კოლექტივი, პიესის ტიპაჟის განსახიერებაში იჩენს საკმაო კვალიფიკაციას, მხატვრულ ალღოს და რაც მთავარია, გულწრფელ, კლასიურ დამოკიდებულებას შესასრულებელი ტიპების მიმართ. დამაჯერებლად, მკაცრი სახეებით არის წარმოდგენილი მავნებელი ავალიანის ბუნება (მსახიობი ტურიაშვილი), წარმოებაში შემოპარულ კულაკ პლატონის და მისი მამის კონტრ-რევოლიუციონური საქმიანობა (მსახიობები აფხაზავა და კუპრაძე) და ამ ადამიანების გავლენის ქვეშ მოქცეულ და გამცდენ მუშების— თედოს და გაბოს სახე (მსახიობები რამიშვილი და ნახუტაშვილი). მეორეს მხრივ რეალური და ბუნებრივი შესრულებით აუდიტორიის თანაგრძნობის საგნად ხდებიან მუშა-ენტუზიასტი პავლე (მსახიობი თვარაძე), მუშკორი კოლია (შემსრულებელი ბოჭორიშვილი), კომკავშირელი ქალი ვარია (სირბილაძე) და სხვ. კარგადაა დამუშავებული „ჩინოვნიკ“ გოჩას ტიპი ალნიაშვილის მიერ. ცოცხალ გროტესკულ სახეს ქმნიან კუდუნაშვილი და ბეროზაშვილი; კარგად ასრულებენ თავიანთ როლებს: ნაზარაშვილი, (ქარხნის დირექტორი), მახარაძე (მარო), და სხვები.

სპექტაკლი გაფორმებულია ორგანიულად და ეფექტურად; დადგმა აგებულია რეალისტურ პრინციპებზე, ტიპაჟის და მოქმედებათა ინტერპრეტაცია სწორადაა დაფიქრებული.

დადგმაში არის შეცდომებიც. ზოგჯერ ადგილი აქვს შარჟით ზედმეტ გატაცებას (ეძგვერაძე და სხვ.). მთელ რიგ ადგილებში ზომიერების გრძნობა ვერ არის დაცული, გადაჭარბებულია ხმაურობა და მოძრაობა (ორი უკანასკნელი სცენა), ზოგიერთ მასიურ სცენებს აკლიათ ორგანიზაციული სიმტკიცე.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად წარმოდგენა უთუოდ აღწევს დასახულ მიზნებს, იგი ქმნის შრომის მებრძოლ ენტუზიაზმს და მაყურებლების შეგნებას რაზმავს დღევანდელობის აქტუალურ ამოცანათა ირგვლივ, ტრანსპორტის დარგში.

მთლიანად წარმოდგენა წარმატებით ჩატარდა. ეს სპექტაკლი, რომლითაც იწყება ახალი თეატრალური კოლექტივის არსებობა, საგრძნობ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს — პროლეტარული თეატრისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. ამ დადგმით თეატრმა დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან წარმატებით გადასჭრას მის წინაშე დასახული ამოცანები, თუ სათანადო ორგანიზაციები (განსახკომის ხელოვნების სექტორი, საქ. პროფსაბჭოს, ლენრაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციები) მას უზრუნველყოფენ საჭირო ყურადღებით, მზრუნველობით და ხელმძღვანელობით.

ბეს ჟღენტი.

ხელოვნების ქრონიკა

დღეს, 29 ოქტომბერს, საღამოს სრულ 7 საათზე სახკინმრეწვში (პლეხანოვის პროსპექტი, № 164) დანიშნულია საჯარო წაკითხვა და გარჩევა ამხ. პ. მ. საყვარელიძის სცენარის „გალუწული ანძით“. სცენარი ეხება 1905 წლის აჯანყების ჩაქრობის და რეაქციის დაწყების ხანას. განხილვაზე მოწვეული არიან ძველი ბოლშევიკების საზოგადოების წევრები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საორგ. საინსტრუქტორო განყოფილებაში (ოთახი № 13), დღეს, 29 ოქტომბერს მოწვეულია საორგანიზაციო თათბირი თელავის საკითხების შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: არუთინოვი (საქმუშკლებინი), მათიკაშვილი (მიწსახკომი), პისკუნოვი (ა.-კ. ქალტრესტი), მზარეულაშვილი (საქ. სმუსი), კუხალეიშვილი (საბჭ. მეურნ. ტრესტი), ჯეჯელავა (მემინდვრეობა-მესაქ. კავშირი); წულუკიძე (კოლმეურნეობათა ცენტრი), აზარაშვილი (კომკავშირის ცეკა), საბაშვილი (ა.-კ. რკინის გზა), დარახველიძე (საქ. ცაკი) და ზაკმოლკპროტმის და ა.-კ. მეღორეობის ტრესტის წარმომადგენლები.

—:—

დღეს, 29 ოქტომბერს, 12 საათზე ცეკას კადრების განყოფილებაში ამხ. ავეტისოვთან შესდგება თათბირი ენუქიძის სახელობის კურსების რეორგანიზაციის და მისი ფინანსიური უზრუნველყოფის შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ ქვემოდდასახელებული ორგანიზაციების პასუხისმგ. წარმომადგენლები: საქ. მომარაგების სახ. კომისარიატის, მიწსახკომის, ფინსახკომის, შემნახველი სალაროების სამმართველოს, საქ სმუსის, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი კოლმეურნეობათა ცენტრის, სარეწაო კავშირის; საქვაჭრობის; სახ. ბანკის, მებაღეობა მებოსტნეობის კავშირის და თბ. საბჭოს.

—:—

ცეკას აგიტმასგანყოფილებაში დღეს, 1-საათზე ხელმეორეთ მოწვეულია თათბირი ხელფასის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ ცეკას დირექტივის შესრულების მსვლელობის საკითხის განსახილველად. თათბირზე მოწვეულნი არიან შემდეგი ორგანიზაციების პასუხისმგებელი წარმომადგენლები: საქ. მომარაგების კომისარიატის, ცეკავშირის, სარეწაო კავშირის, ლითომშენის; ა.-კ აბრეშუმის; სამკერვალო ტრესტის, პოლიგრაფტრესტის; „სოიუზტაბაკ“-ის, ზაკსოიუზის, საქ. კოოპკვების, საღმშ. მასალათა ტრესტის, შემკეთებელი ქარხნის; საქ. სმუსის; საქ. პროფსაბჭოს; შრომის კომისარიატის; საქ. საგეგმო კომისიის და თბ. კომიტეტის და რაიკომების აგიტმასსექტორების წარმომადგენლები.

—:—

ცეკას აგიტმასგანყოფილებაში ამხ. ლეჟავასთან (ოთახი № 39), დღეს, 1-ლ საათზე უნდა გამოცხადდენ ამხ. ხაჩაძე, კუჭავა (ა.-კ კომუნივერსიტეტი), ქავთარაძე (პედ. ინსტიტუტი).

30 ოქტომბერს 8 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება ამხ. ივ. ვაშაყმაძის მოხსენება თემაზე: **„ორ ფრონტზე ბრძოლა ფილოსოფიაში და მდგომარეობა ფილოსოფიურ ფრონტზე საქართველოში.“**

ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ამხ. ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქუჩა)

შესდგება ორჯონიკიძის რაიონის მ. გ. და წით. არმ. დეპუტატების 1-ლი მოწვევის საბჭოს პირველი პლენუმი

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ქალაქის კომუნალური მეურნეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა გატარების შესახებ.
2. რაისაარჩევნო კომისიის მოხსენება რაისაბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ
3. არჩევნები.

იქვე ერთი საათით ადრე ე. ი. საღამოს 5 საათზე, შესდგება რაისაბჭოს ფრაქციის სხდომა.

დასწრება ორჯონიკიძის რაიონის საბჭოს წევრებისათვის სავალდებულოა.

1—1 ნ 2074 **რაისაბჭოს არჩევნების ცენტრალური კომისია.**

ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში (ლენრაიონი)

შესდგება ლენრაიონის მ. გ. და წ. არმ. დეპუტატების 1-ლი მოწვევის საბჭოს პირველი პლენუმი

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ქალაქის კომუნალური მეურნეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა გატარების შესახებ.
2. რაისაარჩევნო კომისიის მოხსენება რაისაბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ.
3. არჩევნები.

იქვე ერთი საათით ადრე ე. ი. საღამოს 5 საათზე შესდგება რაისაბჭოს ფრაქციის სხდომა.

დასწრება ლენრაიონის საბჭოს წევრებისათვის სავალდებულოა.

1—1 ნ. 2075 **რაისაბჭოს არჩევნების ცენტრალური კომისია.**

სახელმწიფო საოპერო თეატრი 1931—32 წ. სეზონი

1931 32 წ. სეზ

დღეს, 29 ოქტომბერს მე-7 აბ. მე-3 წარ. **ტოსკა**

პარასკევს, 30 ოქტომბერს მე 9 აბონ. მე 3 წარმოდ. **სევილიელი დალაქი**

ბალეტი „კვიცი ცხენი“ დად. დღე ცალკე იქნება გამოცხ 29 X თვის შემდ. ბილ. უნდა გადიც. სალარ.

წარმოდგენა იწყება საღამოს სრულ 8 საათზე. მესამე ზარის შემდეგ საყურებელ დარბაზში შესვლა არ შეიძლება. გამოცხადებული წარმოდგენების საბონემენტო შესატანი მიიღება ყოველდღე 11 დან 2 საათამდე, ხოლო მიმდინარე წარმოდგენის საბონემენტო შესატანი საღამოს 6-დან 8 საათამდე. ნ. 2 78

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.

29 ოქტომბერს 1-ლი აბონ. 1-ლი წარმოდ. **ანზორ**

30 ოქტომბერს 3 აბონ. 1-ლი წარმოდ. **ანზორ**

31 ოქტომბერს მე 5 აბონ. 1-ლი წარმოდ **გაზაფხული**

დასაწყისი საღ. 8 ს. მესამე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება. ყველა წარმოდგენებზე იაფიანი ბილეთებია დატოვებული გასასყიდად. ბილეთები და აბონემენტები იყიდება თეატრის სალაროში სადაც მეორე გადასახადი არ შეუტანია წარმოდ. დაშვებული არ იქნება. 2—2 ნ. 2081

სახელმწიფო დრამა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს, 29 ოქტომბერს მე-8 აბონემ. 1-ლი წარმოდგ. **მოსკოვი ენთუზიასტი**

შაბათს, 31 ოქტომბერს მე 6 აბონ. 1-ლი წარმოდგენა **ურიელ აკოსტა**

კვირას, 1 ნოემბერს წარს. სეზ 1-ლი აბ. მე-14 წარ. **ანათემ ვარსკვლავნო**

აბონემენტები იყიდება

წარმოდგენის დღემდე აბონენტს უნდა ქონდეს შემოტანილი მეორე გადასახადი. ნ. 2091

სახკინმრეწვის თეატრები

ხმოვანი კინო — „ოქტომბერი“ (ყოფ. აპოლო) სეანსები: 12. 2. 4, 6-30, 8 30, 10-30

საღამოს კინო სპარტაკი სეანსის დას. 7, 8-45, 10 30

დღის კინო სპარტაკი სეანსის დასაწყისი 12. 1-30, 3 ს.

როზა ლიუქსემბურგის სახელობის (ყოფ. მინიონი) სეანსების დასაწყ 7, 8 45, 10 30

პალასი სეანსის დასაწ. 7, 8-45, 10-30

კინო „დარბაზი“ სეანსის დასაწყ. 6 ს., 7-30, 9-30, 10 ს.

დადგმის 4 კვირა „სამრეწველო პარტიის პროცესი“

პროგრამის გარეშე: დუეტი „აბესალომ და ეთერი“-დან, ურმული და სხ. შეასრულებენ ბადრიძე, ცირლილაძე და ჭიაურელი

მხატვრული ფილმი **ცოცხალი კალეიდოსკოპი** პროგრამის გარდა . . № 51

მხატვრული ფილმი **სალამანდა**

მხატვრული ფილმი **გოლდებს შორის**

ფიზკულტურული ფილმი—„დღის 10 წუთი“

მხატვრული ფილმი **სრული სიწუნარე**

იგორ ილინსკი, ქტოროვი კომედიაში,

წმ. იორგენის დღესასწაული ო—23

საბ. ცირკი

დღეს **დიდი წარმოდგენა**

3 განყოფილებად, ახალი პროგრამით

მონაწილეობს მთელი დასი.

30 ოქტომბერს დღის წარმოდგენა ბავშვები დიდებთან უფასოდ. დასაწყისი 2 საათზე ნ. 7088

საბჭოთა კავშირის

სახელმწიფო ბანკის

ამიერ-კავკასიის სამხარეო კანტორა

აფრთხილებს

ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ მათ **არა უგვიანეს 29 ოქტომბრისა უნდა წარადგინონ**

იმ საბანკო დაწესებულებაში, სადაც იმყოფება მათი საკონტოკორენტო ანგარიშები, **სალარო გეგმები 1931 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებისათვის.**

იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც დანიშნულ ვადაში არ წარუდგენენ შეაფერ საკრედიტო დაწესებულებებს სალაროს გეგმებს, მიღებული იქნება საკრედიტო ზეგავლენის ზომები. ნ. 2560 2—2

დღეს, 29 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ტრამვაის მუშათა კლუბში (პლეხანოვის გამზ. № 182) მოწვეულია

სტალინის რაიონის საშ. ფო ორგანიზაციის (ქ. ს. კ. ს.) პირველი კონფერენცია

დელეგატების და შეფაქტივის დასწრება სავალდებულოა. იქვე საღამოს 6 საათზე მოწვეულია კომფრაქციის სხდომა.

ნ. 2089 **საორგ. კომისია.**

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

ჩაითვალოს გაუქმებულად

სამხედრო წიგნ.

მიხაკო მახარაშვილის; მენტეშა? ბიძესი

კავშირის წიგნ.

შალვა თავაძესი № 1147080 ტატიანა ლომთათიძის.

მეტრიკ. ამონაწერი.

დავით ჩხეიძეს. მირიან ენუქაშვილის, გიორგი მიქელოვის.

სხვა და სხვა.

ახმეტის სოფლის საბჭოს ბეჭედი, რძის წიგნ. № 53 ეღუქი კუდავასი სოც. უზრუნველყოფის მოწმობა ნესტორ კობიძის, კოლექტივიზაციის წევ. მოწ. ნ. კობიძის, შიფრო, გამოსატანი ქვითარი ვლადი ერკვლესელიძის სტუდენტობის მოწ. ძარია დაშნიანის, ოპერის მე-2 რე (მეორე) აბონემენტი № 475 მეოთხე რიგი, ოპერის მეორე აბონემენტი მეოთხე რიგი № 474, პალტორდერი ბაბილ. სანაკოევის. ატესტატი გრიშა გამყრელიძის. ლომბარდის ქვითარი № 153550, მე-7 ჯგუფის მოწმობა გიორგი მიქელოვის, მეტრიკული № 2493 ნინა კოლგასლაიძის, 7 წლ. ატესტატი № 1047 ანია ხუბაშვილის, ქიმიური ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა ნინა ჯორბენაძის, ჰუმანიტარულ ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა № 174 ვერა შველიძის.

მუშკოოპ. წიგნ.

აფანასი ვასილიევისა № 1180. ოლია კილოსანიასი, ვასილ სანაკოევი ყიფიანის. 17

დღეს, 29 ოქტომბერს, საღამოს სრულ 9 საათზე, აუდიტორია № 7-ში მოწვეულია საქ. საფ.-ეკონ ინსტ. პედპერსონალის და **მუშა-მოსამსახურეების გაერთიანებული კრება.**

დასწრება ყველა კავშირის წევრებისთვის სავალდებულოა.

8768 **ადგილკომი.**

ჭიათურის რაიონის საფინანსო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1931 წლის 6 ნოემბერს, დილით, პარასკევს ქ. ჭიათურაში გადასახადების დავალიანებაში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ზდანოვიჩის ქუჩაზე სავლე ნიკოლოზის ძე წერეთლის მემკვიდრეების საცხოვრებელი სახლის ძირა სართულში 4 ოთახი სამზარეულოთი შეფასებული 750 მანეთად და ინტერნაციონალის ქუჩაზე დავით აბულაძის მემკვიდრეების საცხოვრებელი სახლის სამი ოთახი სამზარეულოთი შეფასებული 530 მანეთად.

ნ. 2090 **ჭიათურის რაი-ფინგანი.**

თბილისის სავეტერინარო მომარაგების საწყობი ტრესტი „ვეტ“

თბილისი, ჰაგზლის ქ. № 28.

გაცნობებთ ყველა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ორგანიზაციებს, როგორიც არის: საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, ვეტპუნქტები და სხვა ა/კ. მესაქონლეთა მეურნეობას აზ. ს. ს. რ. გამოკლებით, რომელთაც ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ განცხადებები: მედიკამენტების, ხირურგ. იარაღების და ბიოპრეპარატების 1932 წლი თვის უკანასკნელი დრო ზევით აღნიშნული შეკვეთების დანიშნულია 10 ნოემბერი. განცხადებები უნდა იყოს დაყოფილი კვარტალებათ და წარმოდგენილი ორ ეგზემპლიარად.

განცხადებების თავის დროზე წარმოუდგენლობის გამო შემკვეთი მოკლებული იქნება ზევით აღნიშნულ მომარაგებას 1932 წლ. მე-4 კვარტალის განცხადებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ცალკე შეკვეთები.

1597 **თბ. საწყობი „ვეტ“.**

---

31 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე,

(ივანგულოვის ქ. № 12 სოც-ჰიგიენის ინსტიტუტის კლუბში) ამხ. **რუხაძის** თავმჯდომარეობით იწყება მემინდვრე-მესაქონლეობის ცენტრალური აპარატის

საჯარო წმენდა

კომისია სთხოვს ყველას ვისაც მოეპოვება რაიმე მამხილებელი მასალები აპარატის მუშაობის შესახებ ან ცალკე თანამშრომლებზე ასეთები გადმოგზავნონ კომისიის მდივნის ამხ. ა. **ჩხეიძის** სახელზე, ევანგულოვის ქ. № 8, ოთახი № 17, ტელეფონი № 5-05.

3 1 ნ 2085 **საწმენდო კომისია.**

ნიკელის სამოვარი,

ტოლოლის საქნელო, საზღვარგარეთული ტყავის ტუფლი № 34—35

იყიდება. თბილისის მოედ. (ყოფილი გეოლოგიის) № 7—4, ქვედა სართულში. ნახვა შეიძლება საღამოს 5-დან 7 საათამდე. 2 1 8595

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება.

დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს.

პლეხანოვის გამზირი № 116.

სასტუმრო „ევროპა“-ს პირდაპირ

ტელ. 12—67.

8004 25—1

ყრუ მუნჯთა საბავშო სახლი და სკოლა

აცხადებს

რომ 23 სექტემბერს, დილით 12 საათზე საბავშო სახლიდან გაიპარა ძოწფერ ყრუ-მუნჯი გიორგი ქსოვრელი 10 წლის, აცვია ლურჯი ხალათი, სახეზე აქვს ჭორფლი, არის პსიხიურათ ავათმყოფი. თუ ვინმემ იპოვოს გვაცნობოს კარგარეთელის ქუჩ № 6 8634

---

22 ივლისს

სახლიდან გავიდა

და აღარ დაბრუნებულა 7 წლის ბიჭი, ნიშნები: თვით არის მუნჯი, მხოლოდ ყურთ ესმის, სახელათ ქვია რაჩიკა. თმები აქვს რიგა, ხმამაღლა რომ ჩასძახოთ „რაჩიკ“ მიხვდება. მპოვნელს ვთხოვ მაცნობოს თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 67 ეზოში გრიგორიანც. რაზედაც მიიღებს საჩუქარს 300 მან. 8661

გერმანელი ქალი

გამოცდილი მასწავლებელი უმაღლეს განათლებით აძლევს გაკვეთილებს გერმანულ ენაზე, ღებულობს სამეცნიერო და ტექნიკურ სათარგმნ მასალას რუსულ ენაზე. ა.-კ. ფედერაციის ქ. 13, დააკაკუნეთ ალაყაფის მარცხნივ მდებარე პირველი ფანჯარა, საღ. 5—7 ს დღ. 8681

ექ. მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკ. კაბინეთი პეტრიაშვილის ქუჩა (ყოფ. უდელ.) № 11. იღებს საღამოს 7— 8.

29 ტელ № 21—45. —250

საქ. სახვაჭრობის კომუჯრედი, ახალგაზრდა კომკავშირის უჯრედი და ადგილკომი აუწყებს კომუჯრედის წევრის

ნიკოლოზ ვასილის-ძე ზაბაშტას

გარდაცვალებას. გამოსვენება 29 ოქტომბერს, 4 საათზე, რუსთაველის ქ. № 6 (ლენრაიონი). 8702

საქ. საბძარაგვაჭრობის კომუჯრედი, ახალგაზრდა კომკავშირის უჯრედი და ადგილკომი აუწყებს კომუჯრედის წევრის

ნიკოლოზ ვასილის-ძე ზაბაშტას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 29 ოქტომბერს, 4 საათზე რუსთაველის ქუჩა № 6 (ლენრაიონი). 8701

საქ. მარაგვაჭრობის დირექცია იუწყება კომპარტიის (ბ) წევრის ცენტრალური განძანაწილებელის გამგის

ნიკოლოზ ვასილის-ძე ზაბაშტას

გარდაცვალებას. გამოსვენება 29 ოქტომბერს, 4 საათზე, რუსთაველის ქ. № 6 (ლენრაიონი). 8702

საქ. სახვაჭრობის მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ სახვაჭრობის ძველ თანამშრომელ

კოლია ზაბაშტას

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება 29 ოქტომბერს საღ 5 საათ., რუსთაველის ქუჩა № 6. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 8687

გაუბედურებული მშობლები: დედა მარიამ, მამა ვიქტორ, ძმები: კოლია და ლევან, დები: დოლოჯაბ და ელენე ქმარით ვახტანგ შარამიძეთი, აღზრდილი ხიხია იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავად მყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

სერიოჟა დიდია

დაკრძალვა, 29 ოქტომბერს დღის 4 საათზე, ქ. ბათომში, ქუთაისის ქუჩა № 7.

დეიდა აგრაფინა ჩიქოვანი შვილებით: ქეთია, ვალოდია და დათიკო, სიძე კოსტა ჩილაჩავა გულის ტკივილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ დაკარგეს სიცოცხლით აღსავსე საყვარელი ბიჭიკო

სერიოჟა დიდია

დასაფლავება ქ. ბათომში 29 ოქტომბერს. 8686

შამშე ლეჟავას სახელობის ბავშთა სახლი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სახლის მასწავლებლის

ნუცა ბადრიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. ნ. 2086

აკ. მაჭავარიანი, მიშა ჯაფარიძე, ილ. ცინცაძე, აკ. სირაძე, სახ ვართანოვი, ა. შავ ულიძე. ილ ლორთქიფანიძე, პ ლანდია და ს ჯავახიშვილი ვგლოვობთ ძვირფასი მეგობრის და ამხანაგის

ანდრო ჭაჭიაშვილის

დაკარგვის გამო. ნ 2 84

მაუდ კამვოლის ფაბრიკის თანამშრომლები: ს. ლეჟავა და უკლებაშვილი, ლ. სურგულაძე, დ ჭუმბურიძე, შ. იაკობაშვილი, კ. დია, მონდოკელო, მ. ჯორჯაძე ა. ალხაზიშვილი. ლ. ქელბაქიანი, ი. ჯავახიშვილი, ა. დეკანოსიძე, ნ. ცინცაძე, ძ. ხუნდაძე, ა. აბაზაძე და შ. დოლაშვილი აუწყებენ საზოგადოებას ყოფილი თანამშრომლის

ანდრო ბეგლარის-ძე ჭაჭიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ოქტომბერს სოფ. არგვეთში. 8678

ღრმად დამწუხრებულნი ლევან და ტასო ჭაჭიაშვილები შვილებით სოსიკო და ზურაბით, რძლით ვენერათი აუწყებენ საზოგადოებას ოჯახის განუყრელი მეგობრის და ბიძაშვილის

ანდრო ბეგლარის-ძე ჭაჭიაშვილის

გარდაცვალებას დასაფლავება დღეს. სოფ. არგვეთაში

უახლოესი მეგობარი აგრონომები: ოონიშვილი ელიზბარ, ჯახუტაიშვილი გაბრიელი, ღლონტი მიტრაფანე, გოოდელაძე კოტე, გოგელია გრიშა, ჩხაიძე სერგო, ჯორბენაძე ალექსი, მელუა მიხაკო, გოგოლაძე აპოლონ. ტუსკია აფრიკან ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახალგაზრდა ენერგიით აღსავსე აგრონომ

ერმილე მათეს-ძე მელუას

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 2087.

ოზურგეთის რაიონის ჩაის სექციის თავის აგრო პერსონალით უღრმესი მწუხარებით აღნიშნავს ახალგაზრდა თავდადებულ იშვიათი მუშაკის აგრონომ

ერმილე მოსეს-ძე მელუას

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 30 ოქტომბერს ასკანაში. ნ. 2087

ახლოესი მეგობრები: დარიკო გიორგობიანი, ოლია ცინცაძე, ლიუბა ჭინჭარაძე. ეთო ფერაძე, ელენე ებანოიძე. სონია ხაინდრავა, ნუტა ქავთარაძე. მარო ხოჯაშვილი აუწყებენ საზოგადოებას

ნუცა ბადრიძის ასულის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. ნ. 2086

დამწუხრებულნი შვილები: ვალიკო, მიხეილ და გოგოცა ამამუკელი შვილებით, დები: ცესპირე საყვარელიძისა და მინადორა ბარათაშვილისა იუწყებიან, რომ 27 ოქტომბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი

ფოტინე ატოტის ასული ამამუკელისა

სამოქალაქო პანაშვიდი 29 ოქტომბერს 7 საათზე (ჭავჭავაძის № 5) დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 30 ოქტომბერს გამოსვენება 5 საათზე.

ექ. ალექსანდრე კვალიაშვილი დედით და ოჯახით იუწყებიან, რომ 30 ოქტომბერს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას

არჩილ გიორგის-ძე კვალიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8705

ძმა ნიკოლოზ გიორგის ძე კვალიაშვილი მეუღლე ეკატერინეთი, შვილები: ოლია, შურა და რამაზი იუწყებიან, რომ 30 ოქტ 5 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ძვირფას

არჩილ გიორგის-ძე კვალიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8704

მე 33 საქ. რხნ-საფაბრიკო შვიდწლედის პედაგოგიური და მოწაფეთა დამხმარე საბჭოები მოწაფეებთან ერთად უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მე-6 ჯგუფის მოწაფე ქალის

ალექსანდრა ფოცხვერიას

უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება ქალ. სამტრედიაში. 8699

თავზარდაცემული მეუღლე თამარი, და ოლღა, დისწული ნადიკო, რძალი ანნა შვილებით ვახტანგ და ბაბულიათი იუწყებიან, რომ ოქტომბრის 26-ს გარდაიცვალა მათი ძვირფასი

დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ჯანდიერი

დაკრძალვა 29 ოქტომბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 4-ნახ საათზე ბინიდან, ვაკე, კავშირის ქუჩა № 1. 8699

დამწუხრებული შვილები: რაისა და აგრაფენა. რძალი მარიამ, შვილიშვილები ნიია ქმარიშვილით, ძარულია მეუღლით, ვახტანგ, თინა, კაკალა ცაგარეიშვილები, გოგოცა და დათიკო მაჭავარიანები იუწყებიან

ივანე გრიგოლის-ძე ცაგარეიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 29 ოქტომბერს ჯიხაიში. 8700

ქმარი ივანე ველიჩკო, ძმები: სტრატონი და ნესტორ მინდელი, რძლები: მარია და ეკატერინე მინდელები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფას

ეკატერინე (კატუშა) ველიჩკო-მინდელის

უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე რკინის გზის საავადმყოფოში დაკრძალვა შაბათს, 31 ოქტომბერს, 4 საათზე. 8696

მიშა ნარსია გულითად მადლობას უცხადებს იმ ორგანიზაციებს და ამხანაგებს, რომლებმაც გაიზიარეს მისი მწუხარება დის

დესპინეს

გარდაცვალების გამო. 8692

გაუბედურებული დედა ვარა, მამა სიმონ. ძმები: სერიოჟა, კოლია და ლუბა იუწყებიან. რომ კვირას 1 ლ ნოემბერს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მე-26 შრომის სკოლის მოწაფე

თამარა პისმენის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8695

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე, შვილები: გრიშა, შოთა, ნინა და ლელლა, რძალი ნინა, ახლობელი ნათესავები: ყარამან, გოგოლი, მიშა, ლამარა და მერი საფაროვები იუწყებიან მათი საყვარელი

ვარლამ მეგრელიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 31 ოქტომბერს, 4 საათზე, ბინიდან ოზურგეთი, ცხაკაიას ქუჩა—დასაფლავება მოიდი ნახის სასაფლაოზე. 8693

დამწუხრებულნი: დედა ელისაბედი. დები: მარო, ქეთო, ნინო, ანიჩკა, ძმები: იპოლიტი და ფილიმონი სიძე აკაკი იუწყებიან, რომ 29 ოქტომბერს, 5 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ირაკლი ალექსანდრეს-ძე კავკასიძის და პატარა გივი კოპაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8697

დამწუხრებული აღმზრდელნი: ლოლა და ბაქო მოისწრაფეშვილები იუწყებიან, რომ კვირას 1-ლ ნოემბერს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ჰიდრო ტექნიკუმის მე 4 კურსის სტუდენტის

თამარა მარშანიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2—1

ყოფილი თანამშრომლები: იოსებ თოხაძე, აკაკი ვეფხვაძე, ელიზბარ ბერიშვილი, ანდრო იორდანიშვილი ბესარიონ გვასალია, ილია მეგრელიშვილი, ბიკენტი გვასალია და შალვა მარგველაშვილი გამოსთქვამენ უღრმეს მწუხარებას დოქტორ დიმიტრის-ძე თბილავას ბავშვის

ვლადილინის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 8769

ამბროსი ბახტაძე და მიშა სიმონია იუწყებიან უახლოესი და საყვარელი მეგობრის

აკაკი ხუჭუას

გარდაცვალებას. ნ. 2067

გულოვანი დედა ელპიტე, და ლუბა, სიძე მიშა ჯულელი აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს, 31 ოქტომბერს. სოფელ დიდიჯიხაიში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ

ნადია დარისპანის ასულ მელქაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ 2086

თავზარდაცემული დედა მარიამი, ძმა ანტონი, რძალი ანიკო, ძმისწული მაკვალა, დაი ელისო აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას 1 ნოემბერს ს ფასანაურში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ მათთვის დაუვიწყარ სიცოცხლით სავსე და საყვარელ

ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ილურიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8770

დამწუხრებული ქმარი გიორგი თემურაზოვი. დაი დარია შვილებით, ნათლია ვალამი და ოლია კიკმარაშვილები, ძალი ვ ლები: ამალია, ნატო, ქმრით: იოსებ ფანცულაია, ფედია ვარაბიოვი, შვილისშვილი ლამარა, ლიუბა იუწყებიან დაუვიწყარ

ანიჩკა ივანეს-ას. თემურაზოვას.

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ № 77. 8 03

უშანგი, მარიამ, ივლიტი, ხატაბა, გიორგი, იური, გალინა, კოლია და გივი ჯაშები იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ნინა გლახუნის-ას. ბერძენიშვილი

დაკრძალვა 29 ოქტომბერს, ჩოხატაურში.

გულდათუთქული დედა ლიდა, მამა იაკობ რამიშვილები შვილებით: ლეილა, მინადორა, მარგალიტა, ეკა და გივი იუწყებიან

იური იაკობის-ძე რამიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან 4 საათზე. 8772

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი დედა პაშა, ძმა ზალიკო, დები: ქეთო, თამია, რძალი კატუშა. ბიძაშვილები: ექიმი ბადრიძე ცოლშვილით, ბიძები: იასონი, და სერგო ბოკერიები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

ნუცა ბადრიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 30 ოქტომბერს, გოგიბაშვილის № 9. ნ 2086

დამწუხრებული მეუღლე ვარდო. შვილები ცუცა და მიშა, დედა სალომე, ძმები: ნესტორ კასიონ, რძლები გალინა, თამარა იუწყებიან

ნოე სტეფანეს-ძე ფრანგიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება, ხიანის ქუჩა № 1. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, პარასკევს, 30 ოქტომბერს, 4 საათზე. 8706

უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ ქუთაისის სამედიცინო ტექნიკუმის მესამე კურსის მოწაფეები დაუვიწყარ და სიცოცხლით აღსავსე ამხანაგ

ანიკო ლევანის ასულ მურღულიას

უდროოდ დაკარგვის გამო. ნ. 2086